

გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

# ილორი

ქართველობის გადასარჩენად



ეროვნული ბიბლიოთეკა
E-mail: r.jalagania@mail.ru
№316 (375) 19-26 მაისი 2015 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი

**სირცხვილი ის კი არ არის, რომ მეგრულად ლაპარაკობენ, არამედ ისაა, რომ დანარჩენმა ქართველებმა არ ვიცით მეგრული ენა — აკაკი შანიძე**

# ალექსანდრე ჭაჭია: თუ მორჩილად მივიღებთ თავსმოხვეულ «ღირებულებებს», დავიღუპებით!

**დაიბეჭდა გაზეთში «საქართველო და მსოფლიო» — 2014 წელს**

**— ბატონო ალექსანდრე, ჩვენს გაზეთში თებერვალში გამოქვეყნებულმა თქვენმა ინტერვიუმ დიდი საზოგადოებრივი რეზონანსი გამოიწვია. მხოლოდ გაზეთის საიტზე იგი 75 ათასზე მეტმა ადამიანმა წაიკითხა და კიდევ 30 ათასმა — საიტის რუსულენოვან ვერსიაზე. ეს რეკორდული რაოდენობაა. რედაქციას დღემდე მიმართავენ მკითხველები თხოვნით, რომ გაგრძელდეს ინტერვიუთა ციკლი თქვენთან. ბევრს სურს, გაიგოს თქვენი აზრი რიგი პრობლემების შესახებ, რომლებიც მათ აწუხებთ. მე ავარჩიე რამდენიმე, ძირითადად, საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ბოლოს განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებული შეკითხვები.**

**როგორ აფასებთ 17 მაისის თბილისის მოვლენებს, რამაც ქართულ საზოგადოებაში განხეთქილება გამოიწვია? არსებობს თუ არა სერიოზული საზოგადოებრივი დაპირისპირების ალბათობა ამ ნიადაგზე?**

— მე არ დავარქმევდი მომხდარს განხეთქილებას საზოგადოებაში. განხეთქილება ვარაუდობს საზოგადოების გაყოფას ორ ან რამდენიმე დაახლოებით ტოლ ნაწილად, რომლებიც ერთმანეთს უპირისპირდებიან. განხეთქილებაა პარიზში, ლონდონში, სადაც ჰომოსექსუალთა და მათი თანამგრძნობი მოქალაქეების რაოდენობა იმდენად დიდია, რომ ქალაქის მერად ღია პედერასტს ირჩევენ. განხეთქილებაა ამერიკაში, სადაც ზანგმაც კი შეძლო გამხდარიყო პრეზიდენტი, როდესაც გეითანამეგობრობის მოთხოვნების დაკმაყოფილების პირობა დადო, ანუ თეთრკანიანი ამერიკელების გენეტიკურმა რასიზმმა პედერასტიის მომხრეთა შეტევის წინაშე უკან დაიხია. ჩვენთან, მადლობა ღმერთს, ამ მოვლენის ჯერჯერობით ამდენად სერიოზულად გავრცელება არ მოხდა. არიან ახალგაზრდები, რომლებიც განიმსჭვალნენ გეიიდეოლოგიით დასავლურ უნივერსიტეტებში სწავლისას ან აქ, საქართველოში უცხოელებთან ურთიერთობისას, და არის ხალხი, რომელიც დასავლეთისგან დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციების წევრია და ფულისთვის ასრულებს გარკვეულ მითითებას.

აქვს თუ არა პერსპექტივა მათ საქმიანობას? დიახ, აქვს. თუ ხელისუფლება და ქართული საზოგადოება ჯიუტად გააგრძელებენ ე.წ. ევროპული ღირებულებების მიმართ ერთგულების დეკლარირებას, ანუ გააგრძელებენ შევარდნაძე-სააკაშვილის გზით სვლას, მაშინ უნდა გაითვალისწინონ, რომ პედერასტია თანამედროვე «ევროპული ღირებულებების» განუყოფელი ნაწილია, მეტიც, ეს ამა თუ იმ სახელმწიფოს «ევროპულობის» მთავარი მაჩვენებელია. მსოფლიოში იგი მზარდი ტემპით ვითარდება, რასაც ხელს უწყობს ათასობით სხვადასხვა სახის საზოგადოებრივი ორგანიზაცია, მედია, კინოინდუსტრია. თუ 15-20 წლის წინ პედერასტია ე.წ. შემოქმედებითი ინტელიგენციისა და ცივილიზაციის სიმდიდრით გამძღარი მდიდრებისა და მათი შვილების გარემოში მხოლოდ «მოდა» იყო, დღეს ეს დასავლური ქვეყნების საზოგადოებრივი ცხოვრების განუყოფელი ატრიბუტია. ეს მოხდა ძალიან მოკლე ისტორიული პერიოდის მანძილზე.

გავიხსენოთ ისტორია. ჰომოსექსუალიზმი არსებობდა ყოველთვის, მაგრამ, როგორც ჩანს, ჰომოსექსუალური კავშირების თავისუფლებას საზოგადოებისთვის იმდენად დიდი ზიანი მოჰქონდა, რომ მონოთეისტური რელიგიების დამფუძნებლები იძულებულნი გახდნენ, რომ მომაკვდინებელ ცოდვად გამოეცხადებინათ იგი. ქრისტიანიზირებულ ევროპაში ჰომოსექსუალიზმი იატაკქვეშ გადავიდა და მისი მასშტაბებიც მკვეთრად შემცირდა. პერიოდულად იყო აღზევებებიც, მაგალითად, შუასაუკუნეებში კათოლიკე ბერების გარემოში და, სავარაუდოდ, სწორედ ამ მოვლენასთან საბრძოლველად შეიქმნა თავიდან ინკვიზიცია. მე-19 საუკუნესა და მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში ევროპაშიც და აშშ-შიც პედერასტიასთან დამოკიდებულება იყო ძალიან უარყოფითი. გაიხსენეთ ოსკარ უაილდი, რომელიც 1895 წელს ამერიკაში ციხეში ჩასვეს, მაგრამ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აშშ-ში ჰომოსექსუალების მიმართ ტოლერანტული დამოკიდებულების ფორმირება დაიწყო. ამას ხელი შეუწყო ამერიკული ჯარის სამხედრო მოსამსახურეთა გარემოში პედერასტთა საზოგადოების წარმოქმნამ საკუთარი ცნობიერებით. ზუსტად მამათმავალმა სამხედროებმა მისცეს აშშ-ში ჰომოსექსუალიზმის რეაბილიტაციასა და ლეგალიზაციას ბიძგი. მას შემდეგ აშშ სექსუალური უმცირესობების უფლებებისთვის მებრძოლი მოძრაობის ლიდერია მთელ მსოფლიოში. ყველა ქვეყანა, რომელიც აშშ-ის გავლენის ქვეშაა, იძულებულია, ერთსქესიანი კავშირების ლეგალიზება მოახდინოს და წაახალისოს. თავად აშშ-ში კონგრესის დაახლოებით 70 წევრი ოფიციალური პედერასტია, ჯარში 65 ათასი ოფიციალური გეი და ლესბოსელი მსახურობს. ამ დღეებში აშშ-ში ჯარში ერთსქესიანი ქორწინებები, სოციალური შეღავათების თვალსაზრისით, გაუთანაბრეს ჩვეულებრივ ქორწინებებს, მაგალითად, ჯარისკაცის დაღუპვის შემთხვევაში მისი ქორწინების პარტნიორი (არ ვიცი, სხვანაირად როგორ დავარქვა) მიიღებს ფულად კომპენსაციას და აქვს უფლება, გარდაცვალების შემდეგ დაიკრძალოს მასთან ერთად სამხედრო სასაფლაოზე.

**— იმედი მაქვს, საქართველოში საქმე აქამდე არ მივა...**

— ტყუილად გაქვთ იმედი. ეს ძალიან სერიოზული პრობლემაა. დიახ, 17 მაისმა დაგვანახა, რომ ქართულ საზოგადოებაში ეროვნული ღირსების გრძნობამ გაიღვიძა ან შესაძლოა, თვითგადარჩენის ინსტინქტი ამუშავდა. ჩვენი ხალხის ღირსებას, უკვე 20 წელზე მეტია, ფეხქვეშ თელავენ და ბევრ დამკვირვებელს გაუჩნდა შთაბეჭდილება, რომ ღირსების გრძნობა ჩვენს საზოგადოებაში მოკვდა. დიაგნოზი, მე მგონი, ნაადრევია, მაგრამ უნდა ნათლად გავაცნობიეროთ, რომ ჩვენ შევეჯახეთ არა ერთ მუჭა გეებსა და მათ თანამგრძნობ ქართველ «ევროპელებს», არამედ მძლავრ საერთაშორისო ძალას, რომლის უკანაც შეერთებული შტატები — საქართველოს ფაქტობრივი პატრონი, და მთელი ევროპა დგანან. ძალიან არათანაბარი ძალებია.

**— რა უნდა მოიმოქმედოს ქართულმა საზოგადოებამ ამ სიტუაციაში?**

— პირველ რიგში უნდა შეეცადოს, გახდეს, ოდნავ მაინც, მინიმალურად დამოუკიდებელი სახელმწიფო. უკვე 20 წელია, საქართველოს დამოუკიდებლობა გამოიხატება 26 მაისს ზეიმის ჩატარებაში. ეს ცოტა ხომ არაა საიმისოდ, რომ თავი სახელმწიფოდ ჩავთვალოთ? შევარდნაძე და სააკაშვილი გვარწმუნებდნენ, რომ რუსეთის «უმცროს ძმად» ყოფნა უღირსობაა, ამჟამინდელმა პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ ჩვენ შეერთებული შტატების «უმცროსი პარტნიორები» ვართ და ეს, მისი თქმით, დიდი მიღწევაა. სრულიად შესაძლებელია, რომ ვინმეს პარტნიორობა უფრო მოსწონს, ვიდრე ძმობა, მაგრამ პარტნიორს, თუნდაც უმცროსს, შესაძლოა, ჰქონდეს საკუთარი ინტერესები, სხვა შემთხვევაში იგი პარტნიორი არაა — იგი ლაქიაა, მონა. საქართველოს დღეს ერთი მთავარი ეროვნული ინტერესი აქვს — ქართველი ერის, როგორც კულტურულ-ისტორიული ფენომენის, შენარჩუნება.

უნდა ავუხსნათ «უფროს პარტნიორს», რომ, როდესაც საქართველო იყო «უმცროსი ძმა», საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა ყოველწლიურად მატულობდა, თითქმის ყველა ქართველი ცხოვრობდა საქართველოში და ცუდ სიზმარშიც კი ვერ ხედავდა საკუთარ თავს ემიგრანტის ამპლუაში, ქვეყანაში მუშაობდა ასობით ქარხანა, ფაბრიკა, სასოფლო-სამეურნეო საწარმო და ჩვენ არ ვიცოდით, რა იყო უმუშევრობა, მიწას ამუშავებდნენ და მოსავალს იღებდნენ ადგილობრივი გლეხები, ხოლო «პედერასტი» სალანძღავი სიტყვა იყო.

როდესაც ჩვენ გავხდით აშშ-ის «უმცროსი პარტნიორი», შობადობის მაჩვენებელი კატასტროფულად დაეცა, ხოლო სიკვდილიანობის მაჩვენებელი კატასტროფულად გაიზარდა, ქარხნები და ფაბრიკები ჯართში ჩააბარეს, ქართველი ერის მესამედი ემიგრაციაში წავიდა და სხვა ქვეყნებში მომსახურე პერსონალი გახდა, ყოველი მეორე, ვინც სამშობლოში დარჩა, უმუშევარია, ტერიტორიების 20 პროცენტი დაკარგულია, დარჩენილი მიწები ინდოელებს, ჩინელებს, პაკისტანელებსა და კიდევ ვიღაცას მიჰყიდეს, ხოლო პედერასტები ინგლისურენოვანი პლაკატებით ხელში დედაენის ძეგლთან იკრიბებიან და ერთსქესიანი სიყვარულისთვის თავიანთი უფლებების დაკანონებას ითხოვენ. ასეთი «პარტნიორობის» კიდევ 10 წელი და ქართველი ერი, როგორც კულტურული სათემო, უბრალოდ, აღარ იარსებებს.

მეორე, ქართულმა საზოგადოებამ უნდა განსაზღვროს ეროვნული ღირებულებებისა და პრიორიტეტების სისტემა. 15 წლის წინ მე შევიმუშავე და გამოვაქვეყნე **«საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარების სტრატეგია»,** რომელშიც ჩამოვაყალიბე ქვეყნის ეროვნული ინტერესები, მიზნები და ამოცანები განვითარების გარდამავალ პერიოდსა და პერსპექტივაში. მთავარ მიზნად მე ქართველი ერის ფიზიკური განადგურებისგან და ზნეობრივი დეგრადაციისგან დაცვა მივიჩნიე. მაშინვე დავასახელე ლოზუნგი პატრიოტული ძალებისთვის — **«ქართველობის გადასარჩენად!»** სახალხო მოძრაობა **«სამეგრელოს»** გაზეთმა **«ილორმა»** ეს სიტყვები თავის ლოზუნგად აქცია. ამის იქით საქმე არ წასულა. შევარდნაძემ და მისმა კარის ინტელიგენციამ, შემდგომში კი სააკაშვილმა და მისმა გუნდმა მე **«ნაციონალისტი»** და **«კრემლის რუპორი»** მიწოდეს, პოლიტიკურმა ძალებმა, რომლებიც თავის თავს **«ოპოზიციას»** ეძახდნენ, მკვეთრად დაგმეს ჩემი **«ანტიამერიკანიზმი»** და **«ანტიევროპეიზმი».** დღეს ის ჩემი ლოზუნგი კიდევ უფრო აქტუალურია, თუმცა, შესაძლოა, უკვე გვიანიცაა... თითქმის მთელი პოლიტიკური სპექტრი და საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი აგრძელებს ზურაბ ჟვანიას ბოდვითი განცხადებით ხელმძღვანელობას: **«მე ვარ ქართველი, მაშასადამე, ვარ ევროპელი!».** სააკაშვილი და მისი ცხვირმოუხოცავი თანამზრახველები 10 წელი უდებდნენ ხალხს თავში, რომ საქართველო **«ბრუნდება»** ევროპაში, რომ ჩვენ ევროპული საზოგადოების განუყოფელი ნაწილი ვართ და ა.შ. ამისთვის ჩამოჰყავდათ აქ ვიღაც ევროპელი მასხარები — მესამეხარისხოვანი ქვეყნების პრეზიდენტები, ევროპარლამენტარები, მოედნებზე სამარცხვინო შოუებს დგამდნენ. სხვათა შორის, საქართველოში არც ერთი ძირითადი ევროპული ქვეყნის პრეზიდენტი ან პრემიერი არ ჩამოსულა (სარკოზი გამონაკლისი შემთხვევისა და მიზეზის გამო ჩამოვიდა), რითაც მათ საქართველოს **«ევროპულ იდენტობასთან»** საკუთარი დამოკიდებულება გამოხატეს.

საქართველო არასოდეს ყოფილა ევროპის ნაწილი და ევროპა არასოდეს თვლიდა საქართველოს თავის ნაწილად. ევროპულმა კულტურამ, ევროპულმა ღირებულებებმა საქართველოში მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში შემოაღწია რუსეთიდან. მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 საუკუნის დასაწყისში **«თერგდალეულთა»**, დიდი ქართველი განმანათლებლების დამსახურებით ეს პროცესი გაძლიერდა. მაგრამ მაშინ ევროპა სწრაფად ვითარდებოდა, ევროპული ღირებულებები იყო ჭეშმარიტი პროგრესული ღირებულებები განათლებაშიც, მეცნიერებაშიც, ხელოვნებაშიც, ტექნიკაშიც, წარმოების ორგანიზებაშიც და საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც. დღეს ევროპა მძლავრად დეგრადირებს. ევროპული სახელმწიფოები აღარ არიან დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოები თავისი ეროვნული ტრადიციებით, წესჩვეულებებით, ზნეობრივი ნორმებით. ევროპელი ერები ცდილობენ, ხელისუფლებაზე დემოკრატიული მეთოდებით ზეწოლით შეეწინააღმდეგონ დამანგრეველ ტენდენციებს, მაგრამ ამას აზრი არ აქვს.

დასავლური დემოკრატია, როგორც დასავლური ეკონომიკური მოდელი, ჩიხში შევიდა, მოსახლეობის ეროვნული ინტერესების დაცვის საშუალება აღარაა. უმრავლესობის ნება — დემოკრატიის საფუძველი — აღარაფერს აღარ წყვეტს. იგი შეცვალა საგარეო პოლიტიკაში აშშ-ის და საერთაშორისო კაპიტალის ნებამ, საშინაოში — **«უმცირესობათა»** მოთხოვნებმა. გაიხსენეთ: დიდი ბრიტანეთის მოსახლეობის 80 პროცენტი ეწინააღმდეგებოდა მათი ქვეყნის ერაყთან ომში მონაწილეობას, მაგრამ ინგლისის ხელისუფლებამ მიაფურთხა საკუთარი ხალხის სურვილს. აშშ-ში ომის დაწყების წინააღმდეგ მრავალმილიონიანი დემონსტრაციები იმართებოდა, მაგრამ ხელისუფლებამ ომი მაინც დაიწყო. ფრანგთა უმრავლესობა ერთსქესიანი ქორწინების წინააღმდეგ გამოდის, მაგრამ პრეზიდენტმა და პარლამენტმა უმრავლესობის ნების იგნორირება მოახდინეს.

მულტიკულტურალიზმის პოლიტიკამ და მცდელობებმა, მომხდარიყო მილიონობით მიგრანტის ინტეგრაცია, კრახი განიცადა. კომფორტით განებივრებული ევროპელები, რომლებიც ორიენტირებულები არიან მოხმარებაზე, რომლებმაც დაივიწყეს ქრისტიანული პოსტულატები და მიეჩვივნენ **«უმცირესობათა უფლებების»** დაცვას, დაუცველები აღმოჩნდნენ ეროვნულად და რელიგიურად ერთსულოვანი მიგრანტების სათემოების უხეში ზეწოლის წინაშე, რომლებიც დაჟინებით და აგრესიულად ახვევენ თავს ევროპას საკუთარ ნორმებსა და ქცევის წესებს. ორ მილიონ მუსლიმანს შეშინებული ჰყავს მრავალმილიონიანი ინგლისი. საქმე აბსურდამდე მივიდა: ინგლისელი სამხედრო მოსამსახურეებისთვის რეკომენდებულია, არ იარონ ლონდონის ქუჩებში სამხედრო ფორმით, რათა არ მოახდინონ ძალადობის პროვოცირება მუსლიმანი ექსტრემისტების მხრიდან! წყნარ შვედეთში ყოველ ღამე იწვის ავტომანქანები, ორი წლის წინ იგივე ხდებოდა პარიზში. ევროპელ ერებს, თუ მათ გადარჩენა სურთ, არ აქვთ სხვა გზა, გარდა იმისა, რომ დაუბრუნდნენ ეროვნულ სახელმწიფოებს და რადიკალურად შეცვალონ დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების შესახებ საკუთარი მოსაზრებები. ეს პროცესი ძალიან მძიმე და, ალბათ, სისხლიანი იქნება, ფაშისტური უკიდურესობებითურთ, როგორც ეს ევროპას ისტორიულად სჩვევია, მაგრამ ის გარდაუვალია. ევროპის ერებს ჯერ კიდევ აქვთ პოტენციალი, რომელიც საკმარისია აღზევებისთვის. საქართველოს კი ასეთი პოტენციალი არ აქვს. თუ ჩვენ მორჩილად მივიღებთ თავსმოხვეულ «ღირებულებებს», დავიღუპებით.

*(გაგრძელება შემდეგ ნომერში)*

# სულ რამდენიმე დღეა დავკრძალეთ დიდი რეჟისორი და საქართველოზე უანგაროდ მზრუნველი მოღვაწე რეზო ჩხეიძე, მაგრამ ფაქტია რომ ამ დანაკარგით გამოწვეული გულისტკივილი არასოდეს განელდება. გთავაზობთ მორიგ გამოხმაურებებს, სადაც ქართულ-აფხაზური საზოგადოება ღირსეულ პატივს მიაგებს ჭეშმარიტად დიდ შემოქმედს



## თქვენი ცხოვრება მაგალითი და ანდერძია თაობებისთვის

გულისტკივილით ვეთხოვები უნიჭიერეს ქართველ ხელოვანს, საქვეყნოდ ცნობილ კინორეჟისორს, მრავალმხრივ შემოქმედს, ერის ერთგულებისა და ორიგინალურობის სიმბოლოს, სულიერად ამაღლებულს, შინაგანად გაწონასწორებულს და რწმენით სპეტაკ, ბატონ რეზო ჩხეიძეს. სწორედ მისი მსგავსი ადამიანები ქმნიან ერის სახეს და მისი ძლიერების ბურჯები ხდებიან.

თქვენი განვლილი ცხოვრების გზა, ღვთისკენ მიმავალი გზაა, ბატონო რეზო, თქვენი ცხოვრება სწავლაა, როგორი უნდა იყოს ადამიანი ამ ქვეყანაზე. თქვენი ყველა ფილმი შედევრია, თქვენი პოზიცია ქართულია, ამაღლებული, უხინჯო...

როცა კინოფილმი **„ჯარისკაცის მამა“** გამოვიდა ეკრანებზე, იმ წელს გამიწვიეს სამხედრო სამსახურში და აღმოვჩნდი აქედან შორს, ურალში. მახსოვს, როგორი აღფრთოვანებული იყო მოსახლეობის ყველა ფენა თქვენი ნაღვაწით. ამის გამო ჩვენს სიხარულსა და თავმოწონებას საზღვარი არ ედო. და ეს თქვენი ნიჭიერების წყალობით იყო.

რა სიმბოლურია, რომ 9 მაისს – გამარჯვების დღეს დაემთხვა თქვენი გარდასვლა სამარადჟამო სასუფეველში. თქვენი სიცოცხლე, შემოქმედება და ღვაწლი, ხომ გამარჯვება იყო.

თქვენისთანა ადამიანები არ კვდებიან, მხოლოდ ამაღლდებიან ზეცაში და სამარადისოდ იქ დავანდებიან, რომ დროდადრო თავი შეგვახსენონ, როგორი უნდა იყვნენ ერის ნამდვილი მამულიშვილები.

**ბორის დავითაია,**
**სამეგრელო**

## “მას არ აქვს პოლიტკური, ეთნიკური, გეოგრაფიული საზღვრები” – რას წერენ აფხაზები “ჯარისკაცის მამაზე”

***“ფილმი დიად მამაზე. ყოველ კადრი, ყოველი დიალოგი შედევრია. მაგრამ, როდესაც ის რაიხსტაგში სცნობს შვილის ხმას, შეუძლებელია გულის ცრემლების გარეშე გადარჩე.”***

ცნობილი აფხაზი ჟურნლისისტი და პუბლიცისტი **ბათალ კობახია** “ფეისბუქის” გვერდზე წერს:

“ვუყურებ “ჯარისკაცის მამას”, თუ მეხსიერება არ მღალატობს, მთელი ცხოვრებაა ვუყურებ ამ ფილმს და ყოველ ჯერზე ისეა, თითქოს პირველად ვუყურებდე. ფილმი დიად მამაზე – ყოველი კადრი, ყოველი დიალოგი შედევრია. მაგრამ, როდესაც ის რაიხსტაგში იცნობს შვილის ხმას, შეუძლებელია გულის ცრემლების გარეშე გადარჩე. გენიალურია საუბარი მამისა შვილთან: დედაზე, ყურძენზე, თითქოს არაფერზე, ისე, როგორც ყველა ოჯახში ხდება. ხელოვნება, რომელიც სულში და გულში ღრმად არის გამოტარებული, ყოველთვის გენიალურია. მას არ აქვს პოლიტკური, ეთნიკური, გეოგრაფიული საზღვრები... არანაირი საზღვრები, მხოლოდ გულის მასშტაბი, ის კი უსაზღვროა... ყველას გილოცავთ გამარჯვების დღეს. დიადი გამარჯვების დღეს!”

ამ პოსტს გამოხმაურებაც მოჰყვა, გთავაზოთ რამდენიმე კომენტარს:

**ალისა გიბცა:** გენიალური ფილმია, ან მსახიობი როგორია! ფაქტურა, პლასტიკა მასზეა მთელი ფილმი აგებული! დამდეგ გამარჯვების დღეს გილოცავთ! დაე, ჩვენს თავზე მშვიდობიანი ცა იყოს მუდამ!

**ანზორ აღლეიბა:** სერგო ზაქარიაძე დაბადებული იყო ამ როლისთვის. სხვათა შორის, საქართველოში, მის მშობლიურ სოფელში დგას ძეგლი. ის ერთადერთი მსახიობია, რომელსაც ძეგლი სიცოცხლეში დაუდგეს. ეს ერთ-ერთია იმ იშვიათ ფილმებს შორის, რომელსაც ცრემლებამდე მიჰყავს ადამიანი. ეს ერთდროულად არის სიხარულის, სიცილის და ასევე ტრაგედიისა და ნაღველის ცრემლები. მთელ ფილმს ერთი ამოსუნთქვით უყურებ ადამიანი. მას შეიძლება უყურო მთელ ოჯახთან ერთად და ის გასაგებია ბავშვებისთვისაც და მშობლებისთვისაც. ესაა ფილმი ორი ძმური ერის გამარჯვებაზე, ტრაგედიაზე, რომელიც ერთად გადაიტანეს... ეს ის ფილმია, რომელიც აერთიანებს. ორი აზრი არ არსებობს, ეს შედევრია.

**მანანა შამბა:** ყველა სიტყვას ვიზიარებ. ეს შედევრია, რომელსაც საზღვრები და ეროვნება არ აქვს... და მადლობა ღმერთს!

**ვლადიმირ ვარდაია:** ფილმი ამ წუთებში გაგრის ტელევიზაზე გადის.

გავრცელებული ინფორმაციით, რეჟისორ რეზო ჩხეიძის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, ოფიციალურმა სოხუმმა, რაულ ხაჯიმბას განკარგულებით, მიიღო “ჯარისკაცის მამის” ფერადი ვერსიის მთელი აფხაზეთის მასშტაბით ჩვენების გადაწყვეტილება.

## რეზო ჩხეიძემ კინემატოგრაფში მთელი ეპოქა შექმნა

რეზო ჩხეიძეს მაშინ გავესაუბრეთ, როცა ფილმ **“ჯარისკაცის მამის”** გადაღებიდან 50 წელი შესრულდა. დამდგმელ რეჟისორს, ბატონ რეზო ჩხეიძეს ვთხოვეთ, ფილმზე მუშაობა გაეხსენებინა:

– მუშაობის დაწყებამდე ვიღებდი ფილმს რომელშიც მთავარ როლს სერგო ზაქარიაძე თამაშობდა... ერთ დღეს კინოსტუდიის ეზოში სულიკო ჟღენტი შემხვდა, – ბათუმში მივდივარ, მატარებელზე არ დამაგვიანდესო და გრაგნილი მომაწოდა, – წაიკითხეო.

შინ მიმავალმა ტროლეიბუსში დავიწყე კითხვა. ისე გამიტაცა, რომ სამ წრეზე გავყევი ტროლეიბუსს. ბოლოს, მძღოლმა მკითხრა, – არ ჩადიხარო? დავურეკე სულიკოს ბათუმში, როდის ჩამოხვალ, სცენარზე უნდა დავიწყოთ მუშაობა-მეთქი. სულიკო თავად მონაწილეობდა მეორე მსოფლიო ომში, სადაც დაიჭრა, მიღებული ჰქონდა 4 მედალი...

სცენარის წაკითხვისთანავე გადავწყვიტე, რომ ეს როლი სერგოს უნდა ეთამაშა. მივედი კინოსტუდიაში და საგრიმიოროში შევედი, – ბატონო სერგო, ფილმის გადაღებას ვაპირებ სამამულო ომის თემაზე-მეთქი. სამამულო ომზე იმდენი სურათია, ახალი რაღა უნდა გადაიღოო. როდესაც ფილმის სიუჟეტს მოვუყევი, ატირდა:

– მე რატომ მომიყევიო.

– თქვენ უნდა ითამაშოთ-მეთქი.

– უჰ, შენ აგაშენა ღმერთმა... თუ ამ როლს ვითამაშებ, ბედნიერი ვიქნებიო...

მოსკოვმა უსიტყვოდ დაგვიმტკიცა სცენარი და ბატალური სცენებისათვის სამხედროებიც გამოგვიყო. ერთ მომენტს გავიხსენებ: გემახსოვრებათ ის სცენა, როდესაც რუსი ჯარისკაცი ვაზს გადაუვლის ტანკით და სერგოს გმირი სილას გააწნავს. ამ სცენას ვიღებდით ბალტიისპირეთში.

ბუნებრივია, გვჭირდება ვაზი, მაგრამ როგორ გინდა იშოვო?!

ზამთრის პირია, გასაჭირში ვართ.

აღმოვაჩინეთ ხეები, რომლის ფოთლები წააგავს ვაზისას, დავამტვრიეთ ტოტები, დავახვიეთ სარებზე და ისე გადავიღეთ. არავინ დაეჭვებულა, რომ ეს ვენახი არ იყო.

– წესი იყო: დასრულებული სურათი მოსკოვში უნდა ჩაგებარებინა. ჩავიტანეთ მოსკოვში. 31 დეკემბერია. სამსახურში მხოლოდ კინემატოგრაფიის მინისტრია ცოლით. დასხდნენ საყურებლად.

მინისტრი მეუბნება: – ამ ფილმს ვერ გავუშვებთ. არ შეიძლება ლეიტენანტი გალახოს ჯარისკაცმა, ეს საბჭოთა არმიის წესდებას ეწინააღმდეგებაო... გავიდა ერთი კვირა. გვირეკავენ უშიშროების სამინისტროდან – ფილმის ნახვა გვინდაო (იმ ერთ კვირაში რა მოხდა, დღემდე არ ვიცი). მოვიდა 13-14 გენერალი და ცივად მოგვესალმა. დაიწყო ჩვენება.

ვხედავ, გამხიარულდნენ, განსაკუთრებით მოსწონდათ სერგოს დამტვრეული რუსული. შუა ჩვენებისას ერთმა მოგვხედა და მაღლა აწეული ცერი გვაჩვენა.

დასრულდა ჩვენება და მოვიდა სამმართველოს უფროსი გენერალ-ლეიტენანტი ეპიშევი და მომილოცა...

შემდეგ ბრეჟნევმა სერგო ზაქარიაძე ლენინის პრემიით დააჯილდოვა, რაც იმ დროს უმაღლესი ჯილდო იყო. მოსკოვის საერთაშორისო კინოფესტივალზე ბატონ სერგოს მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისთვის პირველი პრიზი ერგო.

როდესაც სერგო გარდაიცვალა, გერმანიის თითქმის ყველა კინოთეატრში ეს ფილმი გადიოდა ეკრანებზე. ერთ-ერთ ფესტივალზე, იტალიელ ვარსკვლავს, ჯინა ლოლობრიჯიდას შევხვდი. ხელზე მაკოცა და მითხრა: ბედნიერი ვარ, რომ იმ ხელს ვაკოცე, რომელმაც გადაიღოო.

ცოტა ხნის წინ ამერიკელების დახმარებით ფილმის ფერადი ვერსია გამოვიდა...

**კომენტარი** – ქართველ მაყურებელს კი არ ავიწყდება ხელოვნების სასახლეში, დიდი კინორეჟისორის, სახალხო არტისტისა და საზოგადო მოღვაწის, რეზო ჩხეიძის ხელის ანაბეჭდი, მისივე ავტოგრაფით გაიხსნა.

ხელოვნების სასახლეში ანაბეჭდების გახსნის ტრადიციას ერთი წლის წინ ჩაეყარა საფუძველი და მუზეუმში ყველა იმ პიროვნების ხელის ანაბეჭდი იქნება წარმოდგენილი, ვისაც განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ქართული კულტურის განვითარებაში. ამ ეტაპზე უკვე გახსნილია მსახიობების: ოთარ მეღვინეთუხუცესის, გივი ბერიკაშვილის, კახი კავსაძისა და მომღერალ პაატა ბურჭულაძის ხელის ანაბეჭდები.



კინოფილმმა **“ჯარისკაცის მამა”** ეკრანზე გამოსვლისთანავე (1964 წ.) დიდ წარმატებას მიაღწია და პრემია კორკში (ირლანდია), X საერთაშორისო კინოფესტივალზე მიიღო; 1965 წელს დაიმსახურა დიპლომი სან-ფრანცისკოსა და სალონიკის კინოფესტივალებზე; რომის II საერთაშორისო კინოფესტივალზე კი სპეციალური პრიზი მიიღო. არა და, მეოცე საუკუნის სამოციან წლებში ომის თემატიკაზე გადაღებულ ფილმს ეკრანს არ აღირსებდნენ სსრკ თავდაცვის სამინისტროს გენშტაბის ნებართვის გარეშე. ყველას ეგონა, რომ გენშტაბი ფილმს დაიწუნებდა იმ კადრის გამო, სადაც რიგითი ჯარისკაცი მახარაშვილი ბარაქიან ალიყურს აჭმევს საბჭოთა არმიის ოფიცერს. მაგრამ ფილმის ჩვენების შემდეგ ყველა გააწბილა გენშტაბის უფროსის არმიის გენერალ ეპიშევის კომენტარმა ამ სცენასთან დაკავშირებით:

– სად ხედავთ, რომ რიგითი ჯარისკაცი აწვანს სილას საბჭოთა არმიის ოფიცერს? აქ მამა სჯის შვილს უღირსი საქციელის გამო! – განაცხადა გენერალმა და ყველა ეჭვიც მაშინვე გაბათილდა – რამდენიმე დღეში ფილმს უკვე აჩვენებდნენ მოსკოვის კინოდარბაზებში.

ფაქტია, რომ სწორედ რეზო ჩხეიძის მიერ შექმნილმა კინოშედევრმა “მაგდანას ლურჯა”, გაუკაფა გზა ქართულ კინოპროდუქციას საერთაშორისო ასპარეზზე.



სწორედ ამ ფილმის ნახვის შემდეგ, რომელსაც ქალაქ კანის კინოფესტივალზე სპეციალური პრიზი მიენიჭა, საერთაშორისო კინოპროდიუსერები დაინტერესდნენ ქართველ რეჟისორთა ნამუშევრებით და კინოსტუდია “ქართული ფილმი” მალე იქცა მსოფლიოს კინოსამყაროს ერთ-ერთ ლიდერად.

**გაზეთ “ილორის” მთავარი რედაქტორის კომენტარი – ღმერთმა დამიფაროს, რომ ვინმეს, მით უმეტეს მიცვალებულს რაიმე დავამადლო. მაგრამ ფაქტია, რომ დიდი მსახიობი სერგო ზაქარიაძე სწორედ “ჯარისკაცის მამამ” აიყვანა მთაწმინდის პანთეონში. ამის ფონზე კი რამდენად ობიექტური იყო რეზო ჩხეიძის დაკრძალვა დიდუბის პანთეონში, თავად საზოგადოებამ განსაზღვროს!**

**სამწუხაროა, რომ ხშირად ვუშვებთ საბედისწერო შეცდომებს, რომლის გამოსწორებასაც ზოგჯერ ათწლეულები სჭირდება.**

# სამელიორაციო სამუშაოები რაიონში

სოფლის მეურნეობის სამინისტრო და საქართველოს გაერთიანებული სამელიორაციო სისტემების კომპანია სენაკის მუნიციპალიტეტში სამელიორაციო დაშრობით სამუშაოებს ახორციელებს. სამუშაოების შედეგად დამშრალი ფართობის რაოდენობა იქნება ორი სოფლის (თეკლათი და მენჯი) 330 ჰექტარი, რითაც 380 მოსახლე ისარგებლებს. სამუშაოები მიმდინარე წლის აპრილში დაიწყო და დაახლოებით სამ თვეში დასრულდება, რაც საშუალებას მისცემს ადგილობრივ მოსახლეობას, რომ დროულად ჩაატაროს ხვნა-თესვის სამუშაოები.

საბოლოო გათვლებით პროექტის ღირებულება 120 000 ლარს შეადგენს. სამუშაოებს ახორციელებს საქართველოს გაერთიანებული სამელიორაციო სისტემების კომპანიის დასავლეთის რეგიონის სამსახური. მიმდინარე წელს აგრეთვე დაგეგმილია ახალსოფლის ტერიტორიულ ერთეულში სამელიორაციო სამუშაოების განხორციელება.

სამუშაოების მიმდინარეობა შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებთან ერთად დაათვალიერა სენაკის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა დგებუაძემ. მათ დადებითად შეაფასეს მელიორატორთა მიერ შესრულებული სამუშაოები.

# ოლიმპიური ჩირაღდანი სენაკში

სენაკის მუნიციპალიტეტის გამგებელი გოჩა დგებუაძე და გამგებლის მოადგილე ნატო ფულარია **"თბილისი 2015"**-ის ახალგაზრდული ოლიმპიური საერთაშორისო ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტის წარმომადგენლებს შეხვდნენ. სენაკი, ისევე როგორც ქვეყნის 66 მუნიციპალიტეტი, ოლიმპიურ ჩირაღდანს უმასპინძლებს. 28 ივნისს ოლიმპიური ცეცხლი აქ ერთი დღით დაიდებს ბინას.

შეხვედრაზე განიხილეს საორგანიზაციო საკითხები, რომელიც ამ გამორჩეულ დღესთან დაკავშირებით, საზეიმო ღონისძიებების დაგეგმვას ითვალისწინებს. ამიტომაც დროულად დაიწყეს სენაკელებმა აღნიშნული ღონისძიებებისადმი სამზადისი.

# ცნობილი ბალერინა მაია პლისეცკაია გარდაიცვალა



ფრიად სამწუხარო ამბავი ჩამოვიდა გერმანიიდან – ერთ-ერთ კარდიოლოგიურ კლინიკაში 89 წლის ასაკში ბალერინა მაია პლისეცკაია გარდაიცვალა. ინფორმაცია დიდი თეატრის გენერალურმა დირექტორმა ვლადიმირ ურინმა დაადასტურა. მისი თქმით, ეს სამწუხარო ამბავი ბალერინას მეუღლემ, როდიონ შჩედრინმა შეატყობინა. მაია პლისეცკაია გულის შეტევით გარდაიცვალა.

მაია პლისეცკაია 1925 წლის 20 ნოემბერს დაიბადა ქ. მოსკოვში. 8 წლიდან ის მოსკოვის ქორეოგრაფიულ სასწავლებელში სწავლობდა. სცენაზე ის თითქმის 60 წელი გამოდიოდა. აქედან თითქმის 50 წელი დიდ თეატრში. მხოლოდ "გედების ტბაში" მას საკუთარი დათვლით 800-ჯერ იცეკვა.

"მასთან ერთად მთელი ეპოქა წავიდა" – თვლიან მსოფლიოს სასცენო ხელოვნების კორიფეები. და მართლაც, მაია პლისეკაია გახლდათ არტისტიზმის, სილამაზის, კეთილშობილებისა და ღირსების ღვთიური ნაზავი. ასეთ ადამიანებთან სამუდამოდ დამშვიდობება კი უძნელესი საქმეა. მაია პლისეცკაია აღარ არის ჩვენს შორის, მაგრამ კაცობრიობას დარჩა მისი ლეგენდარული კარმენი, ოდეტა-ოდილია, რაიმონდ და სხვები...

დაგვრჩა მისი მომხიბლველი ცეკვა, ზღაპრული ფარფატი სცენაზე...

ცხოვრების მძიმე გზა გაიარა მსოფლიო ბალეტის სიამაყემ – 1934 წელს ჩაირიცხა მოსკოვის ქორეოგრაფიულ სასწავლებელში. ეს გახლდათ ურთულესი პერიოდი – მაიას მშობლები რეპრესიებში მოჰყვნენ, შემდეგ დაიწყო ომი და გადასახლებიდან დაბრუნებულ დედასთან ერთად ევაკუაციაში მოუწია წასვლამ.

სცენაზე დადგომისთანავე მაყურებელთა და სპეციალისტების ყურადღება მიიქცია ნორჩი ბალერინას ჰაეროვანმა ნაბიჯებმა, მაღლა ახტომამ, შესანიშნავმა ბრუნმა, ხელების გამომსახველმა მოძრაობამ და არაჩვეულებრივმა არტისტულმა ტემპერამენტმა, რაც ბუნებრივად ერწყმოდა მუსიკალურ რიტმს. მისი დებიუტი შედგა 1941 წლის 21 ივნისს (დიდი სამამულო ომის დაწყების ავბედით დღეს) მოსკოვის დიდი თეატრის სცენაზე. ორი წლის შემდეგ კი, ჩააბარა რა სადიპლომო გამოცდები, მაიამ ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა მოსკოვის დიდი თეატრის სცენაზე.

სწორედ მაშინ გამოჩნდა მაია პლისეცკაიას "მომაკვდავი გედი", სენ-სანსის მუსიკაზე – ნომერი, რომელსაც მაია სასცენო კარიერის დასასრულამდე შეასრულებს. მოგვიანებით, მსოფლიოს ცნობილი თეატრების სცენაზე, მაყურებლის დაჟინებული მოთხოვნით, მაიას ხშირად ოთხჯერაც კი უწევს ამ პარტიის შესრულება. მაიას საშინლად არ უყვარდა პარტიის განმეორება, ამიტომ, მისი ყოველი გამოსვლა "ბისზე", შეჯერებული იყო ახალი ელემენტებით: გამოდიოდა კულისების სხვადასხვა მხრიდან, ხან ზურგით იდგა მაყურებლის წინაშე, ხანაც – სახით, ფინალურ პოზას კი ახალ-ახალი აქცენტებით ავსებდა. განუსხვავებელი იყო მხოლოდ მისი ზღაპრული მოძრაობა ხელებით, რასაც ყოველთვის აღფრთოვანებაში მოჰყავდა მაყურებელი.

და დღეს მსოფლიო ემშვიდობება კლასიკური ბალეტის საოცრებას...

ნამდვილად საწყენია!

**როლანდ ჯალაღანია**

# მერი შერვაშიძე – განუმეორებელი სილამაზის გახსენება



მსოფლიო მოდის ფრანგი პიონერი კოკო შანელი ხშირად ხუმრობდა თურმე, – ჩემთვის, ოვერნიელი პროვინციელისთვის, ნამდვილი თავადები შრომობენო.

მერი (მარიამ) შერვაშიძე ქაქუცა ჩოლოყაშვილის თაობისა იყო. ის საქართველოში ბოლშევიკების შემოჭრამდე რამდენიმე დღით ადრე წავიდა ემიგრაციაში. თურქეთში შეყოვნდა, მეუღლის, გიგუშა ერისთავის ჩამოსვლას დაელოდა. ამასობაში სტამბოლში გამართულ სილამაზის მსოფლიო კონკურსში მიიღო მონაწილეობა და გაიმარჯვა კიდეც. შემდეგში მერისა და გიგუშას ცხოვრებაც შეფიცულთაგვარად საფრანგეთში გაგრძელდა. მალე გიგუშა გარდაიცვალა. მერი აღარ გათხოვილა...

თუ ქაქუცას რაზმელები "პეჟოს" საავტომობილო ქარხანაში მუშაობდნენ, საბჭოთა რეჟიმს გამოქცეული მშვენიერი ქალბატონები სხვადასხვა ფრანგული სამოდელო სახლის მანეკენები ხდებოდნენ. 20-იანი წლების მეორე ნახევარში კოკო შანელის სამოდელო სახლის სახე, განუმეორებე;ი სი;ამაზის მქონე მერი შერვაშიძე-ერისთავი (გენიალური პოეტის გალაკტიონ ტაბიძის მუზა) გახლდათ. შანელის სახლის მოდელი იყო მელიტა ჩოლოყაშვილი (ილია ჭავჭავაძის ნათლული, ტიციან ტაბიძის მუზა).

მერი შერვაშიძის პორტრეტი დახატა ცნობილმა რუსმა მხატვარმა საველი სორინმა. ამჟამად ის მონაკოს პრინცის სასახლეშია. იმპერატორმა ნიკოლოზ II-მ ასე მიმართა ქართველი თავადის ასულს: "Грешно, княжна, быть такой красивой" მერი თავდავიწყებით უყვარდა ადმირალ ოსიპ მაკაროვის ვაჟს, რომელმაც სიკვდილის წინ, 1960-იან წლებში, მას 500 ათასი ფრანკი უანდერძა. ამბობდნენ, რომ მერი არ იცინოდა, მხოლოდ იღიმებოდაო.

სიცოცხლის უკანასკნელი დღეები მერი შერვაშიძემ პარიზის მოხუცებულთა თავშესაფარში გაატარა. აქ ინახულა მწერალმა, რეჟისორმა რევაზ თაბუკაშვილმა და გადაიღო კიდეც თავის დოკუმენტურ ფილმში. მერი შერვაშიძე გარდაიცვალა 97 წლისა. დასაფლავებულია ლევილის ქართველთა სასაფლაოზე.

**ეკა სალაღაია**

# ამერიკელმა კონსერვატორმა პუტინს „ქრისტიანობის ლომი" უწოდა

რუსეთმა აშშ-ს სულიერების თვალსაზრისით გადაუსწრო, დარწმუნებულია ცნობილი კონსერვატორი ბრაიან ფიშერი. თავისი რადიოგადაცემის ეთერში მან წაიკითხა ნაწყვეტები პუტინის გამოსვლიდან დასავლეთის ზნეობრივი დეგრადაციის შესახებ და რფ-ის პრეზიდენტს ქრისტიანული ღირებულებების დამცველი უწოდა.

„ჩვენ ვხედავთ, რომ ბევრი ევროატლანტიკური ქვეყანა ფაქტობრივად თავისი ფესვების უგულებელყოფის გზას დაადგა, მათ შორის, ქრისტიანული ღირებულებებისაც. ხდება ზნეობრივი საწყისებისა და ნებისმიერი ტრადიციული იდენტობის უგულებელყოფაც: ნაციონალურის, კულტურულის, რელიგიურისა და სქესობრივისაც კი.

ტარდება პოლიტიკა, რომელიც მრავალშვილიან ოჯახსა და ერთსქესიან პარტნიორობას, ღვთისა და სატანის რწმენას ერთ დონეზე აყენებს. მიმდინარეობს პედოფილიის პროპაგანდა. ბევრ ევროპულ ქვეყანაში ადამიანებს რცხვენიათ და ეშინიათ თავის რელიგიურ კუთვნილებაზე საუბრის. ეს პირდაპირი გზაა დეგრადაციისა და პრიმიტივაზიციისკენ, ღრმა დემოგრაფიული და ზნეობრივი კრიზისკენ".

ეს, ბატონებო და ქალბატონებო, რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის სიტყვებია. კონტრასტი მათსა და ჩვენს პრეზიდენტს შორის უზარმაზარია", – აღნიშნა ბრაიან ფიშერმა.

# უკრაინის მართლმადიდებელმა თემმა გადაწყვიტა, უარყოს მართლმადიდებლობა და შეუერთდეს ბერძენ-კათოლიკეებს...



ამ წინადადებით გამოვიდა უკრაინის ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის ხარკოვ-პოლტავის ეპარქიის არქიეპისკოპოსი იგორი. მის ინიციატივას ერთხმად დაუჭირეს მხარი საეკლესიო კრებაზე.

ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია მიმდევრების რიცხვითა და თავისი კუთვნილი ტაძრების რიცხვით, მოსკოვისა და კიევის პატრიარქატის უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის შემდეგ მესამეა. უკრაინის ეკლესიის მფლობელობაში 1200 ტაძარია.

მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული წმიდა მოწამე ტატიანას ტაძრის წინამძღვარი ვლადიმერ ვიგილიანსკი მიიჩნევს, რომ მართლმადიდებლობაზე უარის თქმა – „წმიდა წყლის პოლიტიკაა", რომელსაც რელიგიასთან არაფერი აქვს საერთო. ამ ქმედებებს შეუძლია საეკლესიო განხეთქილების გამწვავება.

**საქინფორმი**

**კომენტარი: მოკლედ, თამამად შეიძლება ითქვას, რომ უკრაინა უკვე აღარ არსებობს. ამ დასკვნის უფლებას გვაძლევს ბანდერელთა ამასწინანდელი განცხადება იმის თაობაზე, რომ ისინი საკუთარ თავს არასოდეს თვლიდნენ უკრაინელებად, რადგან უკრაინის დასავლეთი და ბესარაბია ისტორიულად ჩეხეთისა და მორავიის საკუთრებაა და ისინი მალე დაუბრუნდებიან თავიანთ ისტორიულ სამშობლოს. ესე იგი, უკრაინა აღარ არსებობს როგორც ეთნიკური წარმონაქმნი.**

**ხოლო საქინფორმის აღნიშნული წერილის გაცნობის შემდეგ იმაშიც დარწმუნდებით, რომ უკრაინა აღარ არსებობს როგორც მართლმადიდებლური ქვეყანა.**

**ნამდვილად ძნელად წარმოსადგენი იყო, თუ ესოდენ დიდი და ძლიერი სახელმწიფო ასე სწრაფად აღიგვებოდა პირისაგან მიწისა. თუმცა, გასაკვირი არაფერია – ეს გარდაუვალია, როცა ქვეყანა მთავარ მრჩევლად ამწესებს იმ საკაშვილს, რომელსაც მთელი თავისი პოლიტიკური მოღვაწეობის განმავლობაში საქართველოში ნგრევისა და სიბილწვის თესვის მეტი არაფერი უკეთებია. სამაგიეროდ, ახლა უკვე გვექნება იმის უტყუარი ორიენტირი, თუ რომელ ქვეყანას დაუპირებენ განადგურებას ევროამერიკელი მასონები. ეს იქნება ის ქვეყანა, სადაც მასონები სააკაშვილსა და მის ბანდას გადაიყვანენ მრჩეველებად!**

# საქართველოს, ქართველ ერს დამწერლობა ჰქონდა ოთხი, შეიძლება ხუთიც!

**„სიმართლე მწარე წამალია – არ გესიამოვნება, მაგრამ მოგარჩენს“.**
**ვიქტორ ჰიუგო**

ჩვენი ქვეყნის დღევანდელი პოლიტიკური თუ სოციალური მდგომარეობა თითქოს მეორე ხარისხოვანს ხდის რიგ საკითხებს, მაგრამ არ შეიძლება იმ რეალობის, იმ სიმართლის უგელვებელყოფა, უყურადღებოდ თუ სხვა მიზეზით უარყოფა, რაც შეიძლება სავალალო, გამოუსწორებელი შედეგით დამთავრდეს და მისი გამოსწორება შემდეგში შეუძლებელიც გახდეს, რაც აუცილობლად ავნებს საქართველოს ისტორიასაც და, სათანადოდ, მის კეთილ მომავალსაც.

გაჩუმება კი დანაშაულის ტოლფასია!

მე შევეხები იმ საკითხს, რომელიც ყოველი თქვენთაგანისთვის ცნობილია და, მიუხედავად ჩემი ეჭვისა, მქონდეს მორალური უფლება შევეხო ისეთ სიწმინდეს, როგორიცაა ენა, მამული, სარწმუნეობა, მრწამსი, გავკადნიერდები და თავს ნებას მივცემ ორიოდე სიტყვით მოგახსენოთ ჩემი მოსაზრება ენის, ჩვენი ქართული ენის მიმართ, ჩვენი ანბანის მიმართ.

მოგეხსენებათ ბერძენი ფილოსოფოსის ჰერაკლიტეს მოსაზრება იმის შესახებ, რომ **„სიტყვები ბუნების მიერ არის შექმნილი“**, ანუ უფლის მიერ შექმნილი ბუნების მიერ, ანუ უფლის მიერ და დამეთანხმებით, უფლის ნამოღვაწარს უსათუოდ მოფრთხილება სჭირდება, მით უმეტეს მაშინ, როცა ვიცით უტყუარი ჭეშმარიტება, რომ ერს, რომელსაც წაართვეს ყველაფერი, ყველაფერს დაიბრუნებს, მაგრამ თუ ენა წაართვეს, მას ვერასდროს შექმნის. სიკვდილი ელის ერს, რომელსაც ენა მოუკვდება.

თქვენის ნებართვით შეგახსენებთ ზოგიერთი უცხოელი და ჩვენი თანამემამულის გამონათქვამს თუ მოსაზრებას, რომელიც მაძლევს უფლებას მოგახსენოთ ჩემი მოსაზრება:

ჰეროდოტე – **„კოლხებს უძველეს დროში დამწერლობა ჰქონდათ“.**

აპოლონიოს როდოსელი – **„კოლხებს შემონახული აქვთ თავიანთ მამათაგან ნაწერი კირბები“.** (ეს არის პირველი ცნობა ქართველურ ტომებში არსებული დამწერლობის შესახებ).

კარლ რისტერი – „გერმანელი გეოგრაფი – **“რუკების დაწერის ხელოვნებას კოლხები უფრო ადრე ფლობდნენ, ვიდრე ბერძნები. ეს მიგვანიშნებს კოლხეთის განათლებისა და კულტურის მაღალ დონეზე. კერძოდ კრავის ტყავზე (რომელიც შემდეგ შეცვალა პერგამენტმა) იწერებოდა რუკები. პერგამენტის ერთ-ერთი ნაირსახეობის გამომგონებლები კოლხები არიან, რომლის გამოგონების თარიღად ვარაუდობენ ძვ. წ. აღ. VIII-VI საუკუნეებს. კოლხები თუ რუკებს წერდნენ, კირბები ჰქონდათ, მაშინ დამწერლობაც ჰქონიათ“.**

აგათია, ბიზანტიელი ისტორიკოსი, პროკოფი კესარიელის თანაშემწე ამბობს: **– „უძველესი და ულამაზესი ხალხია ლაზები და სხვა ძლიერ ხალხებზეც მბრძანებლობენ, კოლხთა ძველი სახელოვნებით ამაყობენ და არცთუ უსაფუძვლოდ... მე არ მეგულება არც ერთი სხვა ესოდენ სახელგანთქმული და ქველი ხალხი, როგორც კოლხები, თავისი სიმდიდრის სიუხვით, ისე ქვეშევრდომთა სიმრავლით, როგორც მიწა-წყლის სიჭარბით და მოსავლიანობით, ისე ხასიათის მშვენიერებითა და სიმკვირცხლით“.**

იური მოსენკისი – **„შეიძლება გარკვევით ვივარაუდოთ, რომ კასიტური ენა – კიდევ ერთი უძველესი ენაა ქართველური ოჯახებისა – მისი მატარებელი დინასტია მართავდა ბაბილონს ძვ. წ. აღ. XVIII- XII საუკუნეებში, მმართველობა კოლხურ ენაზე ხდებოდა“.**

იგნატიოს დონელი – **„მაია არის წარღვნამდელი ატლანტიდან მოსული ტომის – კოლხუას კულტურული მემკვიდრე“.**

ვლადიმერ ალფენიძე – **„ატლანტიდის ოკეანის გაღმაა კოლხუა, ვინც მაიას ტომს შეუქმნა თუ ატლანტიდან მოუტანა დამწერლობა, ანბანი“.**

იელის უნივერსიტეტის ქიმიკოსი – ჟაკლინ ილონი – **„999 წელს, კოლუმბამდე, 493 წლით ადრე აღმოაჩინეს ამერიკა ორმა სკანდინავიელმა მოგზაურმა, იქ დიდი კულტურული მისია შეასრულა – მაიას ტომს თავისი ალფაბეტი შეუქმნა, კოლხუათა – ატლანტიდური ცივილიზაცია დაამკვიდრა ცენტრალურ ამერიკაში“.**

ჩვ. წ. აღ. IV საუკუნის მოღვაწე ფსევდოროფეო – **„კავკასიის ზღვისპირეთის გასწვრივ ცხოვრობდნენ დიდი კოლხები...“**

გიზო ჭელიძე – 3500 წლის წინ დასავლეთ საქართველოს, როგორც სახელმწიფოს სახელმწიფოებრივი ენა იყო კოლხური – ამ ენაზე წარმოთქვამდნენ სიტყვებს და ლოცვებს მათი ტომობრივი წინაპრები.

ფაზისის აკადემიაში სწავლება პროტოქართველურ – კოლხურ და ბერძნულ ენებზე მიმდინარეობდა. III-IV საუკუნეებში კოლხეთი დამოუკიდებელი სახელმწიფო იყო, ხოლო სახელმწიფო ენა კოლხეთის სახელმწიფოში, რა თქმა უნდა, კოლხური იყო. ძველი ქართული სალიტერატურო ენა საეკლესიო ენად კოლხეთში მკვიდრდება გრიგოლ ხანძთელის შემდეგ. (VIII – IX სს)

კლაუს შმიდტმა საქართველოს, კოლხეთის უძველეს საცხოვრისზე აღმოაჩინა 11.000 წლის წინანდელი ეკლესია – ტაძრები, რომლებსაც აქვთ ასონიშნებით და ნახატნიმუშებით წარწერები. ბერძნებამდე მრავალი – ათეული საუკუნეების ადრე, კოლხ – ქართველებს ჰქონდათ საკუთარი დამწერლობა.

ძველი ბერძენი პოეტების მასწავლებელი იყო ლინოსი, რომელმაც კოლხურპელაზგური ასოებით აღწერა დიონისეს საქმენი. ძველი დამწერლობით და ენით შექმნა მან აგრეთვე ფრიგიული პოეზიაც.

აგრეთვე ცნობილია ზანური – მეგრულ – ლაზური ენა.

კლიმენტი შელია\, აწგანსვენებული ბრწყინვალე მკვლევარი და მოაზროვნე – **„ქართული (კოლხური) ენა – მსოფლიოს პირველი ენაა“.**

ბატონ გია კვაშილავას აღმოჩენაზე – ფესტოსის დისკოს გაშიფვრაზე იმდენია თქმული...

გრიგოლ ყიფშიძე – **„ლაზურ-მეგრული და სვანური შუქსა ჰფენს ჩვენი საერთო და საზოგადო ქართულის იმ პერიოდს, როცა ჯერ კიდევ ჩვენი ერის ისტორია არც კი დაწყებულიყო. ბევრი ძირი და ფესვი ჩვენი სიტყვებისა, აწ უკვე გაუგებარი, შესაძლოა მოვიკვლიოთ ამ იდიომების შესწავლით“.**

აკაკი წერეთელი – **„მეგრული სალაროა ქართული სიტყვებისა – აღმოსავლეთ საქართველოს დაჰკარგვია ნამდვილი ქართული სიტყვები. მათ ნაცვლად, სომხურ-თათრულ-სპარსული შემოუღიათ, რომელიც ქართველის ყურს ცუდად ეჩხირება და გულსა სწყინს. მეგრულ ენაში კი შემონახულან ოქროს მარგალიტებად ის ძველი სიტყვები. ჩვენ ვურჩევთ ჩვენს მწერალ მწიგნობრებს, მეტი ყურადღება მიაქციონ მეგრულს, რომ იქიდან ამოკრეფილი სიტყვებით შეავსონ მათი შელახული ქართული ლექსიკონი“.**

ილია ჭავჭავაძე – **„ერის პირქვე დამხობა, გათახსირება, გაწყალება იქიდან იწყება, როცა მას ხსოვნა ეკარგება. თავის წარსულისა, თავის ყოფის ცხოვრების. დავიწყება ისტორიისა, თავისი წარსულისა და ყოფილის ცხოვრების აღმოფხვრა ხსოვნისაგან, მომასწავებელია ერის სულით და ხორცით მოშლისა, დარღვევისა და მთლიანად წარწყმედისა“.**

**– „სამეგრელოში მოველ და საქართველო ვნახე – დიდი საქართველო! ბევრი ჭირი უნახავს საქართველოს, მრავალს ქარტეხილს გადაუვლია ზურგზედა მისსა, მაგრამ ყოველთვის ჟამსა და რღვევისა და გაწბილებისა... მტერთა მისთა დამთრგუნველი სამეგრელო იყო, იგი იყო ერთსული და ერთგული იმ სხეულისა, რომელსაც საქართველო ეწოდება. ასე იყო წინეთ, ეგრე არის ახლა, ეგრე დარჩება მომავალშიც“.**

არქანჯელო ლამბერტი – **„არც ერთი ერი პატივს არა სცემს მიწათმოქმედებას ისე, როგორც მეგრელები. სხვაგან ყველგან მიწის მუშაობას ეტანებიან მხოლოდ დაბალი ხალხი და ხეპრე გლეხები. სამეგრელოში კი რაც არ უნდა დიდი გვარის კაცი იყოს, თვითონ მუშაობს თავის ყანებში და მოჰყავს თავისი საზრდო. ეს საქმე სათაკილოდ როდი მიაჩნიათ“.**

ვაჟა-ფშაველა – „მე არც ერთ ენას არ ვწუნობ, თუა ქართულის გვარისა“.

ფრიდრიხ შლოცერი – გერმანელი – **„კავკასიური ტომების ხალხებს ეკუთვნის ყველაფერი – მეცნიერებასა და ხელოვნებაში ნამდვილად კეთილშობილურის გამოგონება, ყველაფერი, რაც გონიერი არსებობის ღირსია.**

**კავკასიურმა ტომმა, ჯერ კიდევ შორეულ დროში სხვებზე განდიდებულმა, თავისი პირველობა გვიანდელ პერიოდშიც შეინარჩუნა, ისტორიის პირველი დღეებიდან ახლანდელ დრომდე, იგი ყოველგვარი შესვენების გარეშე შეადგენს კაცობრიობის ბირთვს და ცენტრს, რომლის ირგვლივ ბრუნავს მთელი სამყაროს ისტორია“.**

ვლადიმერ ალფენიძემ 1999 წელს წამოაყენა დებულება, რომ ქართულმა ტომმა კოლხუამ, კოლუმბამდე მრავალი საუკუნით ადრე ამერიკა აღმოაჩინა და იქ ატლანტიდური ცივილიზაცია დაამკვიდრა. სენსაციური დამთხვევაა ის, რაც 8 წლის შემდეგ 2007 წელს დაადასტურა ამერიკელმა მეცნიერებმა. ამერიკელ მეცნიერთა აღმოჩენით, კავკასია (კოლხეთი) მსოფლიოში ადამიანთა მოდგმის გავრცელების მთავარი კერა ყოფილა, რომ თანამედროვე ევროპელთა რასა მუტაციის გზით კავკასიაში ჩამოყალიბებულა და შემდეგ აქედან გავრცელებულა მთელ ევროპაში და ამერიკაში.

ამ და სხვა მრავალი მტკიცებულებებიდან გამომდინარე თავს უფლებას მივცემ წამოვაყენო შემდეგი წინადადება:

**1. საქართველოს, ქართველ ერს ჰქონდა და აქვს დამწერლობა არა სამი – ასომთავრული, ნუსხა-ხუცური და მხედრული, არამედ ოთხი. ამ ბრწყინვალე ალფაბეტებს ემატება კიდევ ერთი და უძველესი – კოლხური დამწერლობა, რაც ასე მოესალბუნება სმენას: კოლხური, ასომთავრული, ნუსხა-ხუცური და მხედრული. მოხარული ვიქნები თუ ამ რიცხვს სვანურიც დაემატება, რაც მეხუთე იქნება.**

**2. ქართველ ერს სიამაყით შეუძლია თავისი ისტორია წარმოადგინოს კოლხეთის სახელმწიფოს შექმნის დღიდან, (მაგალითისთვის გვაქვს რუსეთი, რომლის ისტორია იწყება „კიევსკაია რუსი“-ით. ეს ის შემთხვევაა, როცა ერთმანეთისგან დამოუკიდებელ ქვეყანებთან გვაქვს საქმე. ჩვენს შემთხვევაში კი ეს ავტომატურად უნდა იგულისხმებოდეს. შეუნდოს უფალმა მის გამყალბებელთ), რაც გაცილებით ფესვებგადგმულია, მოიცავს 5000 წელს, ვიდრე ზოგიერთი მეზობელი ერების წლოვანება, რომლებიც ამ საკითხში გვეცილებიან, რაც, დამეთანხმეთ, ღიმილს იწვევს. ანუ საქართველოს ისტორია არის გაყალბებული, მთელი 5000 წლით, რაც ძალზედ დასანანია და დროულად გამოსასწორებელი.**

დამეთანხმებით, სამყაროს ზრუნვის შესამეცნებლად, აუცილებლად ჰორიზონტია საჭირო, ანუ ზღვა, დაბლობი და მწვერვალი ერთდროულად.

საქართველოში ზღვა ორი იყო, დამწერლობა ოთხი, ხოლო მწვერვალი და ვაკე გაცილებით მეტი.

დასასრულს, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ქადაგებიდან ერთ ამონარიდს წავიკითხავ:

**„ვთხოვ ქართველ მორწმუნეთ, გამოიჩინონ სიბეჯითე და გულმოდგინება, შეისწავლონ ასომთავრული და ხუცური დამწერლობა. არ მოშალონ ხიდი, გადებული სახელოვან წარსულსა და ბედნიერ მომავალს შორის, როგორც ერთადერთი გზა, რომლითაც მოაღწია ჩვენამდე ენამ, რწმენამ და ქართველი კაცის გენიამ“.**

**ომარ ნანავა**

# სამხედრო ვეტერანების მიმართვა ხელისუფლებას

ქართულმა ოცნებამ და მისმა აქტივისტებმა ყველაფერი გაიღეს და გააკეთეს იმისათვის, რომ **“ნაც. მოძრაობასთან”** ბრძოლაში გაემარჯვათ, მაგრამ გამარჯვების ნაყოფი **“ნაციონალებმა”** მოიმკეს, იმიტომ მოიმკეს, რომ ხელისუფლების ყველა რგოლში, განსაკუთრებით შუა და ადგილობრივ დონეზე, **“ნაცები”** ისეთ რაოდენობით არიან წარმოდგენილნი, გეგონება, ქვეყანა კვლავ მიხეილ სააკაშვილი მართავს. როდესაც ხელისუფლება შეიცვალა, ამ მთავრობამ ერთადერთი კარგი ნაბიჯი გადადგა, რაც ომში დაღუპული წევრებისთვის ფულად დახმარებას გულისხმობს. ვინც ბრძოლის ველზე დაეცა გმირია, მაგრამ ვინც ცოცხალნი დავრჩით, ვინ ვართ?! არც ერთ ხელისუფლებას არ სცალია ჩვენთვის. ორ ათეულ წელზე მეტია გაჩუმებულები ვართ, მაგრამ ახლა გაჩუმებას არ ვაპირებთ. დავიღალეთ უკვე ამ დაპირებებით. ვეტერანების დეპარტამენტის ხელმძღვანელად დაგვინიშნეს კაცი, რომელიც ერთი საათიც კი არ იმყოფებოდა ბრძოლის ველზე, გვარად შიხიაშვილი.

ასეთი ადამიანი დაგვაფასებს ჩვენ, ვეტერანებს? – ვეკითხებით ხელისუფლებას.

რა თქმა უნდა არა!

ჩვენ, ვეტერანებს გვჭირდება ხელმძღვანელად კაცი, რომელმაც გამოიარა ომის ის სირთულეები, რაც ომს ახასათებს ეს ყველამ კარგათ ვიცით.

ამჯერად, საქართველოს ხელისუფლებას მოგმართავთ თხოვნით, რათა გაითვალისწინოთ ჩვენი წინადადება და ყურადღება გაამახვილოთ ჩვენ მიერ შემოთავაზებულ კადრზე, ბატონ ჯუმბერ ანანიძეზე. კაცზე, რომელზეც ლეგენდები დადის. თქვენ, დღევანდელ საქართველოს ხელისუფლებას კარგათ იცნობთ, რადგან ის საპარლამენტო არჩევნების დროს, ქართული ოცნების ჯგუფებს ხელმძღვანელობდა და მიდიოდა რისკზე, რათა ქართული ოცნება ხელისუფლებაში მოსულიყო. ქართული ოცნება ხელისუფლებაშია მაგრამ, ბატონი ჯუმბერი უმუშევარია. მინდა შეგახსენოთ, მეგობრებო, რომ აფხაზეთის საომარი მოქმედებებისას ის იყო ერთ-ერთი უძლიერესი ქვედანაყოფის საარტილერიო რეაქტიული დივიზიონის მეთაური. აღნიშნულმა დივიზიონმა მთავარი როლი შეასრულა 15-16 მარტს სოხუმზე შეტევისას, რომლის შესახებაც არა ერთხელ დაიწერა პრესაში და გადმოიცა ტელევიზიით. 1993 წლის თებერვალში, დივიზიონის ბაზაზე შეიქმნა საარტილერიო პოლკი, რომელსაც დაშლამდე სწორედ ანანიძე ხელმძღვანელობდა. მოლაპარაკების შედეგად გადაწყდა, რომ პოლკი დაშლილიყო და ფოთში გადასროლილიყო, ბატონმა ჯუმბერმა რამდენჯერმე მიმართა სახელმწიფოს მეთაურს, ე. შევარდნაძეს თხოვნით, პოლკის სოხუმში დატოვების შესახებ, ვინაიდან პოლკი სოხუმს აკონტროლებდა და მისი ქალაქიდან გაყვანა სოხუმის დაცემას გამოიწვევდა. მიუხედავად მისი დაჟინებული თხოვნისა, 15 სექტემბერს პოლკის ბოლო ქვედანაყოფი ბარჟით ფოთში გადაიყვანეთ. ბატონი ჯუმბერი პოლკის გარეშე მაინც დარჩა სოხუმში და გააფრთხილა ხელმძღვანელობა, რომ მოწინააღმდეგე მეორე დღესვე სოხუმზე შეტევას განახორციელებდა, ასეც მოხდა 16 სექტემბერს, 07-00 საათზე დაიწყო სოხუმზე შეტევა. ბატონმა ჯუმბერმა ჩამოაყალიბა საარტილერიო ბატარეა და ქალაქის დაცემამდე მამაცურად იბრძოდა. მან ათასობით ადამიანს შეუნარჩუნა სიცოცხლე.

1994 წლის თებერვლიდან, 1994 წლის სექტემბრამდე ბატონი ჯუმბერი კოდორის ხეობის სამხედრო დაჯგუფების სარდლის მოვალეობას ასრულებდა. ამ პერიოდში ანანიძის პიროვნების ავტორიტეტის პატრიოტული და მეომრული სულისკვეთების გამო მას შეუერთდენ საქართველოში მყოფ სხვადასხვა დანაყოფები, მათ შორის: აკაკი ელიავას ბატალიონი, არჩილ იოსელიანს ბატალიონი, ორი საარტილერიო დივიზიონი და სხვა. 3 თვის განმავლობაში მისი ხელმძღვანელობით ტარდებოდა საშტაბო სწავლებები, საინჟინრო სამუშაოები. მომზადდა ქვედანაყოფები შეტევითი ოპერაციების ჩასატარებლად.

1994 წლის 25 მაისს, 07-00 საათზე განხორციელდა შეტევითი ოპერაციები ლათის მიმართულებით. ერთი დარტყმით, დანაკარგების გარეშე აღებულ იქნა სოფელი ზემო ლათა, მაგრამ ამავე საღამოს, გადაეცა ტელეფონოგრამა მის შესახებ, რომ 24 მაისს ჟენევის ხელშეკრულების თანახმად, შეტევითი ოპერაციები შეჩერებულიყო და მომხდარიყო არსებული პოზიციების გამაგრება. 1994 წლის სექტემბერში, კოდორის ხეობიდან ჯარები გამოყვანილ იქნა.

ჩვენ, ომის ვეტერანებმა, ვიცით მისი ცხოვრებისეული გზა. ვთვლით, რომ ისეთი კადრი, როგორიც ბატონი ჯუმბერ ანანიძეა დაუმსახურებლად არის დაუსაქმებელი ჩვენ მიგვაჩნია რომ იგი ნამდვილად წაადგება აღმშენებლობის გზაზე დამდგარ საქართველოს. იმედი გვაქვს, ხელისუფლება სწორ გადაწყვეტილებას მიღებს და ჩვენ, ომის ვეტერანებს, გვეყოლება ხელმძღვანელად, ავღანეთის, სამაჩაბლოს და აფხაზეთის ომის მონაწილე ჯუმბერ ანანიძე, რომელსაც დამთავრებულ აქვს უმაღლესი სამხედრო საარტილერიო სასწავლებელი, სამხედრო საარტილერიო აკადემია და საერთო საჯარისო აკადემია. დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის ორდენით, I-II ხარისხის ორდენებით და მედლით “მხედრული მამაცობისთვის”.

პატივისცემით,

**სამხედრო ვეტერანების სახელით,**
**ჯემალ პერტაია**

# "კავკასიონს დღესაც ატყვია ჯაფარიძეთა ნატერფალები!"



ახლახან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში ლეგენდარული მთამსვლელის, ალექსანდრა ჯაფარიძის დაბადებიდან 120 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო გაიმართა.

საღამოზე რევაზ თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრის დამაარსებლის, სამხატვრო ხელმძღვანელისა და მსახიობის, იზა ვეფხვაძის საავტორო სპექტაკლი – **"მთების ბალადა"** გაიმართა.

ცნობილ და-ძმებ ჯაფარიძეებს – ალექსანდრას (სინოპტიკოსი), სიმონს (გეოლოგი) და ალიოშას (ჰიდროენერგეტიკოსი) მთებისა და სამშობლოს სიყვარული აერთიანებდათ... მათი ნატერფალები თანამიმდევრობით დაეჩნია **"მთების გულს"**... და მსოფლიო ალპინიზმის ისტორიას... ერთი ოჯახის წევრი სამი ლეგენდარული მთამსვლელის სამ განუმეორებელ ისტორიას ქალბატონი იზა ვეფხვაძე გვიამბობს.

**– ქალბატონო იზა, ცნობილია, რომ ჯაფარიძეებიდან პირველად მთების სიყვარული ალექსანდრას შეეყარა... მანვე დააინტერესა მთამსვლელობით ძმა, სიმონი?**

– როცა ალექსანდრამ, როგორც სინოპტიკოსმა, მწვერვალებზე ფეხი პირველად შედგა, სიმონი თბილისის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის სტუდენტი იყო. ის განსაკუთრებული ნიჭიერებით, გულისხმიერებითა და ღირსეული ქართველობით გამოირჩეოდა. ხშირად ეუბნებოდა დას: **"ყური მიუგდე, ალექსანდრა, ნახე, მიწა გუგუნებს, ნეტავ შეგვეძლოს, მის გულში ჩავიხედოთ და გავიგოთ, რით ფეთქავს ეს დედამიწა!"** სიმონი მთამსვლელობის საიდუმლოს პირველად იალბუზზე ეზიარა. ამ დღიდან ის კავკასიონზე ყველა ასვლის ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი გახდა. 4 წლის მანძილზე რვაჯერ ავიდა მყინვარწვერზე. საზღვარგარეთ მყოფი გიორგი ნიკოლაძე (**ნიკო ნიკოლაძის შვილი. – ავტ.**) მას სწერდა: **"შენზე ამბობენ, სიმონ, მყინვარწვერზე აპირებსო დასახლებას და წელიწადში შეიძლება, ერთხელ ან ორჯერ, დედამიწაზეც მოახერხოსო ჩამოსვლა..."** სიმონმა დაუდო სათავე კავკასიონის მეცნიერულ შესწავლას. მან პირველმა აიტანა მყინვარწვერზე პირველი თვითმწერი მეტეოროლოგიური მოწყობილობა. მაშინ მსოფლიოში ეს უპრეცედენტო ფაქტი გახლდათ და მას უდიდესი საერთაშორისო გამოხმაურება მოჰყვა. ერთი კვირის შედეგ სიმონმა მყინვარწვერიდან მეტეოროლოგიური ჩანაწერი ჩამოიტანა. რამდენიმე წელში მთელ მსოფლიოში იცნობდნენ სიმონ ჯაფარიძეს... საქართველოში ჩამოსული არც ერთი უცხოური ექსპედიცია მის გარეშე მწვერვალებზე არ ადიოდა. მოგვიანებით, მან მყინვარწვერზე 41 ადამიანი (მათ შორის, 7 ქალი) აიყვანა, აიტანა რადიო, ორი კინოაპარატი და ფილმის – **"კავკასიის კარიბჭე"** გადაღება დაიწყო. ეს იყო მსოფლიოში ერთადერთი და განუმეორებელი შემთხვევა.

**– გარდა მთამსვლელობისა, სიმონი მეცნიერებასაც უთმობდა დროს. მის სახელთანაა დაკავშირებული მანამდე უცნობი, ლოპოტის მარმარილოს საბადოს აღმოჩენა.**

– დიახ, ის გამორჩეული გეოლოგი გახლდათ. როცა გიორგი ნიკოლაძე საქართველოში დაბრუნდა, სიმონმა მთების დაპყრობა შეწყვიტა, საქმე გიორგის გადააბარა და მარმარილოს მოსაპოვებლად გაემგზავრა. მალე გიორგიმ თეთნულდზე პირველი ქართული ექსპედიცია დაგეგმა. დაჟინებით სთხოვდნენ სიმონს ექსპედიციაში მონაწილეობას, დეპეშას დეპეშაზე უგზავნიდნენ. სიმონმა მეგობრები სვანეთში გააცილა და დაჰპირდა, რომ ლოპოტაზე საქმეს მოაგვარებდა და მათ რამდენიმე დღეში შეუერთდებოდა. 10 დღის შემდეგ, როცა ექსპედიციის წევრები თეთნულდზე ასვლის უშედეგო მცდელობის შემდეგ ბარგს ალაგებდნენ, სიმონი მათთან ჩავიდა. მეგობრებს მისმა ჩასვლამ იმედი ჩაუსახა და მეორე დილით თეთნულდზე **"შეტევა"** გადაწყვიტეს. სვანეთში არსებობდა ლეგენდა, რომლის მიხედვითაც, სამუდამოდ დაისჯებოდა ყველა, ვინც თეთნულდზე ფეხის შედგმას გაბედავდა, რადგან ის მხოლოდ წმინდანთა და ღმერთთა საუფლოდ მიიჩნეოდა. გათენდა თუ არა, სამნი – გიორგი, სიმონი და პიმენ დვალი თეთნულდისკენ გაემართნენ. წინ მიმავალი სიმონი ყინულის საფეხურებს ჭრიდა. უეცრად გიორგიმ შენიშნა, რომ ყინულის ერთ საფეხურში ორი ფეხით მდგარი პიმენი თავს ვერ იმაგრებდა. გიორგიმ პიმენთან უფრო ახლოს მდგარ სიმონს დაუძახა. სიმონმა წერაყინი პიმენის მუხლებთან ჩაასო, მაგრამ პიმენი მაინც ცურდებოდა. მაშინ სიმონი ბეჭებში სწვდა მეგობარს... ორივე საოცარი ძალით მოსწყდა მთას... **"და მე დავინახე, როგორ ჩაცვივდა ყველაფერი მყინვარწვერის ძირში, დავინახე, როგორ გაუვარდათ ხელიდან წერაყინები, დროშა... გადაუხვია მარჯვნივ და გაქრა ჩემი თვალთახედვის არიდან..."** – წერდა მოგვიანებით გიორგი ნიკოლაძე. რამდენიმედღიანი ძებნის შემდეგ მათი ცხედრები სვანმა მონადირეებმა იპოვეს და მესტიაში ჩამოასვენეს. იქიდან კი 33 წლის სიმონის ცხედარი თბილისში გადმოასვენეს...

**– "რომ არა სიმონის ტრაგიკული სიკვდილი, მე, ალბათ, არასოდეს ვიფიქრებდი მთებზე", – წერდა ალიოშა ჯაფარიძე, რომელიც სიმონის დაღუპვის შემდეგ ძმის კვალს გაჰყვა...**

– ალიოშასა და ალექსანდრას სურდათ, სიმონის მისწრაფებისთვის ხორცი შეესხათ – თეთნულდი დაეძლიათ. მშობლებს ვერ უმხელდნენ გადაწყვეტილებას. თუმცა, როცა მათ ამის შესახებ გაიგეს, შვილებს არათუ წინააღმდეგობა არ გაუწიეს, არამედ მხარიც კი დაუჭირეს. 80 წლის მამამ შვილებს სთხოვა, თეთნულდის ძირამდე მიმიყვანეთ, რომ იმ ბოროტ კლდეს თვალი შევავლოო. თეთნულდს და-ძმამ, იაგორ კაზალიკაშვილთან ერთად შეუტია. ასვლისას კლდეს წააწყდნენ, რომლის იქით აღარაფერი ჩანდა. მოულოდნელად სქელი ნისლი ჩამოწვა. სხვა გზა არ იყო – უკან, კარავში დაბრუნდნენ. მთელი ღამე არ ეძინა ალიოშას. გადაწყვიტა, მეორე დილით მარტო დაეპყრო თეთნულდი. კაცმა, რომელიც მთებში მანამდე არასოდეს ყოფილა, თეთნულდი მხოლოდ 2 საათსა და 20 წუთში დაიპყრო. წინადღეს კი ასვლას ცხრასაათნახევარი მოანდომეს... ალიოშას მარჯვენამ 740 ყინულის საფეხური მოჭრა. სამი დღის შემდეგ ალიოშა ხელმეორედ, დასთან ერთად ავიდა მწვერვალზე. მათ იქ ფირფიტა დატოვეს წარწერით: **"სიმონ ჯაფარიძის ხსოვნას აქ მოსული მისივე და-ძმისაგან მისი დამსხვრეული მისწრაფებების აღსადგენად".** ალიოშა თეთნულდიდან უკვე გამოცდილ მთამსვლელად დაბრუნდა და შემდეგი 16 წლის განმავლობაში ალპინიზმის ლიდერის პოზიცია არ დაუთმია. 100-ზე მეტი მწვერვალი დაიპყრო, აქედან 22 – პირველასვლა და სარეკორდო გახლდათ. პირველად საქართველოში განახორციელა კავკასიონის დიდი ტრავერსი – მისმა ჯგუფმა 13 დღეში 80 კმ ქედ-ქედ გადაიარა, 22 ახალი მწვერვალი დაიპყრო, მათ შორის 11 – სარეკორდო.

**– ამავე ჯგუფში იმყოფებოდა მსოფლიოს მასშტაბით ასეთ რთულ ლაშქრობაში ერთადერთი ქალი – ალექსანდრა ჯაფარიძე, რომელმაც ამის შემდეგ მთელი ცხოვრება ძმათა ნაკვალევზე იარა...**

– დიახ, ქალის მონაწილეობა ასეთ რთულ ლაშქრობაში პირველი შემთხვევა იყო მსოფლიო ალპინიზმის ისტორიაში. იმ დროს ის პირველი ქალი იყო მსოფლიოში, რომელმაც ფეხი შედგა თეთნულდსა და უშბაზე. ის თან დაჰყვებოდა ძმას, რომელიც წელიწადში 7-8 მწვერვალს იპყრობდა. იყო წლები, როცა 16, 22 მწვერვალი დაუპყრია. იმ დროისთვის ეს ნამდვილი საოცრება იყო. 5-ჯერ 6.000 მეტრს ზემოთ, 11-ჯერ კი – 5.000 მეტრს ზემოთ ავიდა. მის მიერ დაპყრობილი ყველაზე დიდი სიმაღლე 6.670 მეტრი გახლდათ და ეს მწვერვალი დღეს ალიოშას სახელს ატარებს. გამოიკვლია არაერთი გამოქვაბული, ციხექვაბი თუ სვეტი. მან პირველმა შეისწავლა კაცხის სვეტი და ხვამლის გამოქვაბული მეცნიერულად.

**– გვიამბეთ და-ძმის მიერ უშბის პირველი ლეგენდარული დაპყრობის ამბავი.**

– თეთნულდის დაპყრობის შემდეგ ალიოშამ უშბას დაადგა თვალი. ჩამოყალიბდა უშბის კომიტეტი. გადაწყვეტეს, 4.000 მეტრის სიმაღლეზე მოეწყოთ საიერიშე ბანაკი. სვანეთში გავრცელებული ცრურწმენის თანახმად, უშბას ვერავინ დაიპყრობდა, რადგან მასზე ავი სულები ბინადრობდნენ. ალექსანდრამ უშბაზე ასასვლელი სათადარიგო გზა შეათვალიერა. ამ გზამ გაამართლა და უშბისკენ დაიძრნენ, მაგრამ უდროო დროს შემოაღამდათ ისეთ ადგილას, სადაც მხოლოდ ერთი ადამიანი შეძლებდა ღამის გათევას, ისიც – ნახევრად დამჯდარი. სიმწრით გამოვლილი 200 მეტრით უკან უწევდათ დაბრუნება. ალექსანდრამ კარგად იცოდა, რომ ასეთ კრიტიკულ სიტუაციაში მთამსვლელები ხშირად უარს ამბობდნენ გზის გაგრძელებაზე, ამიტომ მტკიცედ განაცხადა, რომ იქ დარჩებოდა. იცოდა, მეორე დღეს ვერც ერთი მამაკაცი უარს ვერ იტყოდა ზემოთ ასვლაზე, რადგან მათ ქალი ელოდა... ძმა მიხვდა დის ჩანაფიქრს, პალო ჩაარჭო კლდეში... ალექსანდრამ ნაბადი ჩაიცვა და 4 500 მეტრის სიმაღლეზე, უშბის კლდეზე, კლდესა და ღამეს შორის დარჩა... დილით დაიწყო ბოლო და გადამწყვეტი შეტევა. 200 მეტრი იყო უშბის მწვერვალამდე, მაგრამ ვერა და ვერ აიღეს წინ აყუდებული გლუვი კედლები. თითქმის სრულად შემოაცვდათ ტანსაცმელი, ხელის თითებზე მთლიანად გადასძვრათ კანი, თითოეული მომდევნო ნაბიჯი სიცოცხლის დაკარგვის რისკის ტოლფასი იყო... ბოლო იმედად, ფეხზე გაიხადა გიორგი გურიელმა, ფეხშიშველა გამაგრდა ყინულოვან კედელზე და რკინის პალო ბზარში ჩააჭედა... რამდენიმე წუთში კი უშბაზე პირველი ლეგენდარული ასვლა განხორციელდა... ალექსანდრა გახდა პირველი ქალი მსოფლიო ისტორიაში, ვინც უშბის მწვერვალი დაიპყრო. ასვლის აღსანიშნავად ალიოშამ ჯგუფის წევრებს ნახევარ-ნახევარი ვაშლი და თითო კიტრი დაურიგა – მალულად აუტანია უშბაზე. სვანეთის სოფლებში დაღამებას განაჩენივით ელოდნენ... როცა უშბის წვერზე კოცონი აინთო, გამარჯვების აღსანიშნავად, სვანეთის ყველა სოფელში უზარმაზარი კოცონები აგიზგიზდა... უშბა ჯაფარიძეების ფეხქვეშ მოექცა... 1945 წელს ალიოშამ, პირველმა და ერთადერთმა შებედა ზამთრის უშბას... ამ ექსპედიციაში ალიოშა ნიკოლოზ მუხინთან და ქელეშბი ონიანთან ერთად იყო. როცა გულის მყინვართან მივიდნენ, საშინელი წვიმა წამოვიდა. გზა მაინც განაგრძეს. მალე ამინდი სასტიკად გაუარესდა. ბარში უშბის მწვერვალებიდან ჩამოწოლილი ზვავების ხეთქების ხმა ესმოდათ... ბოლოს სვანეთის სოფლებიდან??? უნაგირადან უშბის კალთაზე მიმავალი სამი წერტილი შენიშნეს. ამის შემდეგ მათთან კონტაქტი გაწყდა... ხრეითში, ჯაფარიძეების ოდა-სახლის ეზოში გრიგალმა ყველაზე დიდ მუხას ყველაზე დიდი ტოტი მოსტეხა და საშინელი გრიალით დასცა მიწაზე... მთელი სოფელი შეიყარა ჯაფარიძეთა ეზოში, ცუდად ენიშნათ. ნიშანი გამართლდა – კარავს შეფარებული ჯაფარიძის ჯგუფი უშბის მწვერვალიდან დაშვებულმა უზარმაზარმა ზვავმა ნაპრალში ჩაიტანა... მათი ცხედრების სანახავად, უშბის მწვერვალებზე წასვლის უფლება მხოლოდ მომდევნო წელს მისცეს მთამსვლელთა ჯგუფს. ალექსანდრამ ბოლომდე გაიარა ძმის მიერ გავლილი გზა. მთლიანად გათეთრდა უშბის მწვერვალზე მდგომი ქალბატონი მას შემდეგ, რაც ძმის დატოვებული უკანასკნელი ბარათები საკუთარი ხელით გახსნა... პირველი ჭაღარა ქალს სიმონის დაღუპვამ არგუნა, ალიოშამ კი – მთლიანად გააჭაღარავა. 12 წელი ძმის ცხედრის საძებნელად თითქმის ყოველ წელს დადიოდა ალექსანდრა... სამი მეგობრის ცხედარს შემთხვევით მთამსვლელთა ჯგუფი წააწყდა. ერთ-ერთი ასვლის დროს ალიოშას ფეხები მოეყინა და ათივე თითი მოსაჭრელი გაუხდა. ამით მიხვდნენ, რომ ნაპოვნი ცხედარი ალიოშასი იყო. ეს გახლდათ ერთადერთი შემთხვევა, როცა უშბამ თავისი მსხვერპლი **"დააბრუნა"**... მისი ცხედარი ვერის პარკში, ალპური კლუბის ეზოში დაკრძალეს. ალპინიზმის 40 წლისთავთან დაკავშირებით, აქვე გადმოასვენეს სიმონის ნეშტიც.

**– უდიდესი ტკივილის ორჯერ განცდის მიუხედავად, ალექსანდრა ჯაფარიძეს არც ალიოშას სიკვდილის შემდეგ შეუწყვეტია მთების დალაშქვრა.**

– სვანეთმა აქცია ალექსანდრა ჯაფარიძე გმირად და მანვე უსახსოვრა დიდი ტკივილიც. თეთნულდმა და უშბამ წაართვა ძმები. ლევან გოთუა აღნიშნავდა, კავკასიონის მწვერვალები ალექსანდრა ჯაფარიძის ღვიძლი ძმები არიანო. ძმების სისხლი არ შეარჩინა ალექსანდრამ თეთნულდს და უშბას, **"შური იძია"** მათზე – ორივე დაიპყრო... წერდა: **"პირველად მე დავადგი მთების ამაყ გულს ფეხი.. პირველად მე შევაღე მთების ამაყი სული... მათ კი ჩემს ძმებზე იძიეს შური... თითქოს ამით უფრო გამომიწვიეს, გამაღიზიანეს..."**

**– სიცოცხლის ბოლო წლები როგორ გაატარა?**

– მზია ერისთავმა მოსწავლეთა სასახლეში ტურიზმისა და ალპინიზმის კაბინეტში პედაგოგად მიიწვია. ამით მან ახალი სიცოცხლე მიანიჭა გადაღლილ ალექსანდრას... ამ პერიოდში მან პირველმა აღმოაჩინა ბეთლემის გამოქვაბული. იქ აიტანა ილიას წიგნები და მისი პატარა ქანდაკება. აღსანიშნავია, რომ ყველა მწვერვალის დაპყრობისას და-ძმას ჯიბით **"ვეფხისტყაოსანი"** დაჰქონდა... ალექსანდრა თითქმის 60 წელს იყო მიღწეული, როცა საბოლოოდ – მეცხრამეტედ დალაშქრა მყინვარწვერი ისევ ძმის, ნოეს მხარს დაყრდნობილმა... 55 წლის ასაკში კი თავის მოსწავლეებთან ერთად, ერთ-ერთი რთული ლაშქრობით დაიპყრო მწვერვალი ლიხთაო. თარგმნა ფრანგი ალპინისტის წიგნი, **"ანაპურნა"**. 1974 წელს განერიდა წუთისოფელს. ვერის ბაღში, ძმების გვერდით დაკრძალეს.

**– როგორც ცნობილია, და-ძმიდან არც ერთს არ დარჩა შთამომავალი...**

– დიახ, არც ერთი მათგანის ცხოვრებაში პირადი ცხოვრებისთვის ადგილი არ დარჩენია, ოჯახი არ შეუქმნიათ.

## პოეზიის კუთხე

### სი ჩქიმი ნინა, მარგალური,

სი ჩქიმი ნინა, მარგალური,
კჷრტეს გერდგჷ ხაჯალური,
ტაბუ გერძჷ, დო ვაგიღ ლური,
მიკვე აიშა მუთ მილი შური.
სი ჩქიმი სქუა მარგალიში
სი რექ ჩქიმი დიდ ოჭიში
სი მოთა რექ აიეტიში
ჩქიმი ნინაში სი რექ ჭყიში.
ჩქიმი ქივანა, სამარგალო
ოსორშე დო საკაკალო,
ჷოროფა რექ ართო ფალო,
ხუს ალაიშქუქ მასარცალო.
ზღვა ილენც დო ზღვა პიც ლოტკუნს.
ღალც მეჩხომე ფაცერს დოდგუნც,
კამბეში ჭყონჭყოს ენილონტყუ,
სქანი ქიანას ხეს მი მორთხუნს.
ოჭუმარექუ ქომადირთჷ
იმენდიქჷ კონი დირთჷ
თე ქიანა სონდარო ირთჷ
კოც მუთუნი ვაგუჭირდუ.

ჯემალ პერტაია, ტომბა

### ჩქინი ჸოროფა

ხვალე ართი რე გური ფალირი,
ბრელშა ნა ვილა, ბრელშა ნკირელი,
ორე ოროფათ ჯოხოდვალირი
დო ნაპეულა, მუჭოთ პირელი.
ფუნც ზისხირი, ცირეფ იბირა,
ტანც უშქირატ ნოფა ოხოლჷ,
ირიათონიშ მიკნაკიბირა,
ირ ბორჯის დინოხ დინიხორხოლჷ.
მუ ხონარეფი მომიკორინე?
დე ან, ჰე, გური, ფირქეფ ნარღვეფი,
ბოშკოჩურობათ ოკო გორჯგინე,
ლერსო დობჭარე სქანი ნარღეფი.
ასე არზეფი გოჭირ ჩხოროფა,
კინე ბორდიშა, ბრელშა ხაშილი,
ხვალე ართი რე ჩქინი ოროფა,
აფუნეფცალო ფსუაფაჩილი.

### თორუჯ ვორექ

მოფთხოზ ნა აკოთანაშ ლანტეფი,
კინე, კინე მუშენ მუმაღორია,
სქან დუდ შორშე ხვათახვალე ფხანტენი,
ქუმურც დო მიდამიღანც ბორია.
მა შხვა ვორექ... ბორჯიშ მიკნახოლეფი,
ჩქიმ ტანც ბჟაში ჩხორიეფქ გიოწუ,
გეგნუ ინ ნაჭვემერი თოლეფი,
ჩილამურო კარჩხეფ გითაკიონწჷ.
ქარწყექ, მუჭო ბორბოწია ირთანსჷ,
შხვაშ ვარექ-და, კინ დორია ქომუჩი,
მიდგას ოკონ, გეზოჯას დო დირთასჷ,
მა შხვა ვორექ – ჭარაშ მენდულ თორუჯი.
ცას ვუჯინექ, მინ ულა რე მინ დორთა,
მუ რე მერქა, თე ბორჯიში ნაპიჯი?
ჩქიმ ვარექ-და, წყარმალუშა ვამორთა,
ქოგიორქჸდა, ქეწომზადე ზღვაპიჯი.

* * *

ხეს მიშმოღურ არძა გოთანა,
ქინოტახელე ჭარაშ ხინჯეფი,
ასე ოროფას ჭახის ოთანა,
თე გოსქირაფილ გურიშ ღვინჯეფი.
გური ირფელით ეკოფშა რენი,
კინე გინწყუმ , ბრელშა ნაკვათა,
ქიგესერელე ვერჩე შარეფი,
მოჩერჩელუანს ღურუშ აკათა.
ვამიჩქ, მიში რე მიკნაჭყოლოფა,
იბორჯ ბორჯიში ბასქა ბორზალი,
კირდეს გინვორექ, მუჭოთ ოროფა,
გარამეფიშა მითაქოსალი.

გიორგი ხულორდა

# ეროვნულიც და საკაცობრიოც!



ჩვენი გაზეთის მკითხველებს კარგად ახსოვთ სტატია, სადაც გულისწყრომით ვიუწყებოდით, რომ აზერბაიჯანს, ყოველწლიურად, მეოცე საუკუნის ოცდაათიან წლებში ივრის ხეობაში მოწყობილი წყალამკრებებიდან ყოველწლიურად უფასოდ გააქვს ორი-სამი მილიარდი აშშ დოლარის ღირებულების სასმელი წყალი. საბჭოთა პერიოდში, როცა მოკავშირე რესპუბლიკები ერთ ოჯახად იყვნენ გაერთიანებული, ერთმანეთს ფულს არაფერში არ ვახდევინებდით, მაგრამ ახლა, როცა სსრკ-ს ბაზაზე ამდენი დამოუკიდებელი სახელმწიფო გაჩნდა, ბუნებრივია, რომ ყველა საკუთარი ეკონომიკის აღორძინებაზე ზრუნავს. მაშ რატომ უნდა გავატანოთ წყალი უფასოდ იმ აზერბაიჯანს, რომელიც ლამის მამასისხლად გვაწვდის ნავთობსა და ბუნებრივ აირს. მით უმეტეს, როცა საყოველთაოდ ცნობილია, რომ მსოფლიოს გაუდაბნოებულ ზონაში მყოფ მუსულმანურ ქვეყნებში სასმელი წყალი რამდენიმეჯერ უფრო ძვირი ღირს ნავთობზე.

პირადად მე, ამის თაობაზე წერილით მივმართე საქართველოს პარლამენტის უმრავლესობის ლიდერს ბატონ გია ვოლსკის, მაგრამ პასუხად ის მივიღე, რომ ამ საკითხის წამოჭრამ შეიძლება ჩვენს ქვეყნებს შორის უთანხმოება გამოიწვიოსო. ვერ გამიგია – იმაზე მეტი უთანხმოება რა უნდა იყოს, როცა აზერბაიჯანში დაუბრკოლებლად ჩადის სისხლის სამართლის დამნაშავე მიხეილ სააკაშვილი და მისი ექსტრადიციის მოთხოვნაზე აზერბაიჯანი ცინიკურ უარს გვიცხადებს!

ამ საკითხისადმი ბატონ გია ვოლსკის ინდეფერენტული დამოკიდებულების მიზეზი ისიც შეიძლება იყოს, რომ სასმელი წყლის ბიზნესს მაჯლაჯუნებად ასხედან თანამედროვე მონოპოლისტი ბაყბაყდევები და სასტიკად უსწორდებიან ყველას, ვინც ამ სფეროში ცხვირის ჩაყოფას გაბედავს.

სწორედ ამ საკითხს ეძღვნება ქვემორე წერილი, რომელიც ჩვენმა მეგობარმა და თანამებრძოლმა, ცნობილმა ჟურნალისტმა, ღვაწლმოსილმა საზოგადო მოღვაწემ ბატონმა ალექსანდრე შენგელიამ გამოგვიგზავნა.

როლანდ ჯალაღანია,
გაზეთ "ილორის" მთავარი რედაქტორი

*ბატონო რედაქტორო! ჩვენი ძმობისა და მეგობრობის ნიშნად მიიღე ჩემგან „ესეი" ("ეროვნულიც და საკაცობრიოც!"), რამეთუ ჩვენებური მიწისქვეშეთის სიმდიდრის – სასმელი წყლის წყალწყალა კი არა, ჭეშმარიტად კეთილ ნაყოფს შეიძლება მე ვეღარ მოვესწრო, მაგრამ ჩემს შვილიშვილებსა და საქართველოს რომ ნამდვილად წაადგება, ამაში გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან ისრაელში ქუთაისის ოფიციალური დელეგაციის ხელმძღვანელად ორჯერ ვიზიტისა და იქაურ საქმიან წრეებთან საუბრის შემდეგ ეჭვიც აღარასდროს შემპარვია.*

უღრმესი პატივისცემით,
ალეკო შენგელია

## ეროვნულიც და საკაცობრიოც!

*წყალი – განმწმენდი და გამბრწყინებელი...*

*გვიშველის წყალი წყალწაღებულებს?*

გვიშველის, ნამდვილად გვიშველის, თანაც მხოლოდ ჩვენ კი არა, უშველის სხვებსაც – დღეს გაუდაბნოებულ და უწყლო მსოფლიოში წყურვილით სასოწარკვეთილებსაც, თუ ეჩოსებრ მიმთლელ და ღორული ინსტიქტით ხალხისაგან გათითოკაცებულთა მომხვეჭელობაზე მამულიშვილური გრძნობა და საერთო სახელმწიფოებრივი აზროვნება გაიმარჯვებს!

უბრძნესები იყვნენ ჩვენი წინაპრები. **„განა კაცი ეჩო არის, სულ თავისკენ მიითლიდესო,"** – კითხულობდნენ იმის საპირწონედ, მავანი რომ გვაცდუნებდა: **„ჯერ თავო და თავო, მერე ცოლო და შვილო, მერე სხვაო და სხვაო".** არადა, თურმე ისეთი სიმდიდრის პატრონები ვართ, რომ, თუ ყველაფერს მხოლოდ ჩვენსკენ არ მივითლით, ცოლშვილიც წელში გამართული გვეყოლება, საკუთარი თავიც და **„სხვანიც და სხვანიც".** ამის გარანტია იყო ის გუნდი, რომლებსაც უპატიოსნესი სწავლულები და ღირსეული მამულიშვილები თავკაცობდნენ – ცნობილი ჰიდროლოგები, სულგანათლებული ნოდარ ხარატიშვილი, მამა-შვილი იოსებ და გურამ ბუაჩიძეები, აკადემიკოსი ლევან მახვილაძე და კიდევ რამდენიმე სხვა, რომლებმაც მიზეზთა და მიზეზთა გამო სიცოცხლეში ვერ მოასწრეს ამ უაღრესად ეროვნული საქმის ბოლომდე მიყვანა, მაგრამ დატოვეს დიდი სიზუსტით, თითოეულ თეთრამდე გათვლილი სამოქმედო გეგმა და ღირსეული მემკვიდრეები, რომლებიც შეუპოვრად იბრძვიან, რათა საქართველო გამოვიდეს წყვდიადში ჩაფლული გვირაბის იმ ლაბირინთიდან, რომლისთვისაც დღემდე თავი ვერ დაგვიღწევია.

ათეულობით წლის წინათ მათ მიერ დაწყებულ საქმეს ღირსეულად განაგრძობენ ავტორთა ჯგუფის დღევანდელი ხელმძღვანელი პაატა გიორგაძე, ცნობილი სწავლულები და პრაქტიკოსები ზაურ ციხელაშვილი, თბილისის საპატიო მოქალაქე, არქიტექტორი გიგა ბათიაშვილი, მსოფლიო იურისტთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი, პროფესორი პაატა მახვილაძე, ირაკლი მიქელაძე, ზურაბ გასიტაშვილი და სხვები. მათ დიდი დაკვირვებით დააზუსტეს ქვეყნისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ამ გრანდიოზული პროექტის ყველა ასპექტი. საუბარია არა მხოლოდ ბაზრის მოპოვებასა და თუნდაც ცალკეული დარგების საჭიროებებზე, არამედ იმ ღირსეულ სტიპენდიებზეც, რომელსაც პროექტის განხორციელებისას საქართველოს თითოეული მოქალაქე მიიღებს. საუბარია აგრეთვე რეალურად დასაქმებულთა ძალზე დიდ რაოდენობაზე, მშრომელი კაცისათვის დღეისათვის წარმოუდგენელ ხელფასებზე და იმაზეც, რომ, მათი გაანგარიშებით საქართველოში დაბადებული თითოეული ბავშვი ამ ქვეყნად მოვლინებისთანავე გახდება სასმელი წყლის ინდუსტრიის ისეთი აქციის მფლობელი, რომლის მატერიალური ღირებულება 120 ათასი დოლარი იქნება.

ძალზე საინტერესოა რამდენიმე სხვა ციფრიც. როგორც ეს გუნდი ამტკიცებს, პროექტის სათანადო სიმძლავრით ამოქმედების შემდგომ საქართველოს ბიუჯეტს წელიწადში 12 მილიარდი დოლარის შესატყვისი ეროვნული ვალუტა შეემატება და ეს ღვთივბოძებული სიმდიდრე მოხმარდება როგორც თითოეული ჩვენგანის კეთილდღეობას, ისე ქვეყნის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის აღდგენა-განვითარებას. ეს იქნება საერთო-სახალხო ბიზნესი, რომელშიც მოსახლეობა მონაწილეობას ინვესტორთან ერთად სახელმწიფოს მიერ თანადაფინანსებით მიიღებს. ამასთან პროექტის ამოქმედებიდან გარკვეული პერიოდის შემდეგ თითოეული მოსახლე 460 ათასი დოლარის ღირებულების მატერიალურ ფასეულობათა მფლობელი, ხოლო თავად ჩვენი სამშობლო სულ რაღაც 8-10 წელიწადში მსოფლიოში წარმატებებით გამორჩეული, აყვავებული ქვეყანა გახდება.

ჩემთვის რამდენადმე მოულოდნელი, ამასთან ფრიად სასიხარულო აღმოჩნდა, რომ ამ საინტერესო გუნდის ერთ-ერთი აქტიური წევრია ჩემი კოლეგა და უახლოესი მეგობარი, **„კაკაბეთის ზარების"** ციკლის რამდენიმე სატელევიზიო გადაცემის, მათ შორის **„თხუნელების"** ავტორი **ვაჟა გავაშელი.**

იგი, როგორც მაშინ, როდესაც ერთად ვებრძოდით უსაშინელეს დანაშაულს – ფულის გამოძალვის მიზნით ადამიანთა გატაცებას, ამჟამადაც, მთელი თავისი დიდი გამოცდილებით, ცდილობს, მზის გულზე გამოათრიოს **„თხუნელები"**, რომლებმაც ქვეყნის ის სიმდიდრე დაისაკუთრეს, თითოეულ ჩვენგანს რომ უნდა მოხმარებოდა. არადა, საკუთარი სოროების პირთამდე ამოვსების შემდეგაც კი ისინი ლუკმას სხვებისათვის დღემდე ისევე ვერ იმეტებენ, როგორც ის ავი ძაღლი, რომელმაც თვითონ ჭამა და სხვას არასდროს არაფერი აჭამა.

* * *

მე და ვაჟას ჩვენი საერთო წერილისათვის სათაური შემთხვევით არ შეგვირჩევია. წყალი არა მარტო ის ძალაა, რომლითაც ჩვენთვის უძვირფასესეს ადამიანებს ვლოცავთ ხოლმე, **"ღმერთმა წყლის ძალა მოგცესო"**,– არამედ ის ყოველმხრივ გამორჩეული სიმდიდრეც, რომელიც ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანას საშუალებას აძლევს, სამადლო საქმეც გააკეთოს – წყურვილისაგან პირგამომშრალი მილიარდობით ადამიანი დაარწყულოს, თავად კი სიღატაკეს დააღწიოს თავი.

არადა, დღემდე უმძიმეს პირობებში რომ ვცხოვრობთ, ეს უკვე კარგა ხანია აღარავისთვის აღარ არის საიდუმლო.

ჩვენი ახალფეხადგმული ქვეყნის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი შიმშილობს და ცხოვრების დონით სიღატაკის ზღვარს ქვემოთ იმყოფება, დალხინებული კი მხოლოდ ის რამდენიმეა, ვინც სხვადასხვა მზაკვრული ხერხით ხალხის ქონებასა და იმ წყაროებს დაეუფლა, საიდანაც უკვდავების წყალი მოედინება. ის საოცარი წყალი, ის საერთო ეროვნული სიმდიდრე, რომელიც არც თუ შორეულ წარსულში უხვად და უშურველად გაიცემოდა, ლიტრად დაფასოებული მხოლოდ კაპიკები ღირდა, ადგილზე კი სრულიად უსასყიდლოდ რამდენიც გინდოდა, იმდენი დაგელია. დღეს იმავე წყლის თითოეული ლიტრი ლარზე მეტი ღირს, მის წყაროს კი, დიდადაც რომ მოინდომო, უკვე აღარავინ გაგაკარებს.

მსგავსი მაგალითი ერთი და ორი არ არის. თანაც ქვეყანაში მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა უმუშევარია, რადგან აგურ-აგურ არის დაშლილი მათი მარჩენალი ყველა საწარმო, მათ შორის ისინიც, რომლებსაც უცხოეთიდან დიდძალი ოქრო შემოჰქონდათ. ფაქტობრივად აღარა გვაქვს მეჩაიეობა, მეაბრეშუმეობა, მსუბუქი, მძიმე და გადამამუშავებელი მრეწველობა. განადგურებულია ისეთი ცნობილი სამეცნიერო კერები, რომლებსაც არა მარტო საქართველოსა და ყოფილ საბჭოთა კავშირში, არამედ მთელს მსოფლიოში ჰქონდათ სახელი განთქმული. უმუშევრობის გამო მილიონობით ჩვენი თანამემამულე ლუკმა პურის მოპოვებისა და ოჯახის გადარჩენის მიზნით გადახვეწილია საზღვარგარეთ. ქუჩები და ხიდისყურეები სავსეა მათხოვრებით. საგანგაშო ზღვარს მიაღწია უსახსროდ და უსასოოდ დარჩენილთა შორის თვითმკვლელთა რიცხვმა. და, ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად, ღმერთმა მაინც არ გაგვწირა – ჭეშმარიტ მამულიშვილებს რეალური გამოსავალი მოაძებნინა.

– წყალწაღებულებს ისევ წყალი გვიშველისო! – სჯერა ვაჟა გავაშელსა და იმ გუნდს, რომელსაც ჩემთან საუბრისას ამჯერად ის წარმოადგენს.

შეუძლებელია, არ დაეთანხმო. ჩვენი წინაპრები ოდითგან ამაოდ როდი გვასწავლიდნენ: **„იგივემ მოგარჩინოს, რამაც მოგწამლაო".** ეს მით უფრო ითქმის, რომ წანამძღვრები უაღრესად მეტყველია. განსაკუთრებით ის ციფრები, რომლებიც წყალთან და მის ინდუსტრიასთან არის დაკავშირებული.

მოდი, ბოლომდე გავისიგრძეგანოთ ზოგიერთი მონაცემი და ამით ბევრ საჭირბოროტო კითხვას გაეცემა ამომწურავი პასუხი. ჩვენს ქვეყანაში 26.060 დიდი და პატარა მდინარე და 860-მდე ტბაა, მაგრამ სასმელი წყლის ინდუსტრიალიზაციის ძირითადი წყარო ისინი კი არა, მიწისქვეშა სიმდიდრეა – მტკნარი წყლის საერთო რაოდენობის 95 პროცენტი. ეს სიმდიდრე ასე ნაწილდება: დასავლეთ საქართველოში მიწისქვეშა, მუდმივად განახლებადი წყალი ქვეყნის ტერიტორიაზე არსებულის 48 პროცენტია და დებეტი წამში 63,9 კუბური მეტრია. აღმოსავლეთ საქართველოში 45 პროცენტია, დებეტი კი – 60,3 კუბური მეტრი; სამხრეთ საქართველოში შესაბამისად – 6,7 პროცენტი და 6,7 კუბური მეტრი.

როგორც ჩემმა რესპონდენტმა ზემოხსენებული კონკრეტული მონაცემებით დამისაბუთა, საქართველოში უკვე მოძიებულ გრუნტის წყლების საერთო მარაგი წამში თურმე 573 კუბურ მეტრს აღწევს. აქედან სასმელად გამოყენებისათვის დასაშვები ყოფილა ნახევარზე მეტი – 301 კუბური მეტრი. ეს ნიშნავს, რომ ჩვენს ქვეყანას შეძლებია დღეში 26 მილიარდი ლიტრი ბიოლოგიურად აქტიური და მაღალი ხარისხის სასმელი წყლის ჩამოსხმა. აქვე კიდევ ერთხელ ვუსვამთ ხაზს, რომ ეს არის ბუნებრივად განახლებადი და ამოუწურავი რესურსი.

ჩვენს პლანეტაზე ამჟამად 7 მილიარდი მოსახლეა. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ თითოეული მათგანისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელი წყლის რაოდენობა დღეღამეში 2-2,5 ლიტრია, გამოდის, რომ მსოფლიოს დღეში 17,5 მილიარდი ლიტრი სასმელი წყალი ესაჭიროება. ეს 8,5 მილიარდი ლიტრით ნაკლებია, ვიდრე სათანადო დატვირთვის შემთხვევაში შეიძლება აწარმოოს მხოლოდ საქართველოს წყლის ინდუსტრიამ. არადა, უზუსტესი სტატისტიკით ისიც დასტურდება, რომ ამჟამად ჩვენი პლანეტის 7 მილიარდი მოსახლიდან 4,5 მილიარდი სასმელი წყლის მკვეთრ დეფიციტს განიცდის და წყურვილის გამო დედამიწაზე ყოველწლიურად მილიონობით ბავშვი იღუპება.

დიდი ეროვნული და საკაცობრიო დოქტრინის ავტორები დასაწყისისათვის ვარაუდობენ, რომ წელიწადში უკვე შეიძლება საექსპორტოდ 50 მილიარდი ლიტრი წყლის გატანა, ხოლო შემდგომ, როცა სატრანსპორტო სტრუქტურა სათანადოდ განვითარდება, ექსპორტი მკვეთრად გაიზრდება.

* * *

– ბატონო ვაჟა, ციფრები და ფაქტები, რომელიც ჩემს წინაშე დაახვავე, ჭეშმარიტად შთამბეჭდავია, მაგრამ ძალზე დიდი თანხის დაბანდებას მოითხოვს. ჰყავს თუ არა ამ ფრიად საინტერესო დოქტრინას სავარაუდო ინვესტორი? – ტექნიკური მონაცემების გაცნობის შემდეგ ვეკითხები ვაჟას.

**ვაჟა გავაშელი:** ჩვენი გუნდის გეგმაზომიერი მუშაობის შედეგად უკვე რეალური გახდა საჭირო თანხების მოზიდვის შესაძლებლობა. ეს მით უფრო ითქმის, რომ ხალხმა, რომელმაც პროექტი შეიმუშავა, ჯერ კიდევ წლების წინ მოიძია რამდენიმე უცხოელი ინვესტორი. სხვათა შორის ჩვენი სააქციო საზოგადოების თავმჯდომარემ, ბატონმა პაატა გიორგაძემ ახლახან ისევ მიიღო ერთ-ერთი მათგანის წერილი, რომლითაც დადასტურებულია ამ უცხოელი ბიზნესმენის მზაობა, რომ საქმეში დაუყოვნებლივ ჩადებს 3 მილიარდ დოლარს.

– მაშ, რა ხდება? ვინ და რა უშლის ხელს ამ უაღრესად საინტერესო დოქტრინის განხორციელებას და დღემდე რატომ არ განაახლა მუშაობა სასმელი წყლის ინდუსტრიის საკოორდინაციო საბჭომ, რომელმაც, როგორც ცნობილია, ბატონი ბიძინა ივანიშვილის პრემიერობის შემდგომაც, ბატონი ირაკლი ღარიბაშვილისა და ბატონ დავით ნარმანიას ძალისხმევით საინტერესო ნაბიჯები გადადგა იმ პერიოდში, როდესაც ბატონი დავითი ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების მინისტრი იყო?

**ვაჟა გავაშელი:** თბილისის მერად ბატონი დავითის არჩევის შემდეგ მის ყოფილ სამინისტროს თავკაცი ორჯერ შეეცვალა. ჩვენდა სამწუხაროდ, მათგან ვერც ერთმა ვერ აუღო ალღო, რა სიკეთე შეიძლებოდა მოჰყოლოდა ბუნებრივი სასმელი წყლის ინდუსტრიალიზაციას.

*(გაგრძელება მე-7 გვერდზე)*

# ეროვნულის და საკაცობრიოს!

(გაგრძელება მე-6 გვერდიდან)



ვაჟა გავაშელი

ეს არც არის გასაკვირი. სახელმწიფოებრივ აზროვნება და შესაბამისად ქვეყნის მეცნიერული მართვა, თანაც ისეთი რთული მექანიზმის მართლზომიერი მართვა, როგორიც ზემოხსენებული სამინისტროა, უაღრესად დახვეწილ მეცნიერულ საფუძველსა და პრაქტიკულ გამოცდილებას საჭიროებს, ამის დეფიციტი კი ჩვენში იმდენად ღრმაა, რომ შედეგები არც თუ იშვიათად კატასტროფული ხასიათისაა. ასე მოხდა ამჯერადაც. ამიტომ მოითხოვს ჩვენი გუნდის ხელმძღვანელი, ბატონი პაატა, რომ როცა საკოორდინაციო საბჭო მუშაობას განაახლებს, ზემოხსენებული ყოფილი მინისტრების მსგავსი ჩინოვნიკები ამ დიდ ეროვნულ და საკაცობრიო საქმეს ახლოს არ გააკარონ.

**– თქვენი ბრძოლის პერიპეტიები სხვადასხვა წრეში სხვადასხვანაირად აღიქმება და ერთგან იმასაც კი მოვკარი ყური, რომ ეს საქმე ბატონმა ბიძინამ ვითომცდა სპეციალურად შეაფერხა, რადგან, მავანთა თქმით, სურდა, ამ სარფიან ბიზნესს თვითონ დაპატრონებოდა.**

**ვაჟა გავაშელი:** ენას ძვალი არა აქვს და, სამწუხაროდ, არც თიმსილმაკოები გვაკლია. როგორ შეიძლება რაიმე დავუჯეროთ იმას, ვინც გაიძახის, რომ სამების ტაძრისა და ექვსასამდე ეკლესიის, თეატრების, მუზეუმების, სკოლების ამშენებელსა და მრავალი მეცნიერის, მწერლისა და ხელოვანის გადამრჩენელს საქართველოს დანგრევა უნდა? როგორ შეიძლება ვინმემ იმათი ირწმუნოს, ვინც ამ დიდ მამულიშვილს ცილს წამებს, წყლის ინდუსტრია მომგებიანია და ამ ბიზნესის ხელში ჩაგდება უნდაო? თუ ეს უნდოდა, ვინ იყო ხელის შემშლელი მანამდე, სანამ ეს ამბავი გახმაურდებოდა? სხვას რომ თავი დავანებოთ, ის ხომ მაინც ყველასთვის ცნობილია, რომ წყლის ინდუსტრიალიზაციის საბჭო სწორედ მისი პრემიერობისას და მისი ხელშეწყობით შეიქმნა?

ხელისუფლებას კულისებიდან მართავს და ამით ცდილობს ქვეყნის დაქცევასო, – ამასაც ხშირად გაიგონებ ყიამყრალებისაგან. ნეტავი მართლა მართავდეს ქვეყანას. ასეთ შემთხვევაში არა მარტო სასმელი წყლის ინდუსტრიალიზაციის საბჭოს, არამედ ქვეყნის მრავალ სხვა მივიწყებულ პრობლემასაც ეშველებოდა ერთი რამ არის განსაკუთრებით თვალშისაცემი. თიმსილმაკოები მათთვის ხელსაყრელ ვარაუდებს ისე ახმიანებენ, ვითომცდა ჯერ კიდევ წარსულში, ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსვლამდეც, პირადად მოისმინეს მისი აზრები და თითქოს თავადაც მონაწილეობდნენ მის მიერ გადაწყვეტილებების მიღებაში. არადა, რამდენადაც ვიცი, არც ერთ მათგანს მასთან არვითარი შეხება და სიახლოვე არ ჰქონია. მე კი ჩემს მშობლიურ საჩხერეში, ჩვეულებრივ სამეზობლოში, მას არაერთხელ შევხვედრივარ და შემიძლია ყველას გასაგონად განვაცხადო, რომ ბიძინა ის კაცი არაა, რომ ან თვითონ მართონ, ან მან ვინმე კულისებიდან მართოს. მაგრამ თუ რჩევას სთხოვენ, ამას ნამდვილად არავის დაამადლებს.

პასუხს მოითხოვს რამდენიმე სხვა კითხვაც, მათ შორის ისიც, თუ რატომ ცდილობს მავანი, სხვები დაარწმუნოს, რომ მორალური უფლება აქვს, ბიძინა ივანიშვილს სამშობლოს სიყვარული ასწავლოს? მე მახსოვს შენი სტრიქონები იმ **„სათრეველადან“**, რომელიც, თუ არ ვცდები, გაზეთ **„საქართველოს რესპუბლიკაში“** გამოქვეყნდა: **„დე, თითი მისკენ იმან იშვიროს, ვინც უკეთესად ივანიშვილობს“.**

ერთმა მაინც, თუნდაც მხოლოდ ერთმა თიმსილმაკომ ან მისმა პატრონმა გვიჩვენონ ბატონი ბიძინას მიერ გაკეთებულის მსგავსი სიკეთე და მერე თითი საითკენაც უნდათ, იქით გაიშვირონ!

– ჭორო, საიდან მოდიხარო? – ცილისწამების გაგონებისთანავე კითხულობს ხოლმე ჩვენი ხალხი და, როგორც ბოროტ მონაჭორთა გამოწვლილვითი **„განჩხრეკვა“** გვარწმუნებს, დაეჭვებას ყოველთვისა აქვს საფუძველი, რადგან ყიამყრალები კეთილი განზრახვითა და ქვეყნის საამებლად ჭორსა და ცილისწამებას არასდროს ავრცელებენ.

* * *

– დავუბრუნდეთ საქართველოში სასმელი წყლის ინდუსტრიის პრობლემებს. როგორ წარმოგიდგენიათ მისი მასშტაბები და მზა პროდუქციის მიწოდება-გატანის მექანიზმი?

**ვაჟა გავაშელი:** პროექტი ქვეყნის ყველა რაიონში ითვალისწინებს ჩამომსხმელ ქარხნებსა და დებეტის შესაბამისი სხვადასხვა სიმძლავროს საამქროებს. ეს უკვე ნიშნავს რაიონებისა და რეგიონების ეკონომიკურ გაჯანსაღებას. დასაქმდება ათიათასობით ადამიანი, რომელთა სავარაუდო საშუალო ხელფასი ინდუსტრიის სიმძლავრეთა ამოქმედების გარკვეულ ეტაპზე 1.500-მდე დოლარის ეკვივალენტს მიაღწევს.

ისევ ვიმეორებ, ჩვენი საერთო სახალხო სიმდიდრითა და ამ ღვთივკურთხეული პროექტის ხორცშესხმით სასმელი წყლის დეფიციტის პირობებში მცხოვრები პლანეტის სამი მეოთხედის დაკმაყოფილებაც შეგვეძლება და ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის კეთილდღეობაც არნახულად ამაღლდება. თავად განსაჯე: უშუალოდ წყლის მრეწველობაში დასაქმებულთა მაღალანაზღაურებადი შემოსავლის გარდა, ინდუსტრიის ამუშავების შედეგად საქართველოს თითოეული მოქალაქე ეტაპობრივად გახდება ამ საერთო ეროვნული სახალხო ბიზნესის აქციონერი და ყოველი მათგანი 460 ათასი დოლარის მატერიალური სიმდიდრის მფლობელად გადაიქცევა.

**– ფრიად გაბედული პროგრამაა, რომელიც რამდენადმე არაბთა გაერთიანებული საემიროების ნავთობის ბიზნესს წააგავს. მსგავსი დოქტრინა, ალბათ, დიდ სიკეთეს მოუტანს როგორც ჩვენს ქვეყანას, ისე მის თითოეულ მოქალაქეს. მაგრამ არის ერთი საჩოთირო კითხვა, რომელსაც აუცილებლად მანამდე უნდა გაეცეს პასუხი, ვიდრე ინვესტორებთან შეთანხმებას ხელი მოეწერება და ინდუსტრიალიზაციის გეგმა ამოქმედდება.**

**რა შეგიძლიათ უპასუხოთ და რით შეგიძლიათ, დაამშვიდოთ საქართველოს იმ სოფლებისა და სხვა დასახლებული პუნქტების მოსახლეობა, რომელსაც დღევანდელ ჩვენს წყალუხვ ქვეყანაშიც კი სასმელი წყალი არა თუ აკლია, არამედ არც თუ იშვიათად საერთოდ არა აქვს?**

**ვაჟა გავაშელი:** საქართველოს ზოგიერთ ქალაქში, დაბასა და სოფელში სასმელი წყლის ნაკლებობა იმით კი არ არის გამოწვეული, რომ სათანადო რაოდენობის რესურსი არა გვაქვს, არამედ იმით, რომ ჩვენი ქვეყნის ამჟამინდელი ფინანსური შესაძლებლობა შეზღუდულია და საჭირო ქსელების განვითარებას ვერ უზრუნველყოფს. ასე რომ, პროექტის განხორციელების საწყის ეტაპზევე შეიძლება ერთხელ და სამუდამოდ გადაწყდეს ჩვენი ქვეყნის ყველა დასახლებული პუნქტის 24-საათიანი, უწყვეტი წყალმომარაგების უმწვავესი პრობლემა.

ინდუსტრიალიზაციის პროექტის ავტორებმა ისიც დიდი სიზუსტით გათვალეს, რომ საქართველოში მოძიებული საერთო მარაგის ერთ მესამედი, რომელიც წყლის ინდუსტრიისაგან ხელშეუხებლად დარჩება, მხოლოდ საქართველოს მოსახლეობას კი არა, ათობით უფრო დიდი ქვეყნის ყველა მცხოვრებს ეყოფა.

ჩვენი სასიქადულო მეცნიერების მრავალწლოვანი შრომით კიდევ ერთხელ გაცხადდა ის ჭეშმარიტება, რომ საქართველო ღვთისშობლის წილხვედრი ქვეყანაა და მის მადლს, რომელსაც არაერთხელ ვუხსნივართ, კვლავაც გადარჩენის იმედიანი გზით მივყავართ. მრავალთაგან ამის დასტურია წყალი, რომელიც მსოფლიოში ყველა მწყურვალს დაარწყულებს, ხოლო ჩვენ დაგვაპურებს.

შეიძლება ვინმე შემოგვედაოს, ჩვენში წყლის აღმოჩენას რა უნდოდაო. და, ალბათ, მართალიც იქნება, თუ მხოლოდ მდინარეებისა და ტბების აღმოჩენას გულისხმობს. მათ გასაგონად ისევ და ისევ უნდა გავიმეოროთ. ამჯერად საუბარი მდინარეებსა და ტბებზე როდია. ჰიდროლოგებს, აგრეთვე პროექტში ჩართულ სხვა დარგთა წარმომადგენელ მეცნიერებსა თუ პრაქტიკოსებს, უნდა ვუმადლოდეთ არა მარტო მიწისზედა, არამედ და, რაც მთავარია, მიწისქვეშა წყლების მიგნებასა და მათი ყველა მონაცემის დაზუსტებას. ეს კი უაღრესად შრომატევადი და არც თუ იშვიათად დიდად სარისკო საქმე გახლდათ. დასტურად საკმარისია ითქვას, რომ ამ მიზნით მოწყობილი ერთ-ერთი ექსპედიციის დროს აკადემიკოს იოსებ ბუაჩიძის ვაჟი, თავადაც დიდი ჰიდროლოგი და სახელგანთქმული მეცნიერი, პროფესორი გურამ ბუაჩიძე კლდიდან გადაიჩეხა და დაიღუპა. არც სხვებისთვის ყოფილა იოლი მიწისქვეშა სასმელ წყლებთან დაკავშირებული კვლევა, გასაღების ბაზრის ძიება და ქვეყნის გადარჩენის ყოველმხრივ დასაბუთებული რეალური პროგრამის შედგენა.

**– ამ უზარმაზარი ტვირთის ტრანსპორტირება არ გაჭირდება?**

**ვაჟა გავაშელი:** ამჟამად ჩვენს ქვეყანაში მდგომარეობა სრულიადაც არ არის სახარბიელო. ამიტომ ამჟამინდელი შეზღუდული სატრანსპორტო გამტარუნარიანობის გამო თავდაპირველად მომხმარებელს შეიძლება მივაწოდოთ სასმელი წყლის დასაშვები რაოდენობის ერთ პროცენტზე ნაკლები. მაგრამ ამ დღეებში, სამეგრელოში პრემიერის ყოფნისას ხაზგასმით ითქვა, რომ მიღწეულია შეთანხმება ანაკლიის პორტის უახლოეს დროში აშენებისა და საექსპლუატაციოდ გადაცემის შესახებ.

ამ პორტის ტვირთგამტარიანობა წელიწადში ერთი მილიონი ტონა იქნება. თუმცა, თუ წყლის ინდუსტრიის შესაძლებლობებს გავითვალისწინებთ, რასაკვირველია, ესეც არ არის საკმარისი. ყურადღებით დააკვირდი თუნდაც ერთ მონაცემს და თავად გამოიტანე დასკვნა: მარტო ჩემი მშობლიური რაიონის – საჩხერის ერთი საწარმო წლის განმავლობაში ცხრაასორმოცდაექვს ტონა წყალს ჩამოასხამს. ეს მაგალითი თვალნათლივ გვარწმუნებს, რომ დღის წესრიგში ამთავითვე დგას კიდევ რამდენიმე პორტის აუცილებლობა.

ჩვენი ყველა ინვესტორი თანახმობას აცხადებს სასმელი წყლის გატანასთან დაკავშირებული მთლიანი ინფრასტრუქტურის დაფინანსებაზე. ეს არა მარტო პორტების მშენებლობასა და გაფართოებას, არამედ საავტომობილო გზებისა და ხიდების, აგრეთვე სარკინიგზო მაგისტრალების მშენებლობასა და უამრავ სხვა სიკეთეს გულისხმობს. ამიტომ ღრმადა ვარ დარწმუნებული, რომ ახლაც კი, როცა ჩვენ ვსაუბრობთ, ალბათ, მრავალთაგან რომელიმე სავარაუდო ინვესტორთან ისევ მიმდინარეობს პროექტის დაფინანსების საკითხის ზოგიერთი ასპექტის დაზუსტება.

– გეთანხმები. სასმელი წყლის მოპოვებისადმი ინტერესი უკვე კარგა ხანია, ძალზე დიდია. თუ არ ვცდები, შენთვის მოყოლილიცა მაქვს იმის შესახებ, თუ ჩემი მეგობრისა და კოლეგის, ისრაელის ქართულენოვანი გაზეთის **„ალია საქართველოდან“** რედაქტორის, ბატონ აბრაამ საპირის შუამავლობით ჯერ კიდევ 25 წლის წინათ როგორ მთხოვდა ბიზნესმენთა ერთი ჯგუფი, მიმეწვდინა მათი ხმა საქართველოს იმდროინდელი ხელისუფლებისათვის, რათა დაწყებულიყო მოლაპარაკება სასმელი წყლის შესყიდვაზე. ეს ხდებოდა გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში. სწორედ იმ პერიოდში, როცა საყოველთაო სახალხო არჩევნებში გამარჯვებული ეროვნული ხელისუფლება გაბედულად აცხადებდა: სხვა რომ არაფერი გვქონდეს, ქართველ ხალხს **„ბორჯომისა“** და სასმელი წყლიდან მიღებული შემოსავალიც აცხოვრებსო.

მართალია, მაშინ სკეპტიკოსებს ამგვარი განცხადება სასაცილოდ არ ჰყოფნიდათ, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, წინასწარგანჭვრეტა ახდებოდა, რომ თუნდაც **„ბორჯომით“** საქართველო კი არა, მხოლოდ ერთი კაცი არ გამდიდრებულიყო.

პირველი სტუმრობიდან 5 წლის შემდეგ, 1995 წლის სექტემბერში, როცა ხელახლა ვეწვიე ისრაელს, აბრაამ საპირის (სეფიაშვილის) საუბარი ფირზე ჩავიწერე:

**„საქართველოში შენი დაბრუნების შემდეგ განუწყვეტლად ვადევნებდი თვალს, რა ხდებოდა საქართველოში და როგორ იბრძოდი შენ, რათა „ქუთაისისათვის“ დამოუკიდებელი გაზეთის სტატუსი შეგენარჩუნებინა. როგორც კი თქვენთან მდგომარეობა ერთგვარად მიწყნარდა, ვეღარ მოგძებნე და პირადად ჩამოვფრინდი თბილისში, რათა ხელისუფლების უმაღლესი ეშელონის წარმომადგენლები მომენახულებინა.**

**ისრაელი ბიზნესმენების წინადადება ყველას მოეწონა, მაგრამ, იცი, თითოეულმა მათგანმა რა მკითხა? რომ დაგეხმარო და ეს საქმე დავაგვირგვინო, პირადად მე რამდენი დამრჩებაო?“**

დაავადების ამავე სახადის გამო ხომ არ ჭიანურდება სასმელი წყლის პროექტის ამოქმედება?

**ვაჟა გავაშელი:** გამორიცხული არაფერია. შენ და მე წლების მანძილზე ტელევიზიაში ისეთ სფეროს ვემსახურებოდით, რომ დედუქციური მეთოდი და მიზეზშედეგობრიობა ჩვენთვის ახალი ხილი როდია.

როგორც ჩანს, მავანს მხოლოდ მინერალური წყალი არ აკმაყოფილებს, რადგან დაბალმინერალიზებული და ჩვეულებრივი სასმელი წყლის ბიზნესი გაცილებით მომცველი და შემოსავლიანია. ამ საფრთხესთან დაკავშირებული ვარაუდი სულ ახლახან პრესის საშუალებით ჩვენი გუნდის ხელმძღვანელმაც გამოთქვა. მაგრამ ჩემი ღრმა რწმენით, მსგავსი საფრთხის თავიდან აცილების საშუალება ნამდვილად არსებობს. მით უფრო, თუ ყველა ერთ მუშტად იმ მიზნით შევიკვრებით, რომ არავის მივცეთ უფლება, ხალხს ფიზიკური გადარჩენის გზა საბოლოოდ დაუხშოს და ღვთივკურთხეული საერთო სახალხო სიმდიდრე ხელიდან გამოსტაცოს.

* * *

სწორს ბრძანებს ჩემი მეგობარი: 25-წლიან განუკითხაობას ერთხელ და სამუდამოდ უნდა დაესვას წერტილი და ღვთივნაკურთხი საერთო სახალხო საკუთრება ამიერიდან მაინც ხელიდან ვერავინ ვერ უნდა გამოგვგლიჯოს.

მინდა მჯეროდეს, რომ რადგან რამდენიმე სხვა მინისტრთან ერთად უკვე ისიც გადადგა, ვინც ნებსით თუ უნებლიედ ამუხრუჭებდა სასმელი წყლის ინდუსტრიალიზაციის პროგრამას, მისი ადგილმონაცვლე სათანადო დასკვნებს გამოიტანს და რეალურად შეეწინააღმდეგება იმათ დიქტატს, რომლებიც ხელოვნურად აჭიანურებენ სიდუხჭირიდან ჩვენს თავდაღწევას.

ამგვარ დესტრუქციულ ძალას უნდა აშინებდეს, დიახ, უნდა აშინებდეს ხალხის მიერ რისხვით შეკრული მუშტი და მაშინ ვეღარ გაბედავს, ყველაფერი ეჩოსებრ თავისკენ მიითალოს, რათა ამით თვითონ გამდიდრდეს, ხოლო ქვეყნის გადარჩენის ყოველგვარი შესაძლებლობა წყალს გაატანოს, – იმ წყალს, რომელმაც უნდა გადაგვარჩინოს და ქვეყანაში სამუდამოდ დაამკვიდროს საყოველთაო კეთილდღეობა.

ნურავის მივცემთ ხალხის უმოწყალოდ გაყვლეფის უფლებას და ჩვენში აღარასდროს ჩაქრება ბედნიერი ხვალინდელი დღისა და ღვთისმშობლის წილხვედრი საქართველოს გაბრწყინების იმედი!

**ალექსანდრე შენგელია**

# მედიაკრიტიკა: სახელობითი შოუები საქართველოში

რას გვაძლევს ამდენი სახელობითი შოუ ქართულ სატელევიზიო სივრცეში? გვინდა, ან გვჭირდება თუ არა, ნამდვილად, **"ნანუკა ჟორჟოლიანის შოუს", "გია ჯაჯანიძის შოუს", "ეკა ხოფერიას შოუს", "პროფილისა"** და მსგავსი გადაცემების ეს რაოდენობა ქართველებს და შეესაბამება თუ არა ქართული ტელევიზიის განვითარებას ამ გადაცემების ხარისხი? თუ ეს გადაცემები უბრალოდ, ტელევიზიების ფინანსური კეთილდღეობის წისქვილზე დასხმული წყალია, რომელსაც ყოველთვის თან ახლავს მათი მხრიდან თავის მართლების მიზნით გაკეთებული, გარკვეულწილად, საზოგადოების დამამცირებელი განმარტება, რომ ეს ხალხის დაკვეთაა, რეიტინგულია, საზოგადოებას მოსწონს და ა.შ.

ნუთუ მხოლოდ სხვისი ტრაგედიების მოსმენით და სხვისი გარდერობის თვალიერებით ვერთობით? ნუთუ ამდენი თავისუფალი დრო გვაქვს იმის გასაგებად და გასარჩევად, რატომ აქვს დაძაბული ურთიერთობა **"გაფეისებულ"** თამუნა ვაშალომიძეს დედასთან?

ჟურნალისტები, რომლებსაც დღეს საკუთარი, სახელობითი შოუები აქვთ, აქტიურ ჟურნალისტიკაში ნამდვილად საინტერესო და მრავალფეროვანი ბეგრაუნდით გამოირჩევიან. შეიძლება ითქვას, რომ მათი ცოდნა და კვალიფიკაცია არ იძლევა იმის თქმის მიზეზს, რომ ისინი არ იცნობენ ან ჟურნალისტიკის ნორმებს, ან არ აქვთ ამ სფეროში მუშაობის გამოცდილება. თუმცა ფაქტია, რომ პასიურ ჟურნალისტიკაში მოხვედრის შემდეგ ამ ადამიანებმა საზოგადოებას, მაყურებლის კრიტიკულად განწყობილი ნაწილის აღქმით, უხარისხო, სკანდალურ თემებზე ორიენტირებული, ზოგიერთ შემთხვევაში ადამიანების უფლებების შემლახველი ახალი ტრენდი შესთავაზეს. **"სახელობითმა"** გასართობმა შოუებმა წლების წინ მართლაც მიიზიდა მაყურებელთა გარკვეული კატეგორია და ეს შოუები დღესაც საკმაოდ პოპულარულია. თუმცა მაყურებლის გარკვეული ნაწილი კრიტიკულად აფასებს მსუბუქი, ბანალური თემებით დატვირთულ შოუებს, რომლებიც მეტწილად, ადამიანების ემოციებზე აპელირებას ისახავს მიზნად და ხშირად ამას მაყურებლის გაღიზიანებაც მოსდევს ხოლმე...

ერთ-ერთი ქართული ინტერნეტსაიტი დაინტერსდა, როგორია ახალი თაობის მედიაკრიტიკა წინა თაობის ჟურნალისტების მიერ დამკვიდრებულ ამ მედიატრენდთან დაკავშირებით.

როგორც ჟურნალისტი, ბლოგერი, Mediachecker.ge-ს მედიაკრიტიკის სვეტის ავტორი, თამარ კარელიძე აღნიშნავს, ასეთი გადაცემების არსებობა სატელევიზო სივრცეში ცუდი არ არის, მაგრამ მსგავს გადაცემებში ხშირად ირღვევა ეთიკური სტანდარტები. ის მაგალითისთვის გია ჯაჯანიძის ერთერთ შოუს ასახელებს, რომელიც გაყრილი მშობლების თემას ეხებოდა, სადაც სტუდიაში მცირეწლოვანი ბავშვი ჰყავდათ მიყვანილი, რომელიც ეთერში არ უნდა ყოფილიყო. აქ, თამარ კარელიძის თქმით, კანონის, კოდექსის დარღვევაზეა საუბარი. ამიტომ, ის ფაქტორი, რომ აშკარად კარიკატურული პერსონა გია ჯაჯანიძე პროფესიით ჟურნალისტი არ არის და მან ჟურნალისტიკის წესები არ იცის, მას, მის პროდიუსერს თუ გადაცემაზე მომუშავე გუნდს პასუხისმგებლობისგან არ ათავისუფლებს.

**"ნანუკას შოუს ყურებისას სულ ისეთი შთაბეჭდილება მაქვს, რომ არარსებულ საქართველოზე გვიყვება. ეს ვიღაცას შეიძლება მოსწონს, ვიღაცისთვის კი გამაღიზიანებელია. ამას რომ თავი დავანებოთ, ხშირად აქვს გადაცემაში რეკლამის ელემენტები. ახალი რეგულაციით, ეს კანონით დასჯას ითვალისწინებს. რაც შეეხება ეკა ხოფერიას — ზოგადად, ძალიან უცნაური ფენომენია, როცა შეგიძლია, გადაცემა მეგობრების ან ბიზნესის გასაპიარებლად გამოიყენო. ყველაზე დიდი პრობლემა ის არის, რომ ეს ადამიანები არ არიან ხოლმე მომზადებული გადაცემებისთვის. განსაკუთრებით, ისეთი სენსიტიური თემების დროს, რომლებიც სოციალურ თემებს ეხება. მაგალითად, როდესაც შშმ პირზეა საუბარი ან რომელიმე უმცირესობის წარმომადგენელზე",—** ამბობს თამარ კარელიძე და ეკა ხოფერიას იმ გადაცემას იხსენებს, სადაც ჟურნალისტმა ახალგაზრდა, ჭარბი წონის მქონე ბიჭს არაეთიკური შეკითხვა დაუსვა (როდისმე სექსი გქონია თუ არაო). **"არაფერი ამართლებს ამას. მათ შორის, არც ის, რომ ბიჭს შემდეგ ოპერაცია დაუფინანსეს და სტაჟიორად დაასაქმეს", —** ამბობს თამარ კარელიძე.

ეკა ხოფერიას ამავე გადაცემაზე ამახვილებს ყურადღებას ჟურნალისტი, ბლოგერი, გადაცემა **"წითელი ზონის"** რედაქტორი, ლაშა ქავთარაძე, როდესაც მედიის მიერ დარღვეულ ეთიკის ნორმებზე საუბრობს. ის ასევე გია ჯაჯანიძის ერთ-ერთ შოუს იხსენებს, სადაც არასრულწლოვანის გაუპატიურებას ეხებოდა საუბარი და დაზარალებული ბავშვის არაპირდაპირი იდენტიფიცირება ხდებოდა.

**"ამას შეიძლება, იმაზე უარესი შედეგები მოჰყვეს, ვიდრე იმას, რის გამოც ეს ბავშვი რესპონდენტი გახდა და მას სამომავლოდ ორმაგად, სამმაგად მეტი ზიანი მოუტანოს, მეტი საფრთხე შეუქმნას. შესაბამისად, ჩემი დამოკიდებულება ამ შოუებისადმი ცალსახად უარყოფითია, თუმცა ვერ ვიტყვი, რომ ეს ხელოვნურად დანერგილი სტანდარტია. ეს ბუნებრივად ხდება",—** ამბობს ლაშა ქავთარაძე და აღნიშნავს, რომ მსგავსი ტიპის შოუები სხვა ქვეყნებშიც არის, სადაც აღარ აქვთ პრობლემები მედიასტანდარტებთან დაკავშირებით, მაგრამ სიყვითლე, ეპატაჟურობა და სკანდალურობისადმი არანორმალური სწრაფვა მათი შოუებისათვის დამახასიათებელია. თუმცა, მთავარი განსხვავება ქართულ მედიასივრცესა და იმ სივრცეს შორის ის არის, რომ **"იქ ყველაფერს თავისი სახელი ჰქვია. და იქ არის შოუები, რომლებიც არ აკეთებენ თავიანთ რეიტინგს მომხმარებელთა და თავიანთი რესპონდენტების უგულებელყოფის ხარჯზე. ისინი ამ ყველაფერს პროფესიონალიზმის ხარჯზე ახერხებენ".**

რაც შეეხება ქართულ მედიასივრცეს, ლაშა ქავთარაძის თქმით, ქართულ მედიაში დღეს ასეთი სტანდარტი არსებობს: მნიშვნელოვანია არა ეთიკურობა, პროფესიონალიზმი და კარგად გაკეთებული გადაცემა, არამედ რეიტინგი, რომელიც პირდაპირ კავშირშია რეკლამასთან და არხის შემოსავლებთან. თუმცა მიიჩნევს, რომ საქართველოშიც ნელ-ნელა იწყება ისეთი გადაცემები, რომელბიც ხარისხზე არიან ორიენტირებული და იმედოვნებს, რომ საქართველოშიც მალე დაერქმევა ყველა შოუს თავისი სახელი.

**"ამის პოტენციალი ყველა ჟურნალისტში არსებობს, უბრალოდ, ამაზე უნდა იყოს დაკვეთა ერთი მხრივ, მაყურებლების, ხოლო მეორეს მხრივ, დამსაქმებლის მხრიდან", —** ამბობს ლაშა ქავთარაძე.

რამდენ ხანში გაჩნდება მაყურებლისა და დამსაქმებლის მოთხოვნა ისეთ შოუებზე, რომლებიც ადამიანის უფლებებს არ შელახავენ და ჟურნალიტურ ეთიკას არ დაარღვევენ, რთული განსასაზღვრია. მაყურებლის ერთ ნაწილს, რომელიც აზარტით ელის მორიგ "გიჟურ" სანახაობს ამგვარი შოუებისგან, კმაყოფილებას გვრის კიდევ უფრო მეტი დუდუკი და ცრემლი, მეორე ნაწილს კი, რომლისთვისაც გამაღიზიანებელი და ერთგვარად, შეურაცხმყოფელია ქართული სახელობითი შოუების ასეთი შინაარსი, შოუს შემქმნელებისგან ხშირად აქვთ პასუხი — თუ არ მოგწონთ, არსებობს პულტი და გადართეთ...

მაგრამ, ხომ შეიძლება, რომ ჩემმა უწლოვანმა შვილისშვილმა არ გადართოს პულტი? რატომ უნდა უცქიროს და უსმინოს მან ამ სიბინძურეებს?

თამარ კორკოტაშვილი

გაზეთ "ილორის" კომენტარი: *აღარაფერს ვამბობთ ტელეარხ "იმედი"-ს ჟურნალისტ ინგა გრიგოლიაზე, რომლის მიერ მოწყობილი შოუები და ისტერიული ლანძღვა მოქმედი ხელისუფლებისა ფარულად ატარებს ფინანასურ ინტერესს: "მომეცი ფული და არ გაგლანძღავთ"!*

*კიდევ ერთხელ უნდა დავუბრუნდეთ ტელეარხ "რუსთავი-2"-ის მიერ გაჟღერებულ თემას, სადაც ამ მართლაც გველების ბუდემ კიდევ ერთხელ ინტრიგანულად შეასხა ლაფი ბიზნესომბუდსმენსა და საქართველოს მთავრობის ეკონომიკური საბჭოს თავმჯდომარეს გიორგი გახარიას. ჩვენი გაზეთის წინა ნომერში გამოვაქვეყნეთ წერილი სათაურით:* "ზაღმა შედავება უზნეობის კულმინაციაა...", *რომელშიც ვამხილეთ ამ ტელეარხის "ეკონომიკურ მიმომხილველად" წოდებული ნაციონალი არამზადა კაკო გოგიჩაიშვილი ბატონ გიორგი გახარიას შეგნებულად დისკრედიაციაში, როცა მან ტელეარხიდან გააჟღერა ფაეული აუდიოჩანაწერი, სადაც თითქოს გმოაშკარავებულია გახარიას მიერ ბიზნესმენად წოდებული კრიმინალის ვახო გოძიაშვილის "შევიწროება".*

თვალსაჩინოებისათვის ვიმეორებთ ამ გადაცემის თაობაზე გაზეთის კომენტარის ნაწილს.

**"არ შეიძლება რომ იყოს ერთი და მეტი არავინ. თავად ამოირჩიე, კიდევ ვინ უნდა იყოს შენ გარდა და მორჩა", — ეს გახარიას სიტყვებია, რომელიც ჩანაწერში ისმის.**

**რა გამოდის? — ბიზნესომბუდსმენი პირდაპირ ამბობს, რომ მონოპოლია არ შეიძლება, ამბობს, რომ გოძიაშვილი ბიზნესში უნდა დარჩეს, მაგრამ უნდა დარჩეს სხვებთან ერთად. როცა ვინმეს ჩაჩოჩება უნდოდათ, როგორ ექცეოდნენ ბიზნესმენებს წინა ხელისუფლების პირობებში, ყველაზე უკეთ სწორედ ნაციონალური მოძრაობის ლიდერებმა იციან. სატელეფონო ზარი და შეთანხმება კი არა, გლდანის ციხის ჯოჯოხეთი და ყველაფრის წართმევა გარანტირებული იყო და ესეც იმ შემთხვევაში, თუ ბიზნესმენის ცოცხლად დატოვება სურდათ. და ახლა, როცა ცივილურად ხდება პრობლემების მოგვარება, ცარიელ ჭიქაში ქარიშხლის დატრიალების მცდელობის აზრი არ ჩანს, თუმცა, მეორეს მხრივ, საინტერესოა უშუალოდ გოძიაშვილის პერსონა...**

**ნაციონალების ზეობის პერიოდში გოძიაშვილი რამდენჯერმე ჩავარდა სამართალდამცავთა ხელში. ორჯერ საქმე ნარკოდანაშაულთან გვქონდა, ბოლოს კი ყაჩაღობის ბრალდებით დააკავეს. მიზეზი მარტივია — გოძიაშვილის შვილის ნათლია ექსპრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილია და მისი ხელშეუხებლობაც სწორედ მისი**

**დამსახურება იყო, თუმცა ბოლოს, ისიც გადააგდეს.**

**დღეს გოძიაშვილს ჭიათურმანგანუმში ექსკლუზივის დათმობა არ სურს. სავარაუდოდ, სწორედ გოძიაშვილია ერთ-ერთი დამფინანსებელი იმ არასამთავრობო ორგანიზაციებისა, რომლებიც კვირაში რამდენჯერმე აქციებს აწყობენ და ცდილობენ, ქვეყანაში არსებული ვითარება სხვაგვარად წარმოაჩინონ და მუქ ფერებში დახატონ".**

*ამ სტრიქონებით ყველაფერია ნათქვამი და გოგიჩაიშვილს სინდისი რომ ჰქონოდა, ბოდიშს მოიხდიდა გახარიას წინაშე ამ უმსგავსო საქციელისათვის, მან კი, შაბათს, 9 მაისს, გაიმეორა თავისი ცილისმწამებლური გადაცემა, რითაც თითქოს შეეცადა გაექარწყლებინა ნორმალური პრესის საშუალებით საზოგადოების მიერ გამოთქმული გულისწყრომა აღნიშნული უსამართლობისადმი.*

***მაგრამ სინდისი კაცებს აქვთ და არა გოგიჩაიშვილისთანა ჰომოსექსუალებს (უბრალო ენით "პედერასტებს" რომ უწოდებენ), რომლებიც ფულის გულისათვის ყოველივე უკადრისს კადრულობენ.***

*მაგრამ სინდისი კაცებს აქვთ და არა გოგიჩაიშვილისთანა ჰომოსექსუალებს (უბრალო ენით "პედერასტებს" რომ უწოდებენ), რომლებიც ფულის გულისათვის ყოველივე უკადრისს კადრულობენ. დარწმუნებული ვართ, რომ ასეთი სახელის მიკერებისათვის ნებისმიერი კაცი მოგვთხოვდა სატისფაქციას შეურაცხყოფისათვის, მაგრამ გოგიჩაიშვილისათვის ეს შეურაცხყოფა კი არა, რეკლამაა, რომელიც კლიენტებს მოუმრავლებს მას. ამიტომ, არა გვაქვს იმის იმედი, რომ გოგიჩაიშვილი ცილისწამებად ჩაგვითვლის მის არაკაცთა კატეგორიისადმი მიკუთვნებას და დღეს რომ ცილისწამებისათვის აღარავის სჯიან, ამიტომაც ასხამს ესოდენ დიდი მონდომებით ლაფს ახალგარხდა ადამიანს გიორგი გახარიას, რომელსაც საზოგადოების ჯანსაღი ნაწილი უაღრესად წესიერ და კორექტულ პიროვნებად ახასიათებს.*

*რაც შეეხება ბიზნესმენად წოდებულ კრიმინალს ვახო გოძიაშვილს, რომელიც დღეს ნაცმოძრაობა და მისი რუპორი "რუსთავი-2" წესიერი ადამიანების წინააღმდეგ საბრძოლველ იარაღად იყენებს, აქ ყველაფერი დღესავით ნათელია, რადგან საქმის ზედაპირულად გაცნობითაც კი დარწმუნდებით, რომ (დაბეჯითებით ვიმეორებთ)* "დღეს გოძიაშვილს ჭიათურმანგანუმში ექსკლუზივის დათმობა არ სურს. სავარაუდოდ, სწორედ გოძიაშვილია ერთ-ერთი დამფინანსებელი იმ არასამთავრობო ორგანიზაციებისა, რომლებიც კვირაში რამდენჯერმე აქციებს აწყობენ და ცდილობენ, ქვეყანაში არსებული ვითარება სხვაგვარად წარმოაჩინონ და მუქ ფერებში დახატონ.

რეალურად, გოძიაშვილის დარი ბიზნესმენი მმართველ გუნდთან რომ ასოცირდებოდეს, ნაციონალური მოძრაობის ლიდერები ყოველდღიურ რეჟიმში შეგვახსენებდნენ, რომ ბიზნესი კრიმინალთა ხელშია და სამჯერ ნასამართლევი ადამიანს სერიოზული ბერკეტები აქვს. გოძიაშვილზე კი ეს არ ვრცელდება, რადგან მისი შვილის ნათლია დიდი ფულის კეთებაში გაწაფული სომეხი დაშნაკი მიხეილ სააკაშვილია.

სქემა მარტივია: დააბრალე სხვას ის, რაშიც დამნაშავე ხარ. წინა კვირას "მაესტროს" ეთერში ბიზნესომბუდსმენი, როგორც ჩანს, ვერც კი წარმოიდგენდა, რომ მისთვის ძალიან "ნათელი და უპრობლემო" საქმე, რომელში ჩარევამაც სიტუაციის გაჯანსაღება და რეგიონში ბიუჯეტის ზრდა გამოიწვია, სამჯერ ნასამართლევი გოძიაშვილის მხრიდან ისევ სპეკულაციის საგანი გახდებოდა. უცნაურია, რომ გოძიაშვილი, მიუხედავად თავისი კრიმინალური წარსულისა, ბედავს ამ თემაზე საჯაროდ საუბარს, მაგრამ სავარაუდოდ, მასზე არსებობს ის, რითაც მართავენ".

*აღნიშნულიდან გამომდინარე, კიდევ ერთხელ ვაქვეყნებთ აღნიშნულ ფაქტზე არასამთავრობო ორგანიზაციების გამოხმაურებას, რომელსაც სააგენტო "ინტერპრესნიუსი" უცვლელად გთავაზობთ:*

"საქართველოს ბიზნეს ასოციაციები, როგორც ქვეყნის ეკონომიკური სფეროს უმნიშვნელოვანეს სექტორში მოღვაწე პროფესიული გაერთიანებები, შეშფოთებას გამოვთქვამთ იმ ფაქტის გამო, რომელსაც ამ რამოდენიმე დღის წინ ჰქონდა ადგილი და მიზნად ისახავს არა რომელიმე ბიზნეს სტრუქტურის დისკრედიტაციას, არამედ საქართველოს ბიზნეს ომბუდსმენის ინსტიტუტის იმიჯისა და საქმიანი რეპუტაციისათვის, სრულიად უსამართლოდ ზიანის მიყენებას, რითაც საბოლოოდ სერიოზულ დარტყმას მივიღებთ მთლიანად ბიზნეს გარემოზე და აქედან გამომდინარე ქვეყნის ეკონომიკაზე.

ბატონი გიორგი გახარია ამ თანამდებობაზე მოსვლის დღიდან გულისხმიერებით, მაღალი პროფესიონალიზმით და დიდი მონდომებით ცდილობს თავისი კომპეტენციის ფარგლებში დაეხმაროს ბიზნესის წარმომადგენლებს და ამის მრავალი მაგალითი არსებობს, ხოლო დღეს როგორი პარადოქსიც არ უნდა იყოს, ბიზნესს თავად უწევს მისი დაცვა, რაც სამწუხარო რეალობაა და უარყოფითად აისახება ინვესტორთა ქცევაზე.

ამიტომ, ჩვენ მაქსიმალური ყურადღებით მივადევნებთ თვალს მოვლენების შემდგომ განვითარებას და შევეცდებით, რომ მომავალშიც მყისიერი რეაგირება მოვახდინოთ ამ ფაქტისადმი არასამართლიანი და ტენდენციური დამოკიდებულების შემთხვევაში", — ნათქვამია განცხადებაში, რომელსაც ხელს აწერენ: მცირე და საშუალო საწარმოთა ასოციაცია; ნავთობ პროდუქტების იმპორტიორთა კაშირი; ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა ასოციაცია; საქართველოს ბანკების ასოციაცია; საქართველოს ფერმერთა ასოციაცია; საქართველოს მეცხვარეთა ასოციაცია; ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაცია; საქართველოს მეხორბლეთა ასოციაცია.

ამით კი ყველაფერია ნათქვამი!

# ქიმია, ალქიმია, ექიმი, სკოლა, მათემატიკა, არითმეტიკა, კალენდარი და სხვა ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის ტერმინთა ეტიმოლოგია

**"...რკინის, განსაკუთრებით ფოლადის დამზადებაც ბერძნებს, როგორც ეტყობა პირველად ქართველი ტომებისგან შეუსწავლიათ. ეს ფოლადის ბერძნული სახელიდან ჩანს: ხალფვს, ხალბდიკოს ხალიბის ტომის სახელისგან არის წარმომდგარი და ხალიბურსა ნიშნავს. მართლაც ხალიბების გაკეთებული რკინის ნივთები ძალიან განთქმული იყო. (მეცნიერებმა სახელი ხალიბ ზმნა ხალვა მოხალვა მეგრ ხალუას დაუკავშირეს. ავტორი).**

**ერთი სიტყვით, უმთავრესი და კაცობრიობის წარმატებისათვის აუცილებელი საჭირო მადნების სახელები ან ქართველი ტომებისგან არის შეთვისებული, ან არა და მათი სატომო სახელწოდებისგან არის წარმომდგარი. ამით ცხადადა მტკიცდება, რომ ქართველ ტომებს მადნეულის შემუშავებაში კაცობრიობის წინაშე საპატიო ღვაწლი მიუძღვით".** იხ. ივ. ჯავახიშვილი **„თხზულებანი 12 ტომად"** გვ.64 1979 წ.

ვსვამთ მარტივ კითხვას: თუ ბერძნული მეტალურგია, თავისი განვითარებით, წინ უსწრებდა კოლხურს, რატომ რომელიმე ქართველურმა ენამ არ შეითვისა ამის მიმანიშნებელი ლინგვისტური ელემენტი? ან რატომ მოხდა პირიქით?...

მადნების ქართველური სახელების ბევრი მახვილგონივრული ეტიმოლოგიაა გაკეთებული (ნ. მარი, ო. შრედერი და სხვები). მიუხედავად ამისა, მკითხველს ვთავაზობთ ზოგიერთი მადნის სახელის წარმოშობის ჩვენებურ გაგებას.

მადნის სახელი — ვარჩხილი // ვერცხლი, ამოსავლიანობის თვალსაზრისით, მაშინვე მიგვანიშნებს, რომ შესაძლოა კავშირი ჰქონდეს მეგრულ რჩხუალა-სთან ვა-რჩხილ-ის შემთხვევაში, და იგივე მნიშვნელობის სიტყვა — რეცხვასთან ქართული ვერცხლის შემთხვევაში. რჩხუალა//რეცხვით ხომ საგანი ელვარე ხდება. ეს აზრი უფრო სარწმუნო გახდება თუ ვიცით, რომ მეგრულად და ქართულად ბარჩხალ-ი (ბარჩხალა მზე) ელვარებაა. ანუ რეცხვით გამოწვეული ბარჩხალი — **„ელვარებაა"** ამოსავალი მნიშვნელობა.

მაგრამ აქ ერთი კითხვა იბადება: ვარჩხილი // ვერცხლის რჩხუალა // რეცხვით გამოწვეულ ბარჩხალთან დაკავშირება ხომ არ მიგვანიშნებს მის მოპოვების წესზე — მდინარის ქვიშის თუ სხვა საბადოს წყლით რეცხვაზე.

მეგრულ ერთმარცვლიან სიტყვა კ ორი მნიშვნელობისაა: 1. რკო და 2. მაგარი. მაგ კ რე, კ -ჯგუა რე უდრის — **„კ არის, კ-სავით არის", უდრის „მაგარია".**

**კ** სიტყვიდან იღებს საწყისს ერთ-ერთი ძირითადი არქაული სამშენებლო მასალის სახელი კირი.

ეტყობა მასალის (კირის) სახელი მისი მთავარი თვისების მიხედვით წარმოიქმნა. ეს თვისებაა — კ რე — მაგარია, რაც ლოგიკურია. ქვითკირითაა ნაგები ძველი ციხე-სიმაგრეები, რომლებიც სიმაგრის სიმბოლონი არიან. მაგ მეგრელები იტყვიან: ქორექო ჯიხაცალო? უდრის ხარ ციხე-სიმაგრესავით?. ძველქართულში ქვითკირის ნაგებობას ბურჯი ეწოდებოდა... გვაქვს სიტყვა კირთება, გვარი კირ-თა-ძე და ა. შ. ასე რომ სახელ კირი-ს სიმაგრის მოაზრებებიდან ამოსავლიანობა უეჭველია:

მაშასადამე, ყოველმიზეზსგარეშე, მოხდა ეს ცვლილება: კ -რე > კირი.

არაფერია საკვირველი იმაში, რომ, თავდაპირველად, სპილენძთან შედარებით, გაცილებით მაგარ რკინას იგივე სახელი კ -რე >კირი ქონოდა. აქ, რა თქმა უნდა, გულისხმებულია ის, რომ რკინასთან შედარებით, კირი, როგორც მასალა, რაკი უფრო ხანგრძლივი ისტორიისაა, ეს სახელი — კირი რკინაზე (მნიშვნელობის გაფართოებით) განივრცო, შემდეგ განიცადა რა უმნიშვნელო ცვლილება კი-რი > (რ > ნ როტაცია შდრ. ძვ. ქართ. სუ-რ-ი > ახალ ქართ სუ-ნ-ი ) კი-ნი > (ი > ა გადასვლა შდრ. შუმ-ი „ღვინო" > შუმ-ა მეგრ. სმა) კინა.

ბოლოს მეტალურგიის, ალქიმიის, ქიმიის, მედიცინის ერთიანობის საკითხებთან მიმართებით უნდა აღინიშნოს, რომ თუ რაოდენ განმაცვიფრებელია ალ-ქიმ-იის, ქიმ-იის და ე-ქიმ-ის ერთძირიანობა!!!...

ჩვენი აზრით, სახელი ალ-ქიმ-ია ქიმ-იის წინარე ფორმაა. როგორც თავიდანვე აღვნიშნეთ, მისი წარმოშობა უშუალოდ იყო დაკავშირებული მეტალურგიულ პროცესებთან, მეტალურგიულ საქმიანობასთან ანუ მეგრულად მეტალურგიულ ქიმ-ინ-უასთან. ეს მეტალურგიული ქმნადობა ანუ მეტალურგიული ქიმ-ინ-უა გახლდათ მადნის ცეცხლის ენის საშუალებით ანუ მადნის ცეცხლის ალზე დნობა მეტალისა. დიახ ეს ალზე ქმნადობა ანუ ალით ქმნაა, რაც მეგრულად, სიტყვასიტყვით ითქმის ასე: ალით ქიმინ-ი. აი, ეს ფრაზა, საუკუნეების მანძილზე კოლხურ მეტალურგიაში ხმარებისას, გამარტივდა და ჯერ კიდევ ჩვენს ერამდე მიიღო ფორმა ალ-ქიმია და ქიმია-სი, რაც სავსებით – ბუნებრივი, უფრო სწორედ – გარდაუვალი იყო:

ალ-(ით) ქიმ-ინ-ი > ალ-ქიმ-(ინ)-ი > ალ-ქიმ-ია;

ალ-ქიმ-ია > ქიმ-ია

ალ-ქიმ-ია > ა-ქიმ-ი //ე-ქიმ-ი

როგორც ვხედავთ, ტერმინების — ალქიმიის, ქიმიის და ექიმის თავსაწყისი საერთოა. აქ მოცემულია მეტალურგიის, მედიცინის და ალქიმია-ქიმიის ერთიანობა. და ეს ასე უნდა ყოფილიყო: ალქიმიის მიზანი ხომ ოქრო და უკვდავება იყო; ქიმიისა – ოქრო; ხოლო მედიცინისა და ექიმისა ასევე – უკვდავება. ასე რომ ეს დარგები, დასაბამიდანვე, ერთი იდეით იყვნენ შეკრულნი და ეს კიდევაც მშვენივრად გამოხატეს თავიანთ სახელთა ერთგვაროვანი მორფოლოგიური აგებულებით.

რა თქმა უნდა ბერძნულ ხიმა **„სხმა, ჩამოსხმასთან"** ქიმია-ს ასოციაციური ამოსავლიანობა ლოგიკას მოკლებული არაა, მაგრამ რატომ თავად ძველბერძნული წყაროები თითს იშვერენ კოლხეთისკენ?

საკითხი იმდენად ნათელია ვიტყოდით ჩვეულებრივ ფრაზას – „კომენტარი ზედმეტია"-თქო, მაგრამ საქმე ეხება იმდენად დიდმნიშვნელოვან საკითხებს – იძულებული ვართ დავძინოთ: უზარმაზარი შუმერული, ეგვიპტური, ბერძნული და ა. შ. ცნობილი ცივილიზაციების წინარე პროტო ცივილიზაციების შეუსწავლობამ, ხოლო შესწავლილი ზედნაშენის უზომო ავტორიტეტმა და პრესტიჟმა ცოცხალ და მობილურ მეცნიერულ აზროვნებას გაუწია დათვური სამსახური, წინააღმდეგ შემთხვევაში, უნდა გამახვილებულიყო ყურადღება იმ ფაქტზე მაინც, რომ ბერძენი ანონიმი ავტორი, სვიდა და სხვები ქიმიას იხსენიებენ სწორედ კოლხეთში ოქროს მოპოვებასთან კავშირში...

განა ალოგიკური არაა მივაწეროთ მეტალურგიული პროცესის ამსახველი ტერმინის წარმოქმნა მეტალურგიის როგორც დარგის ჩამოყალიბების ჩათავების ფაზას?!...

რადგან მეტალურგია, მედიცინა, ქიმია და ა. შ. ადამიანთა მრავალსახეობრივი მოღვაწეობის რთულ კომპლექში ერთიანდებიან, უმჯობესი იყო ზოგადკაცობრიული და დიდადმნიშვნელოვან ტერმინთა ფესვები ეძებნათ კომპლექსში შემავალ თითოეული დარგის საწყის პერიოდთან კავშირში და იმ ერის ენის წიაღში, რომელმაც შექმნა თავად ეს დარგები.

**ედემ იზორია 1980 – 84 წ. წ.**

**p.s.** ოთხმოციანი წლების შუა ხანებში ზუგდიდის სამხარეო მუზეუმის უშტატო მეცნიერ თანამშრომლად ამიყვანეს და ამ ნაშრომით საშა ღლონტთან მიმავლინეს.

მან ასეთი შინაარსის წერილით მიმართა თავის მეგობარს:

**ჩემო ოთარ!**

"ეს მშვენიერი კაცი ექიმია, მაგრამ ექიმი ენათმეცნიერი. შემოჭრილა შენს ღია ბოსტანში. მე ბევრი რამ ვუამბე. ეს ნაშრომი დასრულებულად არ მივიჩნიე.

გთხოვ, შენებურად გადახედო, შეაჯერო და მისცე მეთოდური რჩევა-დარიგებანი თუ როგორ უნდა იმუშაოს.

მუშა კაცი კი ყოფილა. ყველა მეგრულ სიტყვაზე თავისი აზრი აქვს. ყურადღება მიაქციე მის აზრებს ექიმ, კალენდარ, და სხვა უცხოურ სიტყვებზე.. განსაკუთრებით **ქიმია**-სიტყვაზე.

ერთი სიტყვით დავეხმაროთ. ის ძალიან ენერგიული ჩანს. გამომიგზავნა კალე სამუშიამ, ზუგდიდიდან, ჩემმა ძვირფასმა მეგობარმა.

მისი სახელია ედემ იზორია. დანარჩენს თავად გეტყვის

ჩვენ დიდხანს ვისაუბრეთ.

**შენი საშა ღლონტი.**

**ედემი იზორია**

# ღია წერილი ბატონ ედემ იზორიას!

გაზეთში „ილორი" (№314, 4-12 მაისი, 2015 წელი). თქვენ მოიხსენიეთ, რომ სენაკის რაიონში არის გორაკიანი სოფელი, სახელით უშაფათი. თქვენ წერთ: **უ-შა-ფა-თი.** აქ უარყოფითობის პრეფიქსად მიიჩნიეთ ასო-ბგერა **„უ"**. ასო-ბგერაში **„შ"** გულისხმობთ წყალს, **„ფა"**-ში მცენარეს, **„თი"**-ში კი ადგილს. ე.ი. თქვენი განმარტებით **უ-შა-ფა-თი** არის უწყლო ანუ მშრალი მცენარეული ადგილი, რაც, ჩემი აზრით, სინამდვილეს არ შეესაბამება.

რეალობა კი სულ სხვაგვარია: ძველად, დიდთურქობის დროს, დასავლეთ საქართველოში, კერძოდ სამეგრელოში თურქები თავს ესხმოდნენ მოსახლეობას, ააოხრეს მთელი სამეგრელო სოფელ ნოქალაქევიდან შავი ზღვის სანაპირომდე. დღევანდელ სოფელ უშაფათის ტერიტორიაზე მდგარა თურქების ჯარი, რომლის მეთაური ყოფილა უძლიერესი პიროვნება, სახელად უშა. ადგილობრივმა მოსახლეობამ რომ შეუტია, უშა მიყრდნობია კედელს და უთქვამს: მე აქედან წამსვლელი არა ვარო. ოთხი კაცი ექაჩებოდა თურმე, მაგრამ კედლიდან ვერ დაძრეს, ბოლოს კი ერთ-ერთმა ადგილობრივმა ტყვიით განგმირა (სახელი და გვარი უცნობია). მეთაური რომ დაეღუპათ, შიშისაგან დამფრთხალი თურქები უკვე უიმედოდ იყვნენ და გარბოდნენ, თან ყვიროდნენ: უშა ბათი, უშა ბათი. ე. ი. უშა მოკლესო. რაკი ასეთი ძლიერი პიროვნება ყოფილა და შეჰყვარებიათ თურქებს, ადგილობრივმა მაცხოვრებლებმა, მტერზე გამარჯვების აღსანიშნავად, იმ სოფელს მიაკუთვნეს სახელი – **უშაბათი.** შემდეგში ასო-ბგერა „ბ" შეიცვალა რბილი თანხმოვნით და ეწოდა **უშაფათი.**

**დიდ პატივისცემით,**
**ლაურა (ლამარა) ქუჩულორია,**
**სოფ. უშაფათის საშ. სკოლის კურსდამთავრებულიგაზეთ „ილორის" მუდმივი მკითხველი**

# ყველა მავნებელი ჭრაქი და ნაცარი არ არის...

ბოსტნეული ჩვენთვის შეუცვლელია – ქართულ სუფრას ბოსტნეულის კერძები ამშვენებს. ის არის ვიტამინების ერთ-ერთი წყაროც. ამიტომ ყველა კუთხეში უხვად მოგვყავს ბოსტნეული, მაგრამ მავნებელიც არ გვეშვება – ყოველ სეზონზე ბოსტნებს გვინადგურებს. მათთან ბრძოლის არაერთი ხერხი არსებობს, რომლის შესახებ შესაძლოა, ჩვენმა გლეხმა არც იცის – ჯერჯერობით ვერ მოიცალა, რომ შრომასთან ერთად ისიც შეისწავლოს, მოსავალს რა ანადგურებს და ხშირად ყველაფერს ნაცრის დაავადებას ეძახის. სხვადასხვა სახის მავნებელთან სხვადასხვაგვარად ბრძოლაა საჭირო.

**კარლო კიკორია, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათაა აკადემიური დოქტორი:**

– სამწუხაროდ, ბოლო წლებში უცხოეთიდან უკონტროლოდ შემოდის თესლი, მას მავნებლებიც მოჰყვება და ჩვენს ბოსტნეულს ისიც შეესია. ჩვენმა გლეხმა თუ ფერმერმა კი დღემდე ვერ მოახერხა, შეესწავლა პრობლემები, რომლებიც ნაჯაფარს წყალში უყრის. თუნდაც თესვის აგროვადების დარღვევას, როცა მცენარეს აღმოცენების არახელსაყრელი პირობები ექმნება, მისი განვითარების ყველა საფეხური ფერხდება. ბოლო დროს ხშირად იყენებენ ნაკელს, როგორც ბუნებრივ საშუალებას, მაგრამ ცოტამ თუ იცის, ნაკელი თუ კომპოსტირებული არ არის (საგანგებოდ არ არის არეული ნეშომპალაში და მთელი წლის განმავლობაში არ განიცდის "წვას"), მისი შემცველი უარყოფითი მიკროორგანიზმები ნიადაგში ამრავლებს სოკოვან თუ ბაქტერიულ დაავადებებს, ჭიებს, რომლებიც ბოსტნეულს ანადგურებენ...

**– ამას რა უშველის?**

– ცოდნა, კონსულტაციები. თუკი გლეხი მიმართავს ბიოორგანიზაციებს, უფასო კონსულტაციას არ დაამადლიან და თანაც ხელსაყრელ ფასად მისცემენ ბუნებრივ პროდუქტს, რომელიც ნაკელში მანამდე გაანადგურებს ამ ორგანიზმებს, ვიდრე ისინი გაღვივებასა და მცენარის დაზიანებას მოახერხებენ. გლეხს ერთ სათბურში მოსავლის მისაღებად 4 მანქანა ნაკელი სჭირდება, თუკი წინასწარ ამ ნაკელს მავნებლებთან ბრძოლის ბიოსაშუალებებს შეურევს, ბარაქიანი მოსავლის მოსაყვანად 2 მანქანა ნაკელიც ეყოფა. ბიოსაშუალებები ისე მოსპობენ პარაზიტებს, რომ 2 მანქანა ნაკელის სამუშაოს შეასრულებენ.

**– ზოგჯერ გლეხი ყველა დაავადებას ჭრაქსა და ნაცარს უწოდებს. როგორ გამოვიცნოთ?**

– როცა მოსავალს ჭია ან პეპელა ანადგურებს, გლეხისთვის ესეც ნაცრის ნამოქმედარია. არადა, რეალურად არსებობს მრავალი მავნებელი, მათ შორის ხილისა და ბოსტნეულისაც.

ნაცარი ფოთლებზე გაფანტულ ლაქებად, ბაცი ნაცრისფერი ფიფქის სახით ვითარდება. შემდეგ ფოთოლი და ყუნწი მთლიანად იფარება მუქი ნაცრისფერი ფიფქით. ფოთლები ყვითლდება, ჭკნება და მცენარე ხმება. ჭრაქით დაავადებული ფოთლის კიდეზე ყვითელი ლაქები ჩნდება, ფოთოლი ხმება და ადვილად იფშვნება.

ამის გარდა, შემოვიდა უამრავი დაავადება, მაგალითად, ფესვის სამხრეთული სიდამპლე, რომელიც გოგროვანთა ავადმყოფობაა და ღეროსა და ნაყოფს სპობს – სოკო მიწიდან იჭრება ნაყოფში და მთლიანად შლის. ნაყოფი კარგავს ფორმას, დამპალი მხრიდან ბრტყელდება, შემდეგ კი სკდება.

გავრცელებული დაავადებაა პომიდვრის ფიტოფტოროზი – ფოთლებზე ჩნდება რუხი ლაქები, მუქდება და ფოთოლს ალპობს.

ხახვის და ნივრის მავნებლებიც არსებობს. მაგალითად, ხახვის ბუზი მთელ მოსავალს ანადგურებს... ნუსხა ვრცელია, მაგრამ უკვე ამოსული მოსავლის გადარჩენა ბიოსაშუალებით შეიძლება. ამისთვის საჭიროა, თუნდაც ერთ ძირ მცენარეზე საეჭვოს შენიშვნისთანავე სპეციალისტს ვაჩვენოთ, რომელიც მავნებელს დაადგენს და მის მოსასპობად ბუნებრივ საშუალებებსაც გვირჩევს.

**– ბოსტნეულს სოკოც ანადგურებს...**

– სოკო იმიტომაც არის ძლიერი მავნებელი, რომ ნიადაგში დიდხანს ძლებს და მცენარეს ფესვიდანვე ჭამს. მის გავრცელებას მორწყვაც კი ხელს უწყობს. სოკოს პირველი ნიშანია მცენარის გაყვითლება და ჭკნობა. ეს პროცესი ცალ მხარეს იწყება და დროთა განმავლობაში მთელ მცენარეს ედება. უნდა გვახსოვდეს: როცა რომელიმე კულტურას ვთესავთ, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ თესლი ჯანმრთელია. ამას სოფლებში გლეხები თითქოს ერთი თვალის შევლებითაც ამჩნევენ, მაგრამ მერწმუნეთ, თვალი ზოგჯერ არც ისე სანდო იარაღია, მით უფრო, როცა საქმე ნათესების დიდ ფართობებს ეხება. ამ შემთხვევაში მავნე ორგანიზმებთან საბრძოლველად აუცილებელია თესლის თესვისწინა დამუშავება. ამისთვის არსებობს ბუნებრივი საშუალებებით დამზადებული ხსნარები. ამით გლეხი დაცულია, რომ ჯანმრთელ ბოსტნეულს მიიღებს. მეურნეები ყველა განვითარებულ ქვეყანაში ასე იცავენ მოსავალს და იმედი მაქვს, ჩვენთანაც ასე იქნება.

**ეთერ ერაძე**

# იატაკქვეშეთში გამომწყვდეული გოგონა, რომელმაც სიკვდილის შემდეგ მთელი მსოფლიო ააღელვა – უნიკალური მოწმე გესტაპოს გამორჩა

***გადაიარა დიდ სამამულო ომში საბჭოთა კავშირის სამაგალითო გამარჯვების საიუბილეო დღეებმა, მაგრამ ამ მოვლენისადმი საზოგადოების ყურადღება არასოდეს განელდება, მით უმეტეს ამ ომის ვეტერანებისა და მათი ოჯახის წევრების გულებში. სწორედ ომის საშინელების დასტური გახლავთ ქვემორე წერილი, რომელიც მცირეწლოვანი ებრაელი გოგონას ხსოვნას ეძღვნება.***



რამდენი დროც არ უნდა გავიდეს და როგორც არ უნდა გადაფასდეს მოვლენები, მეორე მსოფლიო ომი კაცობრიობის ისტორიის უდიდეს ადამიანურ ტრაგედიად დარჩება. ომი, რომელმაც მილიონობით ადამიანს სიცოცხლე, ოცნება და ბედნიერება მოუსპო. უამრავმა დოკუმენტმა შემოინახა ის არაადამიანური სისასტიკე, რაც უდანაშაულო ადამიანებმა საკუთარ თავზე გამოსცადეს, თუმცა ყველაზე ემოციური და იმ საშინელების უნიკალური "ცოცხალი" მოწმე 13 წლის ებრაელი გოგონას, ანე ფრანკის დღიურია.

1944 წლის აგვისტოში გერმანიის სამხედრო პოლიციამ ებრაელების მორიგი ჯგუფი აღმოაჩინა სამალავში. 8 ადამიანი, რომელიც 2 წლის განმავლობაში სპეციალურ თავშესაფარში იმალებოდა, დააპატიმრეს და საკონცენტრაციო ბანაკებში გაანაწილეს. სამხედრო პოლიციამ, რა თქმა უნდა, გაჩხრიკა და ყირაზე დააყენა სამალავი... ამ არეულობაში არავის მიუქცევია ყურადღება ერთი ჩვეულებრივი რვეულისთვის, რომელმაც წლების შემდეგ მსოფლიო აალაპარაკა. ეს თავშესაფრის ბინადრის, 13 წლის ანე ფრანკის დღიური იყო, რომელსაც გარე სამყაროსგან მოწყვეტილი გოგონა 2 წლის განმავლობაში უზიარებდა შიშს, სასოწარკვეთილებას, ზოგჯერ კი ბავშვურ, სასაცილო შთაბეჭდილებებს. ბევრს მიაჩნია, რომ იმ საზარელი ომის მამხილებელი დოკუმენტებიდან ანეს დღიური ყველაზე სულისშემძვრელი და ტრაგიკულია, პირველ რიგში იმიტომ, რომ ასევე ტრაგიკულად განვითარდა მისი დამწერის ბედიც...

ანე ებრაელი კომერსანტის, ოტო ფრანკის უმცროსი ქალიშვილი გახლდათ. ოჯახი გერმანიაში ცხოვრობდა, თუმცა ებრაელთა დევნის გამო ჰოლანდიას შეაფარა თავი. გერმანელებმა იქაც დაიწყეს ებრაელთა შევიწროება და როცა უფროს ქალიშვილს, მარგოს გესტაპოდან უწყება მოუვიდა, ოჯახი სპეციალურად მოწყობილ სამალავში გადაბარგდა. თავშესაფარი თანამშრომელთა დახმარებით ფირმის შენობაში მოაწყვეს. ამავე თავშესაფარში კიდევ ერთი ოჯახი – ვან დაანი ცოლითა და ვაჟიშვილი პეტერით, ასევე კბილის ექიმი დუსელი გადავიდა. საბოლოოდ ეს 8 ადამიანი სრულებით მოწყდა გარე სამყაროს და თავშესაფრის მკაცრ წესებს დაემორჩილა. საარსებო საშუალებებს ისინი მეგობრებისგან იღებდნენ. თავშესაფარში მიმდინარე ამბებს კი ანე დღიურში აღწერდა, რომელსაც წარმოსახვითი მეგობარი, კიცი უწოდა.

"გუშინ უსაზღვრო შიში განვიცადე. რვა საათზე ზარი დარეკეს და ყველაზე საშინელი რამ წარმოვიდგინე – ხომ იცი, რაზეც ვლაპარაკობ. დამარწმუნეს, ქუჩის ბიჭებმა დარეკესო... ჩვენ ძალზე ჩუმად ვართ, ვინ იფიქრებდა 3 თვის წინ, რომ მოუსვენარი ანე საათობით იჯდებოდა ერთ ადგილას და ხმას არ გაიღებდა."

***ხუთშაბათი, 16 ოქტომბერი, 1943 წელი***

"რაც უფრო დიდხანს გრძელდება ჩვენი აქ ყოფნა, მით უარესად ვეგუებით ერთმანეთს. სუფრასთან ვერავინ ბედავს ხმის ამოღებას, რადგან რაც არ უნდა თქვა, მაინც უკუღმა გაიგებენ. დეპრესია დამეწყო, ვალერიანის წვეთებს ვსვამ, მაგრამ არ მშველის და დღითიდღე უფრო ცუდ გუნებაზე ვდგები. ათი პატარა აბის გადაყლაპვას ერთი გულიანი გაცინება ჯობია, მაგრამ აქ სიცილს თითქმის გადავეჩვიეთ. ზოგჯერ იმისიც კი მეშინია, რომ სანამ ეს მძიმე დრო გადაივლის, დავმახინჯდები – პირი მოკუმული დამრჩება, სახეზე კი მწუხარების ნაოჭები გამოჩნდება".

"თავს ისე ვგრძნობ, როგორც ფრინველი, რომელსაც ფრთები შეაჭრეს. "გარეთ გამიშვით" – გაჰკივის ჩემში ყველაფერი. მენატრება ჰაერი, სიცილი, მაგრამ ვიცი, რომ პასუხს არავინ მომცემს. დასაძინებლად მივდივარ, იქნებ როგორმე მოვკლა შიშით დამძიმებული დრო".

***კვირა, 13 თებერვალი. 1944***

გუშინდელს აქეთ ჩემთვის ბევრი რამ შეიცვალა. და აი როგორ: დანაღვლიანებული ვიყავი, მე ახლაც ნაღვლიანი ვარ, მაგრამ რაღაც მაინც შეიცვალა... სწორედ ამ დილით შევნიშნე – და გულახდილად გეუბნები, ამ ამბავმა დიდად გამახარა – რომ პეტერი თვალს არ მაშორებდა. ისე კი არ მიყურებდა, როგორც სხვა დროს, არამედ როგორღაც უცნაურად, არ ვიცი როგორ, ვერ აგიწერ. ადრე მეგონა პეტერს მარგო უყვარდა, მაგრამ უეცრად ვიგრძენი, საქმე ასე არ ყოფილა. მთელი დღის განმავლობაში ვარიდებდი თვალს, თუ შევხედავდი, ისიც შემომაჩერდებოდა და მაშინ ისეთი საამო გრძნობა მეუფლებოდა, რომ არ მინდოდა ხშირი გამეორებით დაჩლუნგებულიყო"

***შაბათი, 4 მარტი, 1944 წელი***

"დილიდან საღამომდე მარტო ის მახარებს, რომ პეტერს ვნახავ... პეტერს სახეზე ვამჩნევ, რომ ისიც ბევრს ფიქრობს ჩემზე".

***ოთხშაბათი, 22 მარტი 1944 წელი***

"ცხოვრება სულ უფრო მშვენიერი ხდება. ჩვენ ამ თავშესაფარში ნამდვილი სიყვარულის განცდა მოგველის. არ ვფიქრობ იმაზე, გავყვები თუ არა ცოლად, არ ვიცი გვეყვარება თუ არა მომავალშიც ერთმანეთი... როცა იცინის ლამაზია, როცა წყნარადაა, ძალიან საყვარელია და კარგი"...

***პარასკევი, 19 მაისი, 1944 წელი***

"თავშესაფარში ყველაფერი ჩვეულებრივად მიმდინარეობს, მაგრამ ყოველდღე გვესმის, რომ ვიღაც გაძარცვეს, ვიღაც მოკლეს, გაქურდეს და ამას პროფესიონალი ავაზაკების გარდა პოლიციელებიცა და დარაჯებიც ჩადიან. ყველა ცდილობს, რითიმე გაივსოს კუჭი და რადგან ხელფასის მომატება აკრძალულია, ხალხი ყოველგვარ თაღლითობას მიმართავს."

დღიურში ბოლო ჩანაწერი 1 აგვისტოს არის გაკეთებული. როგორც ჩანს, თავშესაფრის ბინადრებს არავითარი ეჭვი არ ჰქონდათ, რომ მათ სამალავს უკვე უთვალთვალებდნენ...

4 აგვისტოს პოლიციამ თავშესაფარი აღმოაჩინა... დააპატიმრეს ყველა ლტოლვილი, ასევე მათი მფარველები **კრალერი** და **კოოპჰოისი.**

დაპატიმრებული ებრაელები ციხიდან ვესტერბორკის გამანაწილებელ ბანაკში მოხვდნენ. 3 სექტემბერს ანეს დედ-მამა და ვან დაანების ოჯახი ოსვენციმში გაგზავნეს, მარგო და ანე კი ბერგენ-ბელზენის საკონცენტრაციო ბანაკში. ანეს მეგობარი ლისი ბანაკში შეხვედრას ასე იხსენებს: "ანეს ძონძები ეცვა, სიბნელეშიც კი ჩანდა, როგორ გამხდარიყო, თვალები კიდევ უფრო გაფართოებოდა... ორივენი ვტიროდით, ვიდექით და ვტიროდით. ერთმანეთს მავთულხლართები გვაშორებდა".

ოსვენციმში დაიღუპნენ ანეს დედა და ცოლ-ქმარი ვან დაანები, პეტერი და ექიმი დუსელი. 1945 წლის თებერვალში შიმშილისგან გარდაიცვალა მარგოც, გაზაფხულზე კი – ანეც...

თავშესაფრიდან მხოლოდ ანეს მამა გადარჩა. ომის შემდეგ ჰოლანდიაში დაბრუნდა. სწორედ იქ გადასცეს ახლობლებმა ანეს დღიური. ის ჩხრეკის შემდეგ უწესრიგოდ მიმოფანტულ ნივთებს შორის იპოვეს.

ანე ფრანკის დღიური 10-ჯერ გამოიცა ჰოლანდიაში, 20-ზე მეტ ენაზე ითარგმნა და მილიონიანი ტირაჟებით გამოვიდა. ის იმედის, სიმამაცისა და ძლიერების სიმბოლო გახდა. ერთ-ერთი ლტოლვილი, რომელიც თავშესაფრის ბინადრებთან ერთად ვესტერბორკის გამანაწილებელ ბანაკში იმყოფებოდა, ანეს ასე იხსენებს: "ანე ფრანკსა და პეტერ ვან დაანს ყოველდღე ვხედავდი. მუდამ ერთად იყვნენ... ანეს თვალები უბრწყინავდა... და ისე თავისუფლად ეჭირა თავი, ისეთი პირდაპირი გამოხედვა ჰქონდა, რომ ჩემს თავს ვეუბნებოდი: იგი ხომ აქაც ბედნიერია".

**ინტერნეტსაიტი "ამბები-გე"**

# ამბები აფხაზეთიდან

## ხაჯიმბამ ქ. ვოტკინსკში ჩაიკოვსკის 175 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა

აფხაზურმა დელეგაციამ პრეზიდენტის რაულ ხაჯიმბას მეთაურობით ქ. ვოტკინსკში პ. ჩაიკოვსკის 175 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა.

დელეგაციას თან ახლდნენ უდმურტეთის რესპუბლიკის ხელმძღვანელი ალექსანდრე სოლოვიოვი, სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ვლადიმირ ნოვოსტრევი და უდმურტეთის რესპუბლიკის მეთაურის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ანდრეი გალცინი.

ხაჯიმბამ ყვავილების გვირგვინით შეამკო პ. ჩაიკოვსკის სახლმუზეუმის წინ აღმართული კომპოზიტორის ძეგლი, დაათვალიერა მუზეუმი და მონაწილეობა მიიღო მემორიალური დაფის გახსნაში. დაესწრო ჩაიკოვსკის ნაწარმოებების მიხედვით დადგმულ თეატრალიზებულ წარმოდგენას.

გამოჩენილი რუსი კომპოზიტორი პეტრე ჩაიკოვსკი 175 წლის წინ უდმურტეთის რესპუბლიკის ქალაქ ვოტკინსკში დაიბადა.

Apsnypress, 07.05.15

## სოხუმში დიდი სამამულო ომის ვეტერანებთან შეხვედრა გაიმართა

შეხვედრა ორგანიზებული იყო ოკუპირებულ აფხაზეთში რუსეთის საელჩოს, **„საბრძოლო მოქმედებების მონაწილე ინვალიდთა ასოციაციის", „საბრძოლო დიდების მუზეუმის"** მიერ.

შეხვედრაზე ვეტერანებს დამდეგი დღესასწაული მიულოცა აფხაზეთის ვიცე-პრეზიდენტმა ვიტალი გაბნიამ. მან აღნიშნა, რომ იქმნება სპეციალური ფონდი ვეტერანთა მხარდაჭერისათვის.

ოკუპირებულ აფხაზეთში რუსეთის ფედერაციის ელჩმა სემიონ გრიგორიევმა აღნიშნა, რომ მიუხედავად ზოგიერთი ქვეყნის მცდელობისა, გადაწეროს დიდი სამამულო ომის ისტორია, საბჭოთა არმიის მიერ ჩადენილი გმირობა დაუვიწყარია.

**„ვინც ცდილობს იმის დამტკიცებას, რომ ომი ამერიკელებმა მოიგეს, ხოლო ხიროსიმასა და ნაგასაკზე ატომური ბომბები საბჭოთა კავშირმა ჩამოყარა, ამ მოსაზრეებს მომავალი არა აქვს, რადგანაც ეს სიმართლე არ არის, სიმართლე ჩვენს მხარეზეა",**– განაცხადა გრიგორიევმა.

## აფხაზეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტმა გენადი გაგულიამ გერმანელ ბიზნესმენთა დელეგაცია მიიღო

გერმანული დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება **„გოლდენშტაინი და პარტნიორების"** გენდირექტორი ვოლფგანგ მატიკე და ლანდშაფტური კომპანია **„მწვანე დაგეგმარების"** მფლობელი დირკ ჰაიდემანი.

გენადი გაგულიამ გერმანიის ბიზნეს-დელეგაცია ადრე მიღწეული ხელშეკრულებებისა და აფხაზეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიწვევის საფუძველზე მიიღო. – წერს აფახაზური საგენტო.

მისი თქმით, ადრე აფხაზეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატამ დელეგაციის წევრთა მხარდაჭერით მონაწილეობა მიიღო გერმანიაში ჩატარებულ სხვადასხვა ღონისძიებებში. მაგალითად, 2014 წლის მარტში მონაწილეობდა პოტსდამის სამრეწველო კლუბის კონფერენციაში ამ კლუბის, კერძოდ, კლუბის დირექტორთა საბჭოს გამგეობის წევრის, ბ-ნ ჰაიდემანის მიწვევის საფუძველზე, რომელზეც აფხაზეთის ე. წ. სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტი მოხსენებით გამოვიდა თემაზე: „სოჭის ოლიმპიადის შემდეგ რუსეთ-აფხაზეთის შავიზღვისპირეთის რეგიონში არსებული საინვესტიციო სიტუაცია". მის ფარგლებში პირველად კონფერენციის მონაწილეთათვის ორგანიზებული იყო აფხაზეთის რესპუბლიკის პრეზენტაცია. ამავე წლის ივლისის თვეში ბერლინში გაიმართა აფხაზეთის ეკონომიკური და სავაჭრო-საინვესტიციო პოტენციალის პრეზენტაცია. – წერს აფხაზური სააგენტო.

მისი თქმით, „2015 წელს აფხაზურმა პალატამ მონაწილეობა მიიღო ბერლინში გამართულ საერთაშორისო გამოფენაში „მწვანე კვირეული 2015", რომელზეც მან, უშუალოდ ბ-ნ მატიკეს მხარდაჭერით, ღირსეულად წარმოადგინა აფხაზეთი მრავალრიცხოვან მონაწილე ქვეყნებს შორის",– აღნიშნულია პუბლიკაციაში.

აფხაზეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტთან გამართულ ოფიციალურ შეხვერაზე განხილულ იქნა ვიზიტის მიზნებთან დაკავშირებული საკითხები: აფხაზეთისთვის დახმარების გაწევა ინვესტიციების მოზიდვის მიმართულებით და აფხაზეთსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება.

წინასწარ დაგეგმილი პროგრამის თანახმად დელგაცია ესტუმრა სხვადასხვა ქალაქებისა და რაიონების რიგ აფხაზურ საწარმოებს, გამართა ოფიციალურ შეხვედრებს მისთვის საინტერესო წინადადებების განსახილველად ერთობლივი პოტენციალური აფხაზურ-გერმანული პროექტების რეალიზაციის მიზნით. დელეგაცია აფხაზეთში 10 მაისამდე დარჩა. – წერს სააგენტო.

## გაგრის ტაძარში წმინდა გიორგის წმინდა ნაწილები დაასვენეს

წმინდა გიორგის ნაწილები დაასვენეს გაგრის წმინდა იპატიას ტაძარში. წმინდა ნაწილები აქ 5-10 მაისამდე დარჩება.

მის მოსანახულებლად ტაძარს არა მარტო ადგილობრივი მრევლი სტუმრობს, არამედ აქ მოდიან ქალაქის სტუმრებიც, – წერს აფხაზური სააგენტო.

წმინდა გიორგის ნაწილები გაგრის ტაძარში რუსეთის ფედერაციიდან მოასვენეს.

აფხაზეთში სულ წმინდა გიორგის სახელობის 11 ტაძარია. აქედან 6 არის მოქმედი – ილორის, მერხეულის, ხიაცას (ჭუბურხინჯი) და სოხუმის, – წერს აფხაზური სააგენტო.

# ირაკლი წერეთელი ნაცმოძრაობას სოლიდარობას შიმშილობით უცხადებს

*2015 წლის 27 აპრილი ქრისტეს შობიდან.*

## განცხადება გრძელვადიანი პოლიტიკური შიმშილობის გამოცხადების შესახებ

დღეს, ორშაბათს, 2015 წლის 27 აპრილს ქრისტეს შობიდან ვაცხადებ გრძელვადიან შიმშილობას გამოკვეთილად კონრეტული უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური მოთხოვნებით:

დაუყოვნებლივ შეწყდეს ყოვლად გაუმართლებელი, ყოვლად სამარცხვინო სისხლის სამართლებრივი დევნა საქართველოს ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მიმართ და სასწრაფოდ შეწყდეს მის წინააღმდეგ აღძრული ყოველგვარი სისხლის სამართლის საქმე და ბრალდება!

ვაცხადებ, რომ მიხეილ სააკაშვილი, დღევანდელი მდგომარეობით, აუცილებლად არის უსამართლოდ პოლიტიკური დევნილი რუსეთისა და პრორუსული ხელისუფლების მიერ და ამასთან ერთად ღირსეული მებრძოლი პოლიტიკურად, უკრაინისა და უკრაინელი ერის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის!

დაუყოვნებლივ განთავისუფლდნენ უსამართლო პატიმრობიდან ქართველი პოლიტპატიმრები ბაჩანა ახალაია, გიგი უგულავა, ვანო მერაბიშვილი და რუსეთის წინააღმდეგ მებრძოლი ღირსეული და პატრიოტი ქართველი სამხედრო პირები!

საქართველოს პარლამენტმა, როგორც დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს უმაღლესმა წარმომადგენლობითმა საკანონმდებლო ორგანომ, სასწრაფოდ მიიღოს ორგანული კანონი, საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული და მიმდინარე რუსეთის მრავალწლოვანი იმპერიული აგრესიისა და მისი დანაშაულებრივი შედეგების საერთაშორისო მხილების, დაგმობის, აკრძალვისა და აღკვეთის შესახებ!

საქართველოს პარლამენტმა, შესაბამისი საკანონმდებლო, სავალდებულოდ აღსასრულებელი სამართლებრივი-საკანონმდებლო აქტის მიღებით, დაადასტუროს საქართველოს ერთადერთი ლეგიტიმური სახელმწიფოს უზენაესი კანონის – 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის უზენაესობა, მისი დაცვისა და შესრულების აუცილებლობა, თუნდაც მასში შესატანი ცვლილებებისა და შესწორებების კონსტიტუციურად განსაზღვრული მიღებით!

გადადგეს დღევანდელი მთავრობა, შეიქმნას დროებითი კოალიციური მთავრობა, ოპოზიციის წარმომადგენელთა მონაწილეობითაც!

საქართველოს ეროვნული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დაცვის, ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით საქართველოში, სასწრაფო წესით შემოვიდნენ აშშ-ს სამხედრო კონტიგენტები და საქართველოში განთავსდეს აშშ-ს სამხედრო ბაზები!

2015 წლის 26 მაისს საქართველოში, კონკრეტულად ტფილისში, ყველა ეროვნული, დემოკრატიული, ატლანტიკური ძალის ერთობლივი მონაწილეობით ჩატარდეს მაქსიმალურად მრავალრიცხოვანი პოლიტიკური ზეპარტიული დემონსტრაცია, გამოკვეთილად კონკრეტული მოთხოვნებით!

–პირველი ხუთი მოთხოვნით მივმართავ საქართველოს პარლამენტს!

–მეექვსე მოთხოვნით მიმართავ აშშ-ს.

–მეშვიდე მოთხოვნით მივმართავ ეროვნულ და ატლანტიკური ოპოზიციის მთლიან სპექტრს და აუცილებლად მთელს ქართველ ერს, ყველა ნამდვილ, თავისუფლებისმოყვარე, ღირსეულ ქართველს!

ჩემი შიმშილობის პირველი სამი დღე ვიქნები სახლში: მისამართი, ტფილისი, პეტრე ქავთარაძის 5 ნომერი, მეოთხე სადარბაზო, მეხუთე სართული, ბინა 60. ტელეფონები: სახლის 2.54.55.60, მობილური 5.68.89.21.69. 2015 წლის 30 აპრილიდან დავიწყებ სისტემატიურ გასვლას გარეთ!

ყველას, ვინც დაინტერესებდებით, უპრობლემოდ შეგიძლიათ მნახოთ. სოლიდარობა და სტუმრობა მხოლოდ გამახარებს.

გაუმარჯოს ღირსეულ ბრძოლას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის, სამართლიანობისთვის!

სოლიდარობა ქართველ პოლიტპატიმრებს!

სოლიდარობა უსამართლო და სამარცხვინო დევნილობაში მყოფ საქართველოს ექსპრეზიდენტს!

სოლიდარობა საქართველოს ეროვნული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის უკვდავსა და უაღმატებულეს იდეას! ძირს რუსეთის ყოვლად დამპალი და უბოროტესი იმპერია! დიდება ეროვნულ თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას! დიდება უზენაეს უფალ ღმერთს!

*(სტილი დაცულია – რედაქცია)*

**ირაკლი წერეთელი**

ჩემი გრძელვადიანი შიმშილობა უკვე ოფიციალურად დაიწყო.

## ღმერთმა ნუ დატოვოს საქართველო, აშშ-ის და შეურაცხადი – ირაკლი წერეთელის იმედად!

ჩემო ძვირფასებო, ასე მარტივად ნუ უყურებთ ამ ფაქტს, ცოტა ღრმად ჩაუფიქრდით, ვის მიერ და რისთვის არის გათვლილი ირაკლი წერეთლის შიმშილობა?

დიდი მიხვედრა არ უნდა სჭირდებოდეს, იმას, რომ, ყველა მხრიდან ჩასვრილ **„ევრო-ამერიკულ“** პროექტს, ახალი სულის ჩადგმა სჭირდება საქართველოში, რომელსაც ვერცერთი პარტია და სამთავრობო ორგანიზაცია ვერ შესძლებს, რომლებიც ზემოთხსენებული **„ევრო-ამერიკული“** ფულით ფინანსდებიან (არა და, დიდი ხანია, ესენი არიან ყველგან, სამთარობო და საკანონმდებლო სტრუქტურებში საქართველოში!), ამიტომ დასჭირდათ მათ, ირაკლი წერეთლის ნაფტალინის სკივრიდან ამოღება და გამზეურება!

უფრო დაწვრილებით:

– „ირაკლი-შეურაცხადი“ (მიშა არ გვიწყენს, რომ მისი ზედმეტსახელი, მის სულიერ (შესაძლოა სისხლითაც „მზია ბებიის“ მხრიდან!) მემკვიდრესაც ვუწილადეთ!), ჩვენდა სამწუხაროდ და სამარცხვინოდ, ჯერ კიდევ, ქართული ეროვნული მოძრაობის სახელით მოიხსენიება და აშშ-ს უშიშროების სამსახური საქართველოში, აშშ-ის პრეზიდენტის ნაცვალი რიჩარდ ნორლანდი ფიქრობენ, რომ ირაკლი წერეთელს ჯერ კიდევ **„ქართულ-ეროვნული მოძრაობის სურნელი ასდის“**, ქართველი ხალხი კი ყველას ყველაფერს აპატიებს, თუ კი, იგი, ეროვნულ მოძრაობას უკავშირდება!

ისინი ვარაუდობენ, რომ ქართველი ხალხი აჰყვება ამ ბლეფს, **„ირაკლი-შეურაცხადის“** გადასარჩენად **„ვენებს გადაიჭრის“** და ყველა იმ სისულელეს თუ არა, ნაწილს მაინც დააკმაყოფილებენ, რაც, ამ სულიერად ავადმყოფის პირით იქნა გაცხადებული!

ჩემო ძვირფასო თანამემამულენო, ნუ აჰყვებით, – დიდი ინგლისელი მწერლისა და მოაზროვნის ჯორჯ ორუელის **„ცხოველების ფერმის“** უღირს შთამომავალთა მიერ, ავადმყოფი ირაკლი წერეთლის სახით შემოგდებულ სატყუარას!

არც დიდი ხნის წინ პოლიტიკურად სრულიად გაკოტრებული და კარიკატურულ ფიგურად ქცეული ირაკლი წერეთლის პირადი ინტერესი უნდა გამოვრიცხოთ, რომელსაც, ალბათ, ნაციონალების საარჩევნო სიაში მოხვედრა და პარლამენტში ამ გზით შეძრომა აქვს განზრახული.

როგორც იტყვიან: **„მკვდარი მკვდარს აეკიდა...“**

გაიხსენეთ ჯორჯ ორუელის **„ცხოველების ფერმის“** ფინალის ალეგორია, რომელიც ასე უნდა იკითხებოდეს, – **“მართალია ღორების მმართველობა დაინგრა „ფაშიზმის სახით“, მაგრამ ეს არაფერია იმასთან შედარებით, რაც კაცობრიობას მოელის”**-ო!

ეს დღე დიდი ხანია დადგა!

დღეს, მსოფლიოს, ორუელის **„ცხოველების ფერმის“** ღორი შთამომავლები მართავენ და ვუფრთხილდეთ მათ!

არარაობა და არაფერია, ჭკუათხელი **„ირაკლი-შეურაცხადი“** და მისი ჯორჯ ორუელისეული ქართველი და უცხოელი ღორების შთამომავლები!

ჩვენ უფრო დიდი გამოცდა გველის!

ამაზე ვიფიქროთ!

**დ. ქობალია**

---

*ამავე საკითხს ეძღვნება ჩვენი სურამელი პროვოკატორის ბლოგი სათაურით*

# ვირი ხეზე ავა!

ათი წლის წინ, მაჩაბლის ქუჩის მცხოვრებლები მეტად თვალსასეირო ამბის შემსწრენი გახდნენ: ერთ-ერთი სახლის პირველი სართულიდან მთელი პარტია გამოასახლეს. უფრო სწორად – გამოყარეს და პარტიული ავლადიდებაც ზედ მოაყოლეს. პარტიულ ავლადიდებას კი რამდენიმე საწერი მაგიდა (რომელზეც არავის არაფერი დაუწერია), რამდენიმე სკამი, ბანქოს ორიოდე დასტა, “ჩოთქი”, დომინო და ნახევრად შევსებული კროსვორდების ათიოდე გაზეთი შეადგენდა. კიდევ, იყო სამი თუ ოთხი ოც-ლიტრიანი, გამოურეცხავი ბოცა.

აღნიშნულ ოფისში ნამყოფი ჟურნალისტისგან ვიცი, რომ ირაკლი წერეთლის კაბინეტს, თურმე, ამაყად ამშვენებდა წარწერა: **“მოქალაქეთა მიღება ორშაბათობით, 13-დან 15 საათამდე”.**

ასე უსახელოდ დაასრულა არსებობა საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიამ, რომლის უპირობო ლიდერიც ბოლო დღემდე ირაკლი წერეთელი იყო, ხოლო წევრებს შორის კობა ხაბაზი უკვე აღარ ირიცხებოდა.

დრო იყო, ირაკლი წერეთელი კობა ხაბაზს “ბულკებზე” აგზავნიდა. დღეს კობა ხაბაზი ირაკლი წერეთელს აგზავნის საშიმშილოდ. დრო იყო, ორივეს **“ეროვნული მოძრაობა”** ერქვა. დღეს ორივეს ჰქვია **“ნაციონალური მოძრაობა”.** ჰოდა, ვინც დღეს **“ნაციონალური მოძრაობაა”,** ის არასოდეს ყოფილა **“ეროვნული მოძრაობა”.** ვერც იქნებოდა – ადამიანში ეროვნული მოძრაობა მთელი ცხოვრება გრძელდება. შესვენებები, წუთშესვენებები, შვებულებები და ტაიმ-აუტები არ მოსულა. თუ მაშინ **“ეროვნულ მოძრაობაში”** იყავი და დღეს **“ნაციონალურ მოძრაობაში”** ხარ, ეს იმას ნიშნავს, რომ მაშინაც **“ნაციონალურ მოძრაობაში”** იყავი და, უკეთეს შემთხვევაში, ეს თავადაც არ იცოდი.

**“ნაციონალურ მოძრაობასა”** და **“ეროვნულ მოძრაობას”** შორის ტოლობის დასმა ისევე რთულია, როგორც ტოლობის დასმა ერეკლე მეორესა და კობა ხაბაზს შორის. ამასთან დაკავშირებით, ქართული ხალხური გამონათქვამიც კი არსებობს – სად ერეკლე და სად კობა ხაბაზიო.

**ნაციონალურ მოძრაობასა და ეროვნულ მოძრაობას შორის ტოლობის დასმა ისევე რთულია, როგორც ტოლობის დასმა ერეკლე მეორესა და კობა ხაბაზს შორის. ამასთან დაკავშირებით, ქართული ხალხური გამონათქვამიც კი არსებობს — სად ერეკლე და სად კობა ხაბაზიო.**

იმასაც იტყვიან, ყველაფრისგან სალამური არ გაკეთდებაო... და მაგალითსაც მოიყვანენ ხოლმე. ეს, რაც შეეხება სალამურს, მაგრამ გაკეთება-გადაკეთებაზე თუ ვილაპარაკებთ, ხანდახან საინტერესო შემთხვევებთან გვაქვს საქმე და რაღა შორს წავიდეთ, აგერ ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის თავმჯდომარე დღეს თავისუფალი ზონის **“პუსტა-პუსტად”** არის გადაქცეული.

ტყუილად კი არ გვეუბნებოდნენ მაშინ უფროსი ადამიანები იმას, რასაც გვეუბნებოდნენ ირაკლი წერეთლის შესახებ და რასაც ახლა არ გავიმეორებ. ისინი მეტი დამაჯერებლობისთვის დააყოლებდნენ ხოლმე, – ბავშვობიდან ვიცნობთ კარგად და დამიჯერეთ, რასაც გეუბნებითო.

და მართლაც, უფროსი რომ გეუბნება, თურმე, უნდა დაუჯერო.

დღეს კი, როცა ჩვენ, მაშინდელი არაფორმალები გავიზარდეთ და უკვე დიდები ვართ, გვინდა, რომ დაგვიჯერონ მათ, ვისაც არ ახსოვს და არ იცის, რა იყო ეროვნული მოძრაობა.

ეროვნული მოძრაობა იყო სული, გული და ჯიგარი, იდეა იყო **“გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს”,** დამოუკიდებლობა გვინდოდა თავისუფლებისთვის და დემოკრატიისთვის. თავისუფლებისთვის ბრძოლა იყო ცხოვრების წესი, მრწამსი.

ნილოსი აღმა დაიწყებს დენას, ვირი ხეზე ავა, რაღაცისგან სალამური გაკეთდება, მაგრამ **“ნაციონალური მოძრაობა”** ვერასოდეს გადაიქცევა ეროვნულ მოძრაობად.

ისეთები მახსოვს, ისეთები ვიცი...

ეს, დასახვრეტად გამზადებული პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია იხსენებდა, როგორ წაიყვანა მამამ ყინულის სანახავად, თორემ საშიმშილოდ გამზადებული ირაკლი წერეთელი ალბათ იმ ფუნთუშებს გაიხსენებდა, კობა ხაბაზს რომ მოჰქონდა პარტიული ბოსებისთვის.

ალბათ ახლაც იმ ფუნთუშაზე ფიქრობს, რომელსაც სულ სხვა გემო ჰქონდა, ვიდრე ახლა, გაგანია შიმშილობისას სააკაშვილის მიერ ხაბაზის ხელით გამოგზავნილ ჰამბურგერს, რომელსაც რუსული პელმენის გემო დაკრავს.

**p.s.** 90-იანი წლების დასაწყისში ირაკლი წერეთელს პერსონალური “ვოლგა-ტრიციტადინი” და პირადი მძღოლი ემსახურებოდა. მძღოლი ყოფილა საშინლად მლიქვნელი. ერთხელ, თურმე, შუქნიშანზე დგანან და ლამაზმა ქალმა გაიარა. მძღოლმა შეხედა და ამბობს: **“ოჰ, შენ კი მოგეფერა ბატონი ირაკლი! არა, ბატონო ირაკლი?!”**

ამ ამბის ნამდვილობაზე თავს ვერ დავდებ. რაც ზუსტად ვიცი, ის უკვე მოგახსენეთ.

**პროვოკატორი**

## სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

# შუა ოკეანეში ქართულად მოსმენილი 13 მაისის ამბავი



ქართული ფეხბურთის ყველაზე დიდი გამარჯვებიდან 34 წელი გავიდა. 1981 წელს საბჭოთა საქართველოში არავის გაჰკვირვებია, 13 მაისის ფინალურ შეხვედრას ქართველი კომენტატორი რუსულ ენაზე რომ უძღვებოდა, თუმცა, საბედნიეროდ, იყვნენ იშვიათი გამონაკლისებიც, დიუსელდორფში გამართული მატჩის პერიპეტიები ქართულ ენაზე რომ მოისმინეს.

ბატონ **რევაზ ჟვანიას** ნაოსნობაში ორ ათეულ წელზე მეტი აქვს გატარებული და ბევრით ვერაფრით გააკვირვებ, მაგრამ წარუშლელ მოგონებად ახსოვს **"დინამოსა"** და **"კარლ ცაისის"** მატჩის რადიორეპორტაჟი, შუაგულ ოკეანეში, უცნობ რადიოსადგურზე რომ მოისმინა უცნობი ქართველის კომენტარით.

– თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ავტომატიკის ფაკულტეტი მაქვს დამთავრებული. მერე, რამდენიმე წლის განმავლობაში, რუსეთში გემთმშენებელი სამინისტროს ერთ-ერთ მთავარ სამმართველოში ვმუშაობდი – ინჟინერ-მარეგულირებლები გვერქვა და გემებზე თანამედროვე ელექტრომოწყობილობებს ვამოწმებდით. საქართველოში დაბრუნების შემდეგ ბათუმის სანაოსნოში, ავტომატიკის ლაბორატორიაში დავიწყე მუშაობა და ძალიან ხშირად მიწევდა შორეულ რეისებში მოგზაურობა.

– ბუნებრივია, გასახსენებელი ბევრი რამ გექნებათ, მაგრამ ამჯერად მხოლოდ 1981 წლის 13 მაისი გავიხსენოთ – დღე, როცა ქართული ფეხბურთის ყველაზე დიდ გამარჯვებას ოკეანის შუაგულში შეხვდით...

– თუ ზღვაში არ ვიყავით, ბათუმიდან ჩამოსვლას რა უნდოდა და თბილისში გამართულ **"დინამოს"** არც ერთ საერთაშორისო მატჩს არ ვაცდენდი. ისე დაემთხვა, რომ იმ წელს თასების მფლობელთა თასზე ჩვენი გუნდის ყველა საშინაო მატჩს დავესწარი, **"ფეინოორდთან"** ნახევარფინალური მატჩის განმეორებით ტელერეპორტაჟს კი – ნოვოროსიისკში, გემ "Художник Герасимов"-ზე ვუყურე. ხომალდის კაპიტანი ქართველი გახლდათ – ბატონი ბიჭიკო ვარშანიძე, შესანიშნავი და ეკიპაჟზე გადაყოლილი კაცი.

კუბაზე მივემგზავრებოდით, გემი უკვე დატვირთული იყო და დილით უნდა აეღო სტარტი, მაგრამ, რადგან **"ფეინოორდთან"** მატჩის რეპორტაჟი საღამოს იწყებოდა, ნაპირიდან მოშორებით კი მხოლოდ რადიორეპორტაჟს თუ მოვუსმენდით, ბატონმა ბიჭიკომ იქამდე გადადო გემის პორტიდან გასვლა, სანამ ეკიპაჟმა ნახევარფინალის ყურება არ დაასრულა. მაშინ დატვირთული გემის პორტში გაჩერება წარმოუდგენელი ამბავი იყო, მაგრამ ბიჭიკო ვარშანიძეს დიდი ავტორიტეტი ჰქონდა და...

**– თუმცა ფინალის დღეს არც მისი ავტორიტეტი გიშველიდათ – შუაგულ ოკეანეში გემზე ხომ ტელესიგნალს ვერ მიიღებდით...**

– ეს მაშინ იყო შეუძლებელი, თორემ დღეს... მოკლედ, 13 მაისს დილიდან მივუსხედით რადიომიმღებებს, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ გემზე რამდენიმე ზემძლავრი მიმღებ-გადამცემი რადიოსადგური გვქონდა, ვერც ერთი **"საჩვენო"** არხის დაჭერა ვერ შევძელით. რა უნდა გვექნა, ვისხედით სასოწარკვეთილები.

არადა, მატჩი უკვე დაწყებულია. იმედი რომ გადაგვეწურა, მოულოდნელად ერთ-ერთი კაიუტიდან ქართველმა მექანიკოსმა დაგვირეკა – თავისი ძველი იაპონური ტრანზისტორით ქართული რეპორტაჟი დაუჭერია. მისი კაიუტა რამდენიმე წამში გაივსო ხალხით. ათიოდე კვმ ფართობის ოთახში იმდენი ადამიანი როგორ დავეტიეთ, დღემდე ვერ გამიგია...

**– რეპორტაჟს ვინ გადმოსცემდა?**

– არც იმ ადამიანის ვინაობა ვიცით, არც ის, რომელ სიხშირეზე ვუსმენდით. თემურმა თქვა, მგონი, ვატიკანიდან უნდა იყოს გადმოცემაო. როგორც ჩანს, კომენტატორი ქართველი ემიგრანტის შთამომავალი იყო და საქართველოში საერთოდ არ იყო ნამყოფი, ისეთი დამტვრეული ქართულით ლაპარაკობდა. არც საფეხბურთო ტერმინები იცოდა კარგად – ეტყობოდა, სიტყვათშეხამება **"სახიფათო მომენტი"** არც ჰქონდა გაგონილი და როცა ასეთი ვითარება შეიქმნებოდა ჩვენს კართან ამბობდა, საშიშია, საშიშიო.

ერთ ეპიზოდში იმდენჯერ გაიმეორა ეს სიტყვა, რომ მართლა დავიზაფრეთ შიშით (იცინის)...

აშკარად ეტყობოდა, რომ არაპროფესიონალი კომენტატორი იყო. ყველა ფეხბურთელის გვარიც არ იცოდა. ხშირად ახსენებდა ღმერთს – ჩვენს კართან ვითარება რომ განიმუხტებოდა, ღმერთმა გადაგვარჩინაო, იტყოდა. ერთ ეპიზოდში ასეთი რამეც თქვა: **"ბურთი არ მოხვდა ყიფიანის ფეხს!"** ვიტალი დარასელიამ გამარჯვების გოლი რომ გაიტანა, კომენტატორმა მადლობა შესწირა უფალს და – ქართველები ისე არ წახდებიან, გერმანელებს დაუთმონ გამარჯვებაო, თქვა. საერთოდაც, ძველ ქართულ სიტყვებს ხშირად იყენებდა.

**– ასეა თუ ისე, თქვენ კი გაგახარათ პირდაპირ ეთერში...**

– ეს შემთხვევა უნიკალური იმითაც არის, რომ იმ დროს, როცა მთელი საქართველო გენიალური კოტე მახარაძის კომენტარს რუსულ ენაზე უსმენდა, ჩვენ მშობლიურ ენაზე ვისმენდით ქართული ფეხბურთის ყველაზე დიდი გამარჯვების ამბავს. სხვათა შორის, ბატონ კოტეს მოგვიანებით მოუსმენია ეს ჩანაწერი (როგორც ჩანს, ვიღაცამ მიუტანა ფირი) და ერთგვარი ირონიითაც მოიხსენია, მაგრამ, რომ სცოდნოდა, როგორი სიხარული მოგვიტანა გემზე შეკრებილებს იმ უცნობი ქართველის ხმამ, დარწმუნებული ვარ, აზრს შეიცვლიდა...

როგორც გითხარით, დღემდე არ ვიცი, ვინ და საიდან უძღვებოდა იმ დღეს რადიოგადაცემას, მაგრამ რაკი კოტე მახარაძეს მოასმენინეს ჩანაწერი, ჩანს, რაღაც ინფორმაცია არსებობს და კარგი იქნება, თუ ამ ინტერვიუს გამოქვეყნების შემდეგ, ვინმე გამოგვეხმაურება.

**– "დინამოს" გამარჯვება როგორ აღნიშნეთ?**

– მატჩი დამთავრდა თუ არა, კაპიტანმა მაშინვე მოატანინა ორი ყუთი შამპანური. ამის შემდეგ რადიოგრამები გავგზავნეთ თბილისში – ერთი **"დინამოს"** სახელზე, დანარჩენები კი, თუ არ ვცდები, **"ლელოსა"** და **"კომუნისტის"** რედაქციებში.

იმდღევანდელ კიდევ ერთ საინტერესო ეპიზოდს გავიხსენებ: რამდენიმე მილით აზოვის სანაოსნოს ერთ-ერთი გემი გვისწრებდა. აზოველებს ჟარგონზე **"მახნოველებს"** ვეძახდით ხოლმე. ერთი კურსი გვქონდა და რადიოგადამცემით ხშირად ვსაუბრობდით. ფინალამდე, რამდენიმე დღის განმავლობაში, სულ მომავალ თამაშზე ველაპარაკებოდით. ბუნებრივია, გამარჯვების შემდეგაც გვინდოდა ჩვენი სიხარული გაგვეზიარებინა მათთვის, მაგრამ არაერთი მცდელობის მიუხედავად, კავშირზე არაფრით გამოვიდნენ.

სასიგნალო მაშხალებიც კი გავისროლეთ, მათი ყურადღება რომ მიგვექცია, მაგრამ ყურიც არ შეიბერტყეს. მერე მივხვდით, დაბოღმილები იყვნენ ქართველების გამარჯვებით და ამიტომ არ გამოდიოდნენ კავშირზე...

სხვათა შორის, იქვე ახლოს ფრანგული გემიც ყოფილა და ჩვენს სასიგნალო მაშხალებს ის გამოეხმაურა. კავშირზე რომ გამოვიდნენ და გვკითხეს, რა გჭირთო, დამტვრეული ინგლისურით ავუხსენით, **"დინამომ" "კარლ ცაისი"** დაამარცხაო. ამაზე სულ გადაირივნენ ფრანგები. სად – შუაგული ოკეანე და სად – ფეხბურთიო, სანამ თარჯიმანი არ გავაღვიძეთ, ვერაფერი გავაგებინეთ.

**რატი შელეგია**

---

## გამოვიდა სერგეი კრემლიოვის წიგნ "ლავრენტი ბერია – XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი"-ს თარგმანის მეოთხე ტომი, რითაც დასრულდა ოთხტომეულის გამოცემა




უკვე გამოვიდა I, II, III და IV ტომები სერგეი კრემლიოვის წიგნისა "ბერია – XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი" (რედაქტორი ალექსანდრე შენგელია). გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" მხარდაჭერით. წიგნების შეძენა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ.№68-ში, სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ოფისში. ტელ. 599.209.624

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრაძის ქ.№6-ში (დიდუბე), ან, ყოველდღე, მეტრო "მარჯანიშვილის" ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან.

ცნობისათვის დარეკეთ – 557.324.374.

სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ხელშეწყობით, ქართულ ენაზე, გამოვიდა დიდი რუსი პუბლიცისტის, საქართველოში მე-19 საუკუნის თვალსაჩინო საზოგადოებრივი მოღვაწის ვასილ ველიჩკოს წიგნი "კავკასია", რომელიც ადრე სრულად დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში.

წინასიტყვაობის ავტორები და შემდგენელები არიან როლანდ ჯალაღანია და ნუგზარ გოგუა.

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრაძის ქ.№6-ში (დიდუბე), ან, ყოველდღე, მეტრო "მარჯანიშვილის" ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან.

ცნობისათვის დარეკეთ – 557.324.374

## იუმორი

ცხოვრებამ ჩემი გული ორად გაბზარა და ახლა იგი უკანალს ჰგავს.

***

ცოლი ფორტეპიანოს უკრავს და მღერის. შემოვიდა ქმარი:

– კარგი, ნუღარ უკრავ. გიყიდი იმ ოხრად დასარჩენ კაბას.

***

განცხადება:

"ვეძებ ცხოვრების თანამგზავრს. გამოვირჩევი მძიმე ხასიათით და მსუბუქი ყოფაქცევით".

***

– დიდი ხანია ამ სასტუმროში ცხოვრობთ?

– ოთხი დღეა.

– ხომ ვერ მეტყვით, საპირფარეშო საითაა?

– ჯერ არ ვიცი.

***

– ბიჭუნა, რატომ თამაშობ ასანთით?

– არ ვთამაშობ, სიგარეტს ვუკიდებ.


## სახალხო მკურნალმა მოუგო ომი ჯერ კიდევ მძლავრ ნაციონალურ ფარმაკომაფიას, რომელიც მის დაძირვას ცდილობდა და კვლავ ჩადგა ხალხის ჯანმრთელობის სამსახურში



დომენტი ბაბნიძის *მიერ შექმნილი პრეპარატი არჩენს ავთვისებიან სიმსივნურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუვალობას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუასილს, ნერვის ანთებას, ნევროზს, ფსიქიკურად დაავადებულებს, ჰკურნავს გაფანტული სკლეროზს და შიდსს, შვილის ცერებრალურ დამბლას, ყურებიდან ჩირქდენას, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ცეროზს I და II სტადიებში, C-ჰეპატიტს, ნაღვლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, სახსრების დაავადებებს, ამყარებს იმუნიტეტს, და სხვა მრავალ დაავადებას.*

*მკურნალის კოორდინატებია:* თელავი, სოფელი შალაური, ბაბნიძე ბიჭიკო (დომენტი). ტელ: 893-22-66-51

თბილისი, აწყურის ქუჩა №70 (მეტრო "ისანთან"), ყოველდღე – შაბათ-კვირის გარდა, 10-დან 16 საათამდე.



მასთან სიცოცხლეზე ხელჩაქნეულები მიდიან და ჯანმრთელები ბრუნდებიან



ISSN 1987-8966 ilori

ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

რედაქციის მისამართი: თბილისი. ბაქრაძის ქუჩა №6 სარეგ. №01018002930
234-32-95
ორი თაბახის ფურცელზე მეტი მოცულობის ტექსტი რედაქციას უნდა გაეგზავნოს ელ.ფოსტით (ან ლაზერის დისკით).

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია 599-34-37-27
სარედაქციო საბჭო: ზაურ ბახარია, ზურაბ ჯამბურია, თენგიზ კუბლაშვილი, ზვიად მირბატია, გივი სომხიშვილი, ვიქტორ ცაავა, გიორგი სიჭინავა, ნუგზარ სალაყაია (ბალი)

გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე WWW.saqinform.ge